საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
16 - 22 თებერვალი, 2022
№5 (617)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

24



## ასეთ «მოკავშირეებთან» ერთად მტერიც აღარ გინდა

## «უკრაინას ყველანაირად ამზადებენ და აქეზებენ სამხედრო დაპირისპირებისთვის» 2




## «დროა, აშშ-მა შეწყვიტოს ცრუ დაპირებებით უკრაინის მოტყუება» 3

## სისხლი და მოგება

6-7

თუკი ვინმეს შეუძლია, კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი აარიდოს, ეს არის რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ვინაიდან რუსეთი ომს არ იწყებს, რუსეთი, როგორც წესი, ომს ამთავრებს



გაბრიყვებულ ევროპას თუ სისხლის წყურვილი სტანჯავს, გაუმაძღარ ამერიკას მოგების წყურვილი ახრჩობს. ასე იკვეთება და ავსებს ერთმანეთს ეს ორი ბოროტი მამოძრავებელი — სისხლი და მოგება





ფრიდონ ინჯია: 4

## აუცილებელია, საქართველო რუსეთს შუამავლების გარეშე დაელაპარაკოს



არდალიონ ხაჩიძე



ბორის კაკაბაძე



მერაბ ზურაბაშვილი

## რა ან ვინ გამოიყვანს სოციალურ-ეკონომიკური ჩიხიდან საქართველოს 5




## მისტერ კარლი, უბრალოდ, ცრუობს, რადგან ევროკავშირის ყველა ქვეყანა ერთად აღებული ვერ გადაწონის რუსულ ბაზარს 8



## ყველაფერი ახლა: რაზე აფრთხილებდა პუტინი დასავლეთს 15 წლის წინათ 11




## დოპინგ-სკანდალი დადგმული სპექტაკლია 23

უკრაინის კრიზისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკრაინისთვის გაგზავნილი შეიარაღება არსებით როლს ვერ შეასრულებს ომის ბედის გადაწყვეტაში. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, ფართომასშტაბიანი ომი თუ დაიწყო, რუსეთი ძირითად გათვლას არა სახმელეთო, არამედ საჰაერო იერიშებზე გააკეთებს. გარდა ამისა, სად არის დასაწყობებული უკრაინაში გაგზავნილი შეიარაღება და ვინ არის მისი განმკარგველი, ყველამ კარგად იცის, ამიტომ პირველივე დარტყმები მიმართული იქნება სწორედ იმ საწყობებზე“.**



## გივი იუკურიძე: «უკრაინას ყველანაირად ამზადებენ და აქეზებენ სამხედრო დაპირისპირებისთვის»

# «ომი, რომელშიც რეალურად გამარჯვებული იქნება მესამე მხარე»

**უკრაინის კრიზისი ისევ ყურადღების ეპიცენტრშია. ორ ქვეყანას შორის მზარდ დაძაბულობას მსოფლიო აკვირდება. მოიტანს თუ არა შედეგს დიპლომატია და მოხერხდება თუ არა ომის თავიდან აცილება — ეს არის უმთავრესი საკითხი, რომელიც შექმნილი ვითარების ფონზე ბუნებრივად დგება. ომი არ უნდა დაიწყოს, დიპლომატიას ალტერნატივა არ აქვს — ამ გზავნილებს ფორმალურად ყველა იზიარებს. ყველა თანხმდება, რომ სისხლისღვრას დიალოგი და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება ჯობია, თუმცა კოლექტიურ დასავლეთში არიან სუბიექტები, რომელთა ქმედებებიც მათი რიტორიკისგან მკვეთრად განსხვავდება.**

შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო ის ქვეყნებია, რომელთა პოლიტიკური ხელმძღვანელობებიც დიალოგის უალტერნატივობაზე საუბარს ღია საომარ და წამქეზებლურ რიტორიკასთან აზავებენ; აგრესიას გმობენ, მშვიდობას ქადაგებენ, პარალელურად უკრაინა იარაღით გაძეძგეს (არაფერს ვამბობ იმ მუქარანარევ განცხადებებზე, რომ ომის შემთხვევაში რუსეთს ტომრებში გახვეული ჯარისკაცები დაუბრუნდებათ). სხვა საკითხია, რა ტიპის შეიარაღება იგზავნება უკრაინაში და გამოადგება თუ არა ის რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში, მაგრამ ფაქტია: ოკეანის გაღმა და ნაწილობრივ გამოღმაც რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობა არ სურთ. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად იკვეთება მათი სურვილი, რომ მიმდინარე კოფლიქტის გეოგრაფია გაზარდონ და რუსეთის გარშემო ე.წ. ცხელი წერტილების რკალი შექმნან... სხვათა შორის, ამ ინტერესის ნათელ დემონსტრირებად შეიძლება მივიჩნიოთ ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **ბორის ჯონსონის** მიერ კიევში ვიზიტისას საქართველოსა და მოლდოვის ხსენება. ბრიტანეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი მხოლოდ უკრაინას არ ემუქრება. მისი თქმით, არ უნდა დავივიწყოთ საქართველო და მოლდოვა...

რა გავლენას მოახდენს საქართველოზე უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და რა გეოპოლიტიკური ძვრები შეიძლება გამოიწვიოს მან სამხრეთ კავკასიაში? — ეს არის შეკითხვა, რომელსაც შექმნილი ვითარება აჩენს. ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა რთულია, მაგრამ ერთი რამ, ალბათ, ყველასთვის ცხადია — საქართველო, მსგავსად უკრაინისა, ბრმა იარაღად არ უნდა იქცეს; საქართველო არ უნდა გახდეს დასავლეთის პოლიტიკური ინსტრუმენტი კრემლის წინააღმდეგ, რაც ერთხელ უკვე მოხდა 2008-ში და რასაც ომში დამარცხება მოჰყვა...

**უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე, ომის საფრთხესა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო გივი, რუსულ-უკრაინული კრიზისის ფონზე აშკარად ჩანს, რომ ზოგიერთ დასავლელ აქტორს დაძაბულობის მშვიდობიანი გზით განმუხტვა არ სურს. უწინარესად ეს ეხება შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთს. ისინი დიალოგისკენ მოწოდებების პარალელურად საომარ და წამქეზებლურ რიტორიკას არ ერიდებიან. არ ერიდებიან შეიარაღების გაგზავნასაც. გავიხსენოთ იმავე ვენდი შერმანის განცხადება, რომ ომის შემთხვევაში რუსებს ტომრებში გახვეული ჯარისკაცები დაუბრუნდებათ, ან ბორის ჯონსონის განცხადება, რომ 200 ათასი უკრაინელი ჯარისკაცი მზადაა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს... რაზე მიანიშნებს ეს ყველაფერი? რას ემსახურება ეს რიტორიკა?**

— დავიწყოთ **ზელენსკის** განცხადებით, რომელმაც მოუწოდა დასავლეთს, არ დაამძიმონ მდგომარეობა და არ გააკეთოს პანიკის გამომწვევი შეფასებები. მან თქვა ასეთი რამ: საზღვარგარეთ აქვთ განცდა, რომ აქ ომია, ეს ასე არ არის... რატომ გააკეთა ეს განცხადება უკრაინის პრეზიდენტმა? ჯერ მოდი, შევხედოთ მათ ეკონომიკას. იმ პანიკის ფონზე, რომელიც მოჰყვა დასავლეთის და, უწინარესად, აშშ-ის მხრიდან ვითარების ხელოვნურად დაძაბვას, უკრაინის ეკონომიკა კოლაფსს განიცდის. მისი ზარალი უკვე 15 მილიარდ დოლარს აღემატება. იქ პრაქტიკულად აღარ შედის ინვესტიციები და ეკონომიკური ბრუნვა არის გაჩერებული... ზელენსკის, რა თქმა უნდა, ესმის, რომ ამ ზარალს ვერავინ აუნაზღაურებს, ვერანაირი დახმარება დასავლეთიდან ამ დანაკარგების კომპენსაციას ვერ მოახდენს. პირიქით — ეკონომიკური სტაბილურობის გარე დახმარებაზე ორიენტირებამ შეიძლება კიდევ უფრო მეტად ჩამოშალოს ქვეყანა და გააღრმაოს კრიზისი, რომელიც ისედაც პიკს უახლოვდება... ახლა მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: **უკრაინაში იმასაც ხვდებიან, რომ წაგებული ომის, მორღვეული უსაფრთხოებისა და დაკარგული ტერიტორიების ფონზე მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, შესაძლოა, სოციალური აფეთქებაც გამოიწვიოს...** წარმოიდგინეთ საშუალო სტატისტიკური უკრაინელის მდგომარეობა, რომელსაც, ერთი მხრივ, ომით აშინებენ, მეორე მხრივ, დასავლეთს იმედი არ აქვს და, ამასთანავე, შიმშილიც ემუქრება... ეს ყველაფერი აზარალებს, პირველ რიგში, რიგით უკრაინელს, ამიტომ იყო ვლადიმერ ზელენსკი დასავლეთის განცხადებებით შეშფოთებული. რაც შეეხება დასავლეთის პოლიტიკას? და მიდგომებს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ **დასავლეთი თავისი ინტერესებით არ არის მონოლითური. არიან სახელმწიფოები აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, რომლებსაც არ სურთ რუსეთსა და უკრაინას შორის ომი. ესენი არიან გერმანია და საფრანგეთი.** რატომ? — ორი მიზეზის გამო: პირველი — იმიტომ, რომ ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ უსაფრთხოებას; და მეორე — რომელიც განსაკუთრებით გერმანიას ეხება, ეს არის ეკონომიკური ინტერესი. აი, აქ ვერ ხერხდება პოზიციების შეჯერება, რადგან იმავე გერმანიისთვის „ჩრდილოეთის ნაკადი — 2“ უმნიშვნელოვანესია...

**— თუმცა არის ევროპაში რადიკალურად განსხვავებული ინტერესების მქონე სახელმწიფოც. მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, რომელიც, პრაქტიკულად, ერთი-ერთზე იმეორებს შეერთებული შტატების პოლიტიკურ გზავნილებს.**

— ეს ყოველთვის ასე იყო და ამას, ცხადია, აქვს თავისი საფუძველი. ახლა რა სურთ მათ, რატომ ცდილობენ ვითარების იმაზე უფრო მუქ ფერებში წარმოჩენას, ვიდრე რეალურად არის. ასე შევხედოთ საკითხს — ვინ დაზარალდება ყველაზე მეტად რუსეთსა და უკრაინას შორის ომით, ვინ მიიღებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტერიტორიულ და ადამიანურ დანაკლისს? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უკრაინა და მერე — რუსეთი. **ეს იქნება ომი, რომელშიც ერთ-ერთი კი არ იქნება რეალური გამარჯვებული, არამედ გაიმარჯვებს მესამე მხარე, ის, რომელიც ყველაფერს აკეთებს, კრიზისი ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში რომ გადაიზარდოს... სხვათა შორის, თუ გახსოვთ, შეერთებული შტატები თავის „სანდო წყაროებზე“ დაყრდნობით ომის დაწყების კონკრეტულ თარიღებსაც ასახელებდა. ეს იყო ჯერ შემოდგომა, შემდეგ — ზამთარი, მერე თვეც დასახელდა — თებერვალი... რომელი გამრთლდა?**

— თარიღი ახლაც დასახელებულია — 16 თებერვალი. **როგორ ფიქრობთ, შეძლებს ომის გაჩაღებით დაინტერესებული მხარე მიზნის მიღწევას?**

— იმედს ვიტოვებ, რომ **უკრაინის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში არიან ადამიანები, რომლებიც სწორად აფასებენ ვითარებას, მაგრამ გარე ფაქტორებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძნელი სათქმელია, რა მოხდება, მაგრამ ფაქტია, რომ უკრაინას ყველანაირად ამზადებენ და აქეზებენ სამხედრო დაპირისპირებისთვის.** რაც შეეხება შეიარაღებას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო გზავნის უკრაინაში. ცხადია, დიდი ინტერესია ამ შეიარაღების მიმართ და ხშირად სვამენ შეკითხვას — რა ტიპის იარაღზეა საუბარი? ჩემი ინფორმაციით ეს, ძირითადად, არის ცეცხლსასროლი იარაღი — ტანკსაწინააღმდეგო, ჰაერსაწინააღმდეგო და კავშირგაბმულობის საშუალებები, პირადი შემადგენლობის აღჭურვილობა და ა.შ. ეს არის იმის ხაზგასმა, რომ ელოდებიან რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯავშანტექნიკის შეტევასა და საჰაერო თავდასხმას.

**— გამოადგებათ უკრაინელებს ეს შეიარაღება, თუკი ომი მართლა დაიწყება?**

— უკრაინისთვის გაგზავნილი შეიარაღება არსებით როლს ვერ შეასრულებს ომის ბედის გადაწყვეტაში. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ფართომასშტაბიანი ომი თუ დაიწყო, რუსეთი ძირითად გათვლას არა სახმელეთო, არამედ საჰაერო იერიშებზე გააკეთებს. გარდა ამისა, სად არის დასაწყობებული უკრაინაში გაგზავნილი შეიარაღება და ვინ არის მისი განმკარგველი, ყველამ კარგად იცის, ამიტომ პირველივე დარტყმები მიმართული იქნება სწორედ იმ საწყობებზე...

**— ბორის ჯონსონმა კიევში ვიზიტისას განაცხადა, რომ საფრთხე ემუქრება საქართველოსაც და მოლდოვასაც. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ეს განვიხილოთ, როგორც მცდელობა, ჩვენც ჩაგვრთონ ანტირუსულ გეოპოლიტიკურ თამაშში და ამით კრემლის წინააღმდეგ ცხელი წერტილების ერთგვარი რკალი შეკრან?**

— საქართველო, მოლდოვა და უკრაინა — ეს ის სამეულია, რომელსაც კოლექტიური დასავლეთი, დიდი ხანია, ერთ პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს. რატომ? იმიტომ რომ, ამით მეტი ეფექტი ჰქონდეს, უფრო სწორად, ერთგვარი სამოკავშირეო, კამპანიური ხასიათი მიეცეს მის ანტირუსულ პოლიტიკურ დისკურსს კონკრეტული მიმართულებებით. რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, **აბსოლუტურად საფუძვლიანია ის განცდა, რომ კოლექტიურ დასავლეთს ამ შემთხვევაში დამატებითი ინსტრუმენტები სჭირდება კრემლის წინააღმდეგ, ამიტომ საქართველო, ისევე, როგორც მოლდოვა და უკრაინა, ამ კონტექსტში განიხილება. ამას მოწმობს ის, რომ საუბრობენ საფრთხეზე და იმაზე, რომ თურმე რუსეთი რა ცუდია, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებენ ჩვენი უსაფრთხოების გასაძლიერებლად; პირიქით, ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენი, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტების, გამოყენებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ კრემლის ინტერესები და შედეგად ჩვენ აღმოვჩნდეთ რუსეთთან კიდევ ერთი სამხედრო დაპირიპირების საფრთხის წინაშე. აი, ამის ნათელი მაგალითია დღეს უკრაინა...**

**— საქართველოს ხელისუფლების პოზიციაზე რას ფიქრობთ, ადეკვატურია „ოცნების“ პოლიტიკა მიმდინარე მოვლენებზე?**

— ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ზომიერ პოლიტიკას ატარებს. ეს უკრაინის მხარდამჭერ საპარლამენტო რეზოლუციაშიც ჩანდა, მაგრამ ეს მიდგომა საკმარისი არ არის ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ აუცილებლად მოგვიწევს ფიქრი უფრო მაღალი სტანდარტის დაბალანსებულ პოლიტიკაზე, რომელიც მათ შორის რუსეთის მიმართაც გარკვეულ კორექტივებს გაითვალისწინებს და საქართველოს ობიექტურ სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაეფუძნება. აი, მხოლოდ ეს შეიძლება იყოს სრულფასოვანი გარანტი უსაფრთხოების, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს არ გვაქვს და ამ პოლიტიკური მოცემულობით, ალბათ, არასდროს გვექნება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«საუბრობენ საფრთხეზე და იმაზე, რომ თურმე რუსეთი ცუდია, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებენ ჩვენი უსაფრთხოების გასაძლიერებლად; პირიქით, ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენი, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტების, გამოყენებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ კრემლის ინტერესები და შედეგად ჩვენ აღმოვჩნდეთ რუსეთთან კიდევ ერთი სამხედრო დაპირიპირების საფრთხის წინაშე. აი, ამის ნათელი მაგალითია დღეს უკრაინა»**

**რუსეთის ფედერაციის მოქმედი არმია 4-ჯერ მეტია უკრაინის არმიაზე, რუსეთის არსენალში 12 ათასი ტანკია, უკრაინისაში — 2,5. არტილერიის მხრივ უპირატესობა კი უფრო მეტია — 12 ათასი 1 ათასის წინააღმდეგ. რაც შეეხება სამხედრო-საჰაერო ძალებს, ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთს შეუძლია მნიშვნელოვნად დააზარალოს უკრაინის საჰაერო ფლოტი, რომელიც 70 გამანადგურებლისა და 34 ვერტმფრენისგან შედგება და რომლის განადგურებაც საკმაოდ სწრაფად არის შესაძლებელი ინტენსიური ბრძოლის მიმდინარეობისას ამ შეფარდებების გათვალისწინებით. ამერიკის მიერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება ვერაფერს შეცვლის.**

გეოპოლიტიკური ვითარება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინს არაორაზროვანი სიგნალი გაუგზავნა, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში ფინანსური და დიპლომატიური სანქციების ქარიშხალს უნდა ელოდოს. თუ რუსეთი დეესკალაციას კონფრონტაციას ამჯობინებს, ასეთი შემთხვევისთვის მომზადებულია ეკონომიკური სანქციები, დიპლომატიური და საექსპორტო შეზღუდვები. ამ შემთხვევებს შორისაა რუსეთის დიდი ბანკების გათიშვა საფინანსო სისტემიდან, რომელშიც აშშ დომინანტია, — წერს გამოცემა Thr National Interest-ის ჟურნალისტი დენიელ დეპეტრისი.**

# NATIONAL INTEREST-ი: დროა, აშშ-მა შეწყვიტოს ცრუ დაპირებებით უკრაინის მოტყუება

## «ბოლოს და ბოლოს, უთხარით უკრაინას სიმართლე»




„უცნობია, იყო თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები ასეთი პირდაპირი უკრაინის მთავრობის მიმართ. ვაშინგტონი საჯაროდ ხაზს უსვამს, რომ მხარს უჭერს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მაგრამ ასეთი ჩვეული რიტორიკის ნაცვლად ვაშინგტონისთვის უმჯობესი იქნებოდა, მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ განეცხადებინა: „თქვენი ქვეყნისთვის ომი ყველაზე ცუდია შესაძლო ვარიანტებიდან", რადგან აშშ ვალდებული არ არის, დაგიცვათ, ამიტომ კიევმა, „რაც შეუძლია, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა მოძებნოს დიპლომატიური გამოსავალი, რომელიც თავიდან აიცილებს კონფლიქტს".

**რუსეთი ბოლო სამი თვის განმავლობაში თავს უყრიდა ძლიერ სამხედრო დაჯგუფებას რუსეთ-უკრაინის საზღვართან. დაახლოებით 130 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურეა განლაგებული უკრაინის დედაქალაქის სახმელეთო საზღვრის სამ მხარეს ბელარუსამდე. ამ რაიონში რუსმა სამხედროებმა შეიყვანეს ტანკები, არტილერია, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, სარაკეტო დანადგარები და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები,** ზოგიერთი — შორეულ აღმოსავლეთში განლაგებული რუსი სამხედრო ბაზებიდან. აგრეთვე, რუსეთმა ბელარუსში გაგზავნა რამდენიმე გამანადგურებელი Су-35 სამხედრო სწავლების ჩასატარებლად. **მართალია, ევროპაში აშშ-ის ზოგიერთ მოკავშირეს არ სჯერა, რომ რუსეთმა უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება უკრაინაში შეჭრის შესახებ, მაგრამ რუსული სამხედრო ძალების საზღვარზე მობილიზაციამ ზოგიერთი ამერიკელი მაღალჩინოსანი აიძულა, გამოეტანა დასკვნა, რომ რუსეთი უკრაინაში თებერვლის შუა რიცხვებში შეიჭრება.**

მოვლენების ასე განვითარება კარგს არაფერს უქადის უკრაინას. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის არმია 2014 წელთან შედარებით, როცა უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამჟამად გაცილებით უკეთესად არის აღჭურვილი, მეტი გამოცდილება და მოტივაციაც აქვს, **რუსეთის ფედერაციის მოქმედი არმია 4-ჯერ მეტია უკრაინის არმიაზე, რუსეთის არსენალში 12 ათასი ტანკია, უკრაინისაში — 2,5. არტილერიის მხრივ კი უპირატესობა უფრო მეტია — 12 ათასი 1 ათასის წინააღმდეგ. რაც შეეხება სამხედრო-საჰაერო ძალებს, ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთს შეუძლია მნიშვნელოვნად დააზარალოს უკრაინის საჰაერო ფლოტი, რომელიც 70 გამანადგურებლისა და 34 ვერტმფრენისგან შედგება და რომლის განადგურებაც საკმაოდ სწრაფად არის შესაძლებელი ინტენსიური ბრძოლის მიმდინარეობისას. ამ შეფარდებების გათვალისწინებით, ამერიკის მიერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება ვერაფერს შეცვლის.**

ომის შემთხვევაში უკრაინას ელის მარცხი. რუსეთის სამხედრო შენაერთებს ექნებათ დანაკარგები, როგორც გააფრთხილეს თავიანთი რუსი კოლეგები აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა **ლოიდ ოსტინმა** და შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე **მარკ მილიმ**, მაგრამ იმ რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობის გათვალისწინებით, რომელიც აქვს რუსეთს, არავის სჯერა, რომ უკრაინას აქვს შანსი.

ამრიგად, **უკრაინისთვის ერთადერთი ვარიანტი არის რუსეთთან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა და მისთვის შეიძლება არასახარბიელო, მაგრამ აუცილებელი კომპრომისის მიღწევა თავისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის მიმართ.** ამერიკისა და ევროპის დედაქალაქებში ოფიციალურ პირებს ასეთი განცხადება შეაკრთობთ და დაიწყებენ მტკიცებას, რომ უკრაინას აქვს ხელშეუხებელი უფლება, აწარმოოს თავისი საგარეო პოლიტიკა, შექმნას საკუთარი კავშირები და იცხოვროს ისე, როგორც სურს, მაგრამ უკრაინა ვერ შეძლებს თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის იგნორირებას ან თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური გარემოებების უარყოფას.

**უკრაინის ოფიციალური პირები, აგრეთვე, ვერ მოატყუებენ საკუთარ თავს, იფიქრონ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო ან რომელიღაც გეოლოკაცია მათ ბოლო წუთებში გადაარჩენს.**

ამ ბოლო პრობლემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო განაგრძობენ ისეთ ქმედებებს, თითქოს უკრაინა იმყოფება ალიანსში გაწევრების გზაზე, უკრაინის მთავრობას ექნება ნაკლები მიზეზები, წავიდეს მოლაპარაკებებზე, რომლებიც მას ძალიან სჭირდება, რათა თავიდან აიცილოს ომი ევროპაში. პირიქით საქციელი, მაგალითად, უკრაინის ძველებურად დაიმედება, სხვა არაფერია იმ დაპირების მიცემის გარდა,

**«უცნობია, იყო თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები ასეთი პირდაპირი უკრაინის მთავრობის მიმართ. ვაშინგტონი საჯაროდ ხაზს უსვამს, რომ მხარს უჭერს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ასეთი ჩვეული რიტორიკის ნაცვლად ვაშინგტონისთვის უმჯობესი იქნებოდა, მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ განეცხადებინა: «თქვენი ქვეყნისთვის ომი ყველაზე ცუდია შესაძლო ვარიანტებიდან», რადგან აშშ ვალდებული არ არის, დაგიცვათ, ამიტომ კიევმა, «რაც შეუძლია, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა მოძებნოს დიპლომატიური გამოსავალი, რომელიც თავიდან აიცილებს კონფლიქტს»**

რომლის შესრულებასაც არავინ აპირებს.

უკრაინასთან ურთიერთობებში საუკეთესო კურსი პატიოსნებაა, ჭეშმარიტება არის ის, რომ კიევის პოზიციები სუსტია. აშშ-სა და მის ნატოელ მოკავშირეებს არ სურთ ომი ბირთვული იარაღის მფლობელ რუსეთთან უკრაინის სახელით. უფრო მეტიც, **რუსეთმა მიუხედავად საომარი განწყობილებისა, დაამტკიცა, რომ ის მზად არის, წავიდეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სირთულეებსა და საერთაშორისო გაკიცხვაზე, თუკი კიევი არ იქნება დასავლური უსაფრთხოების ინსტიტუტების სრულუფლებიანი წევრი.**

ეს არ ნიშნავს, რომ უკრაინა უნდა დანებდეს. მიუხედავად სამხედრო უპირატესობისა, რუსეთი, როგორც ჩანს, არ მიისწრაფვის სამხედრო მოქმედებების ახალი რაუნდისკენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი გმობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების შეჩერების შესახებ პრინციპული მოთხოვნების იგნორირების გამო, რუსეთის ოფიციალურ პირებს, ისეთებს, როგორიც არის რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი**, კარი ღია აქვთ მოლაპარაკებებისთვის.

ლავროვი ელაპარაკა აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ენტონი ბლინკენს**, რადგან ორივე პასუხისმგებელია ერთმანეთისთვის შეთავაზებულ პროექტებზე. რამდენიმე დღით ადრე უკრაინისა და რუსეთის წარმომადგენლები ერთმანეთს „ნორმანდიული ფორმატის" ჩარჩოებში შეხვდნენ პარიზში. პირველად 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მხარეებმა იმსჯელეს დონბასში მიმდინარე რვაწლიან ომზე.

ომი არ არის გარდაუვალი და არ გამქრალა იმედი, რომ მდგომარეობიდან დიპლომატიური გამოსავლის პოვნაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც და რუსეთიც შეურიგებელ პოზიციებზე დგანან, ორივე მხარე ცვლის თვალსაზრისს, რაც პროცესის მხარდაჭერაა. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებულ შტატებს ბევრი მიზეზი აქვს, გულწრფელი იყოს თავის უკრაინელ მეგობრებთან.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს მსოფლიოში მძიმე პოლიტიკური ვითარებაა, საქართველო დგას გზაჯვარედინზე, გადაწყვეტილებას ვერ იღებს. არადა, თუ სწორ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, ჩვენი დამცველი არავინ არის. ჩვენი ქვეყანა მესამე პირებზეა დამოკიდებული, ჩვენს მაგივრად რუსეთის პრეზიდენტს სხვები ესაუბრებიან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ის მესამე პირები თავიანთი ქვეყნის ინტერესებს გაცილებით წინ აყენებენ, ვიდრე ჩვენსას“.**



**ფრიდონ ინჯია:**

# აუცილებელია, საქართველო რუსეთს შუამავლების გარეშე დაელაპარაკოს

**საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის, „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე ფრიდონ ინჯია თვლის, რომ რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. ამის შესახებ ფრიდონ ინჯიამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 10 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მან „ევროპელი სოციალისტების“ სახელით მიმართა საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირი დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე.**

## «30 წლის განმავლობაში ბევრი საკითხი დაგროვდა, რომლებიც მეზობელ ქვეყანასთან გასარკვევია. საქართველოს აქვს პრობლემები და ისინი ჩვენი მოსაგვარებელია»

„გლობალური უსაფრთხოების სისტემის ახალი რეალობიდან გამომდინარე, რომელიც ყოველწუთიერად იცვლება, საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი, დაიცვას თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები, იმ გამოწვევებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას ბოლო 30 წლის განმავლობაში. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ხელისუფლებამ შუამავლის გარეშე იმოქმედოს პირდაპირი დიალოგის ფორმატში, რასაც დღეს ალტერნატივა არ აქვს. ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ჩვენზე უკეთესად ვერავინ დაიცავს. როგორც ამას აკეთებს თავისი ინტერესების დამცველი ყველა ქვეყანა. კერძოდ, ამერიკა, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, არგენტინა, შვედეთი, ფინეთი, ჩინეთი და სხვა. ამ უნიკალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებიც საქართველოს მომავალში შეიძლება არ მიეცეს. ამ შანსის გამოუყენებლობა ჩვენი ქვეყნისთვის გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ღალატის ტოლფასი. ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები და ღალატი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, საკმაოდ ბევრი იყო ჩვენს ქვეყანაში და ძვირად დაგვიჯდა“, — განაცხადა ფრიდონ ინჯიამ.

**რა წინაპირობა უნდა შექმნას საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან დიალოგის გასამართავად; რა წინადადებით უნდა ჩავიდეს მეზობელ ქვეყანაში და რა სიკეთეს უნდა ველოდოთ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ევროპული სოციალისტების“ ლიდერი, პარლამენტარი ფრიდონ ინჯია გვესაუბრება:**

— ჩვენი ხელისუფლების სათავეში მყოფ ადამიანებს, უწინარესად, ევალებათ, რომ გააანალიზონ, საით მიდის ჩვენი ქვეყანა. **საქართველო დაღუპვის გზაზეა და სასწრაფოდ გადასარჩენია. ვისაც ეს არ ესმის, ძნელია მასთან რამეზე საუბარი.**

ჩემს გამოსვლაში, უფრო ზუსტად, პრემიერისადმი მიმართვაში განვაცხადე, რომ საქართველოს ნაცვლად ვერავინ ვერსად ვერ ისაუბრებს, არავინ არ დაიცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ისე, როგორც ამას ჩვენ გავაკეთებთ.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის კარზე დიდი რიგია, ყველა ევროპული და არა მხოლოდ ევრპული ქვეყნის ლიდერი ცდილობს **ვლადიმერ პუტინთან** შეხვედრას და მას საათობით ესაუბრებიან, არ წყდება სატელეფონო ზარებიც. ყველა მათგანი საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ესაუბრება რუსეთის პრეზიდენტს. დარწმუნებული ვარ, **ემანუელ მაკრონი** საფრანგეთის უსაფრთხოებაზე მეტს ისაუბრებდა, ვიდრე უკრაინაზე.

**დღეს მსოფლიოში მძიმე პოლიტიკური ვითარებაა, საქართველო დგას გზაჯვარედინზე, გადაწყვეტილებას ვერ იღებს. არადა, თუ სწორ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, ჩვენი დამცველი არავინ არ არის. ჩვენი ქვეყანა მესამე პირებზეა დამოკიდებული, ჩვენ მაგივრად რუსეთის პრეზიდენტს სხვები ესაუბრებიან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ის მესამე პირები თავიანთი ქვეყნის ინტერესებს გაცილებით წინ აყენებენ, ვიდრე ჩვენსას.**

30 წლის განმავლობაში უამრავი საკითხი დაგროვდა, რომლებიც მეზობელ ქვეყანასთან გვაქვს გასარკვევი. საქართველოს აქვს შეკითხვები რუსეთის მხარესთან, აქვს პრობლემები და ეს ჩვენი მოსაგვარებელია. გაინტერესებთ, როგორ უნდა ჩავიდნენ რუსეთში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები და რა წინაპირობა უნდა შექმნან? გიპასუხებთ — ეს მათი საქმეა. იმიტომ არიან ხელისუფლებაში, რომ დიპლომატიური ურთიერთობები მოაგვარონ. აბა, რისთვის გვაქვს საგარეო საქმეთა სამინისტრო?!

**— რუსეთში ჩასულმა ჩვენმა პრემიერმა რა თემაზე უნდა ისაუბროს?**

— შეგნებულად არ გამიმახვილებია ყურადღება ამ საკითხზე. ძნელი იქნება საუბრის დაწყება, მაგრამ დასაწყები რომ არის, ფაქტია. ჩვენ მეზობლები ვართ და როგორღაც უნდა ვისაუბროთ. საუბარი და ურთიერთობა ბევრი სასიკეთო გადაწყვეტილების მიღებას შეუწყობს ხელს. 2014 წელს, როდესაც **მარგველაშვილი** იყო პრეზიდენტი, რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** შემოთვალა, რომ სურვილი აქვს, საქართველოს პრეზიდენტს დაელაპარაკოს, მაგრამ მარგველაშვილმა „პარტნიორებსა და მეგობრებთან“ დალაპარაკება გადაწყვიტა, მათი რჩევების მოსმენა და ეს პარტნიორები უცხო ქვეყნის მმართველები იყვნენ... ეს არ იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც რუსეთის მხარემ ჩვენს ქვეყანასთან დალაპარაკების სურვილი გამოთქვა.

უცილებელია, საქართველო წავიდეს დათმობებზე, გამონახოს საერთო ინტერესების სფეროები მეზობელთან, რადგან სხვა გზა არ არსებობს, შუამავლები ჩვენს საქმეს არ გააკეთებენ, კიდევ ვიმეორებ: ყველას თავისი ინტერესი აქვს და, უწინარესად, თავისას მიხედავენ...

**აუცილებელია, საქართველო რუსეთს შუამავლების გარეშე დაელაპარაკოს. მჯერა, თუ ასე მოხდება, ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება, განსაკუთრებით რუსეთთან, ჩვენ მათთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გვაქვს.**

ძალიან კარგი შანსია დღეს რუსეთის პრეზიდენტთან მისასვლელად, უკრაინის კრიზისი იძლევა ამის საშუალებას. გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლავროვმა** ისაუბრა საქართველოზე და მათ აქვთ მოლოდინი, რომ დიალოგს დავიწყებთ. ძალიან მნიშვნელოვანია „3+3“ ფორმატი ჩვენი ქვეყნისთვის და სწორედ ამ ფორმატში ჩართვა მოგვცემს საშუალებას, ვისაუბროთ რუსეთთან. მათ მიგვანიშნეს თავიანთ განწყობაზე, როდესაც საქართველოს არყოფნის შემთხვევაშიც კი, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე ჩვენი დროშა წარმოადგინეს.

რამდენიც და რაზეც უნდა ვისაუბროთ, საქართველოს, თუ რუსეთს არ დაელაპარაკება, კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზა არ აქვს. **თუ გახსოვთ, მე წინააღმდეგი ვიყავი იმ რეზოლუციის, რომელიც საქართველოს მთავრობამ უკრაინას გაუგზავნა. ან საერთოდ არ უნდა გაეგზავნა, ან, თუ გაგზავნიდა, უნდა ჩაეწერა — „შეასრულე მინსკის შეთანხმებით გათვალისწინებული პუნქტები“. იმხანად ჩემი რჩევა არ გაითვალისწინეს, მაგრამ ზუსტად ერთ კვირაში ყველა ქვეყნის ხელისუფლებამ უკრაინას სწორედ მინსკის შეთანხმების შესრულება მოსთხოვა, რომელიც გადაარჩენს უკრაინას.**

მეეჭვება, რუსეთსა და უკრაინას შორის ომი დაიწყოს, რადგან მათ ერთი ფუძე აქვთ, ერთი ხალხია, გადაჯაჭვულები არიან ერთმანეთზე, ნათესაური კავშირები აქვთ, მაგრამ, თუ მოხდა პროვოკაცია უკრაინის მხრიდან და ეს ძალიან მარტივი გასაკეთებელია, მაშინ მოვლენები ცუდად განვითარდება და უკრაინა მძიმე მდომარეობაში ჩავარდება.

**რუსეთი უკან არ წაიღებს სიტყვებს ნატოს ბაზების თავის საზღვრებთან განლაგების შესახებ და არც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერების მოთხოვნას, რადგან ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ სიტუაციაში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, შეხვდეს და დაელაპარაკოს რუსეთის პირველ პირებს და გააკეთოს სერიოზული განაცხადი...** ევროპული ღირებულებები საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მხოლოდ ის ღირებულებები, რომლებიც ჩვენი ხალხისთვისაა მისაღები და რომლებიც ჩვენს იდენტობას არ წაშლის, ასეთი კი, მერწმუნეთ, ევროპელებს ბევრი აქვთ. ქართველებმა ისეთი სახელმწიფო უნდა შევქმნათ, რომელიც არავის დაურღვევს სიმშვიდეს და მოვიპოვებთ ერთიანობასაც. ჩვენმა ქვეყანამ ტერიტორიების დაბრუნების ისეთი გზა უნდა გამონახოს, რომ ჩვენი ერთიანი ქვეყანა მისაღები იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით მეზობლებისთვის. ზედმეტი თავისტკივილი არავის არ უნდა — არც ერთ მეზობელს და განსაკუთრებით — რუსეთს.

**ჩვენი რუსეთთან დალაპარაკება, ისეთი, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რაღაც გზა გამოვნახოთ, წარმატებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურადაც. ის მიმზიდველი იქნება ყველა მეზობლისთვის. აქ დააბანდებენ ფულს, გახსნიან ბანკებს, დაიწყებენ მშენებლობებს, შეიძენენ სახლებს, აგარაკებს. ჩვენ შევქმნით მეზობლისთვის მისაღებ პირობებს და ისინიც დიდი სიამოვნებით ჩამოვლენ ჩვენთან. ამ ყველაფრისთვის კი, უმნიშვნელოვანესია, ყოველგვარი შუამავლების გარეშე ვესაუბროთ პირდაპირ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს.**

**— უსაფრთხოების თვალსაზრისით რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას?**

— ყველანი ვხედავთ, რა როლს თამაშობს უკრაინაში დასავლეთი, მათი ქმედებები ჩვენთვის განგაშის ზარი უნდა იყოს. უკრაინა ევროპის უდიდესი ქვეყანაა, იქ ინტერესებიც დიდი აქვთ ევროპელებსა და ამერიკელებს, მაგრამ ომის შემთხვევაში, ამბობენ, რომ უკრაინაში დასახმარებლად ჯარს არ გაგზავნიან. ჰპირდებიან ტექნიკის გაგზავნას, მაგრამ რისთვის?! იმისთვის, რომ მოძმე ხალხებმა ერთმანეთი დახოცონ?! ზედმეტმა იარაღმა თავის დროზე სააკაშვილი დაღუპა, ახლა, იარაღით გათამამებულები, იმავეს აკეთებენ უკრაინაშიც.

შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, ძალიან ბევრი შეცდომაა ისედაც დაშვებული. მომავალი თაობა არ გვაპატიებს შანსის ხელიდან გაშვებას...

**— გაითვალისწინებს პრემიერმინისტრი ამ რჩევას და წავა რუსეთის პრეზიდენთან მოლაპარაკებაზე?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ისე გასაგებად ჩამოვაყალიბე სათქმელი, იმდენ მნიშვნელოვან საკითხს შევეხე, რომ უნდა გაითვალისწინოს. მე ჩემი ნაფიქრი და ნააზრევი მივაწოდე მათ და, თუ მთავრობას ჩვენი ქვეყნის გადარჩენის რამე სხვა ალტერნატივა აქვს, მათგანაც მოვისმენ. მაინტერესებს, თუ რუსეთში არ ჩავალთ, რა მოხდება, ჩვენ მაგივრად ვინ ილაპარაკებს? სააკაშვილის შეცდომებს ნუ გაიმეორებენ. კიდევ ერთხელ ვიტყვი: თუ ჩემს წინადადებას არ მიიღებენ, მაშინ დაველოდები ალტერნატიულ მოსაზრებას, იქნებ უფრო ჭკვიანური რამ აქვთ მოფიქრებული...

**«მე ჩემი ნაფიქრი და ნააზრევი მივაწოდე მათ და, თუ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის სხვა ალტერნატივა აქვთ, მოვისმენ. მაინტერესებს, თუ რუსეთში ჩვენ არ ჩავალთ, ჩვენს მაგივრად ვინ ილაპარაკებს?»**

**«რუსეთი უკან არ წაიღებს სიტყვებს ნატოს ბაზების თავის საზღვრებთან განლაგების შესახებ და არც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერების მოთხოვნას, რადგან ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ სიტუაციაში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, შეხვდეს და დაელაპარაკოს რუსეთის პირველ პირებს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„რუსეთი დიდი ქვეყანაა და მისი ბაზარი პატარა საქართველოსთვის მისწრებაა. გარდა ამისა, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მასთან ალიანსში ყოფნა გააიაფებს ენერგომატარებლებს. ჩვენი ენერგომატარებლები ისედაც რუსეთის ხელშია, მაგრამ მტრულ ურთიერთობაში ყოფნა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ფასები ჩვენთანაც ისეთივე იყოს, როგორც რუსეთის მეგობარ ქვეყნებს აქვთ“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ან ვინ გამოიყვანს სოციალურ-ეკონომიკური ჩიხიდან საქართველოს

**„საქართველოში ეკონომიკა დუღს“, — ამბობდა ეკონომიკის აწ უკვე ყოფილი მინისტრი ნათია თურნავა. ხალხი გაკვირვებული იყო მისი სიტყვებით, რადგან „ეკონომიკის დუღილს“ ვერ გრძნობდა, მეტიც, შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თურნავა და ქართველი ხალხი სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ...**
**რამდენიმე დღის წინათ პრემიერმინისტრმა „ეკონომიკის ამდუღებელი“ მინისტრი სოფლის მეურნეობის მინისტრით ჩაანაცვლა, როგორც ჩანს, ვერც პრემიერმა დაინახა, სად და როდის „ადუღდა“ ეკონომიკა.**
**პრემიერისა და მინისტრების ცვლილებით საზოგადოებას ვერავინ გააკვირვებს და ვერც ახლის და უკეთესის მოლოდინს შეუქმნის. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ აინტერესებს და ბევრმა არც იცის, ვინ რისი მინისტრია, მათ იციან, რომ საქართველო წინ ვერ მიდის, ჭაობშია ჩაფლული...**
**რა და ვინ გამოგვიყვანს სოციალურ-ეკონომიკური ჩიხიდან — ამ და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრებიან: არდალიონ ხაამე, ბორის კაკაბაძე და მერაბ ზურაბაშვილი.**



## „საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა გადაარჩენს“

**არდალიონ ხაძე, პენსიონერი:**

— მინისტრების მოხსნა ან გადანაცვლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას ვერ უშველის, ვერ გადაარჩენს. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა გადაგვარჩენს. ამ სიტყვებზე, შესაძლოა, ბევრმა იქილიკოს, მაგრამ მეზობელი ქვეყანაა რუსეთი და ნამდვილად იქნება ჩვენი პარტნიორი, ისეთი კი არა, როგორებიც ახლა გვყავს. კრედიტებს, რომლებსაც დასავლეთიდან გვაძლევენ, აუარებელი ინსტრუქცია მოჰყვება, მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ასაყვავებლად არ არის.

იმას, რასაც ევროპა-ამერიკა გვიკრძალავს, რუსეთი არ აგვიკძალავს, პირიქით — დაგვეხმარება.

**რუსეთი დიდი და ძლევამოსილი ქვეყანაა. ამ უძლეველი ქვეყნის დაშლა სურს ევროპასა და ამერიკას; გვარწმუნებენ, რუსეთი ცუდიაო და ჩვენს ხალხსაც სჯერა ამის, განსაკუთრებით — ახალგაზრდებს. არადა, ეს ასე არ არის, რუსეთი არ არის ბნელი ძალა და ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მასთან ურთიერთობა.**

**— როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი რუსეთთან ურთიერთობა? უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში რა უნდა მოიმოქმედოს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ, რუსეთი რომ დაგველაპარაკოს?**

— ჩვენმა ხელისუფლებამ გულახდილი და მეგობრული ურთიერთობა უნდა დაამყაროს რუსეთის სახელმწიფოსთან. რუსებს ჩვენი ქვეყანა უყვართ და ურჩევნიათ, როგორც ადრე ვიყავით დარიალის კარიბჭის პატრონები, ისევ ისე ვიყოთ და ამის პირობა უნდა მივცეთ. ქართველების ძლიერება რუსეთისთვის მისაღებია.



## „მტერი მოყვრისგან უნდა გავარჩიოთ და ქვეყანა ახალ რელსებზე გადავიყვანოთ“

**ბორის კაკაბაძე, ავტოინჟინერი:**

— რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ჩვენთვის გამოსავალია. მართალია, უმალვე სამოთხეში არ აღმოვჩნდებით, მაგრამ, რაც დღეს გვაქვს, იმას აუცილებლად აჯობებს.

**თუ ჩვენი ქვეყნის მმართველებს სურთ, ქვეყანა ჩიხიდან გამოვიდეს, სოციალური სამართლიანობის გზას უნდა დაადგეს, სოციალიზმის გზას უნდა დაადგეს და ამ სიტყვის თქმის ნურავის შეეშინდება. დიახ, სწორედ სოციალიზმი გვიხსნის არსებული გაუსაძლისი ყოფისგან.**

ერთი მინისტრი მეორეთი შეიცვლება თუ არა, არაფერი იცვლება, წრეზე ვტრიალებთ.

რუსეთთან დალაპარაკება აუცილებელია, ეს ისტორიული გარდაუვალობაა. თუკი ვინმეს ჭკუა ეკითხება, ყველამ იცის, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება აუცილებელია და გადარჩენის გზაა. რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია, გაარღვიოს მსოფლიოში არსებული სიბნელე და კაცობრიობა გადაიყვანოს ნათელ მხარეს.

უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებსაც ბოროტი ზრახვები არ ჰქონდათ გულში, ახსოვთ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული თბილი და მეგობრული ურთიერთობის სიკეთე. რუსები კარგი ხალხია, მთავარია, არ უღალატო, არ მოატყუო, საფრთხე არ შეუქმნა და გადაგყვებიან, შენთვის თავს მოიკლავენ. რუსეთი დიდი ძალაა, დიდი ზურგია მათთვის, ვინც მასთან მეგობრობს. ის დიდი ქვეყანაა და ჩვენი ეკონომიკის აღორძინებას დიდად შეუწყობს ხელს.

**რამენაირად უნდა დავარწმუნოთ ჩვენი ხელისუფლებაც, ერიც და ბერიც, რომ რუსეთთან ურთიერთობა ბევრ რამეს გამოასწორებს ჩვენს ქვეყანაში — ეკონომიკას, უსაფრთხოებას, სოციალურ პრობლემას, ტერიტორიულ პრობლემას...**

რაც შეეხება მინისტრების ცვლილებას, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. მტერი მოყვრისგან უნდა გავარჩიოთ და ქვეყანა ახალ რელსებზე გადავიყვანოთ. ეს კი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებით უნდა დაიწყოს.



## „საქართველომ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი... ამერიკას საქართველოში ჰყავს თავისი აგენტურა, რომელმაც მოსპო და გაანადგურა ჩვენი სამშობლო “

**მერაბ ზურაბაშვილი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— მინისტრების ცვლილება არაფრის მომტანია, ამით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. სოციალური სამართლიანობაა სწორედ ის სისტემა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობაზეა მორგებული.

**საქართველოში ყველაფერი ცუდად არის, — ვამბობთ ჩვენ, მაგრამ, თუ ასეა, რატომ ყველას ერთნაირად არ უჭირს? რატომ არიან მილიონერები და ღატაკები? ადამიანმა უნდა იშრომოს და თავისი შრომის საფასური უნდა მიიღოს! ეს არის სამართლიანობა. სხვაგვარად ღირსებას ვკარგავთ.**

საქართველომ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენ უნდა გავხდეთ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი, სხვანაირად ფეხზე ვერ დავდგებით. ჩვენი ხსნის გზა სტალინური გზაა, სხვა არაფერი არ გადაგვარჩენს.

ჩვენი ქვეყნის მმართველები უნდა ჩავიდნენ რუსეთის ხელისუფლებასთან და მოლაპარაკებები აწარმოონ, ახლა ამისთვის ძალიან კარგი დროა. თუკი მთელი მსფლიოს ლიდერები ხვდებიან ვლადიმერ პუტინს და თავიანთი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ჩვენ რა გვჭირს?!

**— რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებამ?**

— ეს, უწინარესად, უსაფრთხოებაა. არ ვარ სამხედრო საქმის სპეციალისტი, მაგრამ ვხედავ, რომ რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ომი სურს, მაგრამ, თუკი მის წინააღმდეგ წავა ვინმე, უკან არ დაიხევს. ჩვენი ქვეყანა ნატოში ინტეგრაციის გზაზე ნელნელა იღუპება, ნატო სამხედრო აგრესიული ძალაა, სადაც ნატო გამოჩნდა, ყველგან ყველაფერი განადგურდა, მოისპო და ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდება. დროა, გონს მოვეგოთ და თავი შევაფაროთ მეზობელ ქვეყანას, ვიმეგობროთ მასთან და, გარდა უსაფრთხოებისა, სხვა ბევრი პრობლემაც მოგვარდება.

ჩვენ წინსვლა გვექნება ეკონომიკაში, გამოსწორდება სოციალური მდგომარეობა. **რუსეთი დიდი ქვეყანაა და მისი ბაზარი პატარა საქართველოსთვის მისწრებაა. გარდა ამისა, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მასთან ალიანსში ყოფნა გააიაფებს ენერგომატარებლებს. ჩვენი ენერგომატარებლები ისედაც რუსეთის ხელშია, მაგრამ მტრულ ურთიერთობაში ყოფნა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ფასები ჩვენთანაც ისეთივე იყოს, როგორც რუსეთის მეგობარ ქვეყნებს აქვთ.** საქართველოს ხელისუფლებამაც და ე.წ. ოპოზიციამაც კარგად იციან, რომ რუსეთი თავის მეგობარ ქვეყნებს ნავთობს, ბუნებრივ აირსა და ა.შ. ნახევარ ფასად აძლევს, ეს კი საუკეთესო გამოსავალია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის, რომელიც უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ცხოვრობს.

> «უნდა დავარწმუნოთ ჩვენი ხელისუფლებაც, ერიც და ბერიც, რომ რუსეთთან ურთიერთობა ბევრ რამეს გამოასწორებს ჩვენს ქვეყანაში: ეკონომიკას, უსაფრთხოებას, სოციალურ პრობლემას, ტერიტორიულ პრობლემას...»

**ამერიკას მსოფლიოზე ბატონობა სურს, ამ გზაზე ხელს რუსეთი უშლის, ჩვენ კი, როგორც რუსეთის მეზობელი ქვეყანა, მათ მეტოქეობას ვეწირებით. ამერიკას მხოლოდ პლაცდარმად ვჭირდებით და სხვა ჩვენგან არაფერი აინტერესებს. ის პირდაპირ ვერ ებრძვის რუსეთს, რადგან დიდ ზარალს ნახავს, ამიტომ სხვადასხვა ხერხით ცდილობს მოქმედებას, ამ მოქმედებებისთვის ჩვენს ქვეყანაში (და არა მხოლოდ) ჰყავს თავისი გოშიები, წამხდარი ნაძირლები, გახრწნილი ადამიანები, რომლებიც სულსა და სამშობლოს ფულზე ყიდიან.**

ამერიკა და საქართველოში მცხოვრები მათი მონა გოშიები ყველაფერს აკეთებენ, რათა რუსეთთან ურთიერთობა დაგვეძაბოს, ამისთვის ყველას და ყველაფერს გაწირავენ და წირავენ კიდეც.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენ არც შრომა გვეზარებოდა და არც ფული გვაკლდა, ღირსებააყრილები არ ვიყავით. ახლა ყოველდღე უკანუკან მივდივართ, წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადაგვიდგამს. ყველაფერი იკარგება და ინგრევა. გვესმის, რომ ეს პატარა ქვეყანა დიდი პოლიტიკის მსხვერპლია, იმ პოლიტიკოსების, რომლებიც გაიყიდნენ. **ამერიკას საქართველოში ჰყავს თავისი აგენტურა, რომელმაც მოსპო და გაანადგურა ჩვენი სამშობლო.**

სახალხო მეურნეობა მიზანმიმართულად დაგვინგრიეს, მრეწველობა გაანადგურეს, ქარხნები და ფაბრიკები ჯართად გაყიდეს, სოფელი მოსპეს, მეურნეობებისგან აღარაფერი დარჩა. განადგურებულს, სრულად თუ ვერა, ნაწილობრივ რუსეთთან ურთიერთობა აღგვიდგენს. თუმცა, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ხელისუფლება, რომელიც არჩევნების ანგარიშს ამერიკის ელჩს აბარებს, გადაწყვეტილების მიმღები არ არის; ვერასოდეს გაბედავს, დაელაპარაკოს რუსეთს. ასე რომ, მინისტრს მოხსნიან თუ ჩაანაცვლებენ ან გადაანაცვლებენ, არსებითად არაფერი შეიცვლება.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

> „რუსეთი დიდი და ძლევამოსილი ქვეყანაა. ამ უძლეველი ქვეყნის დაშლა სურს ევროპასა და ამერიკას; გვარწმუნებენ, რუსეთი ცუდიაო და ჩვენს ხალხსაც სჯერა ამის, განსაკუთრებით — ახალგაზრდებს. არადა, ეს ასე არ არის, რუსეთი არ არის ბნელი ძალა და ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მასთან ურთიერთობა“

«მარტოკამ უნდა ვითამო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის მხარდაჭერით შეგულიანებული ზელენსკი ისევე რომ შეიჭრას ყირიმის ტერიტორიაზე, როგორც 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილი შეიჭრა ცხინვალში, რა შედეგი მოჰყვება ამას ან უკრაინისთვის, ან რუსეთისთვის, ან ევროპისთვის და, თუ გნებავთ, მსოფლიოსთვის? უფიქრია ვინმეს ამაზე? სხვებს თუ არ უფიქრიათ (უნდა ეფიქრათ!), რუსეთმა იფიქრა და აშშ-ს უსაფრთხოების გარანტიებიც მოსთხოვა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო.**



# სისხლი და მოგება

## თუკი ვინმეს შეუძლია, კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი აიცილოს, ეს არის რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ვინაიდან რუსეთი ომს არ იწყებს, რუსეთი, როგორც წესი, ომს ამთავრებს

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

### მეხუთე გამოშვება

**პრეზიდენტყოფილმა მიხეილ სააკაშვილმა მის სასამართლო პროცესზე, რომელზეც ბიუჯეტის თანხების ქურდობისთვის ასამართლებენ, შარვლიდან (თუ ნიფხვიდან) უკრაინის დროშის ფერებში შეღებილი, ჭუჭყიანი ჭინჭი ამოაძრინა და ამ ქვეყნის ჰიმნის მოტივებზე შემზარავი სიმღერა წამოიწყო. დიდხანს ზმუოდა დაბმულ ძროხასავით. მისი ამ გულისამრევი „პერფორმანსის“ ბოლოს კი უკრაინულ-პატრიოტულად შეჰბღავლა.**

— Слава україні!

სააკაშვილის მხარდამჭერები, არ ვიცი, უკრაინის ჰიმნის პატივისცემის გამოსახატავად, არ ვიცი, ზელადის მიმართ თაყვანისცემის ნიშნად, გულზე მარჯვენა ხელისმტევანმიდებულნი, სმენაზე იდგნენ.

ეს ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლების საქართველოს რეალობაა. თანამედროვე თაობის ცნობიერება ისეა დაზიანებული, რომ ამ ფაქტის შეფასება მომავალი თაობების საქმე უფრო მგონია...

**— Слава україні!**

**ორი ათეული წელიწადია, რაც ამ ორ სიტყვას გაჰყვირიან უკრაინაში. და ამ ყვირილის რეალური შედეგი ისაა, რომ ეს ქვეყანა შეიძლება სულ მალე მსოფლიო ომის თეატრად იქცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისგან არაფერი დარჩება.**

აშშ მოუწოდებს თავის მოქალაქეებს, სასწრაფოდ დატოვონ უკრაინის ტერიტორია. ამ მოწოდებას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა: ავსტრალიითა და ახალი ზელანდიით დაწყებული და იაპონიითა და სამხრეთ კორეით დამთავრებული, ყველა სახელმწიფოს მოქალაქეები და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები ტოვებენ უკრაინას, რადგან ვარაუდობენ, რომ სახელმწიფოში მალე ფართომასშტაბიანი ომი გაჩაღდება.

ეს შეიძლება კოშმარად იქცეს, — აცხადებენ აშშ-ში. აშშ-ის სამხედრო შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა **მარკ მილიმ** და თავდაცვის მინისტრმა **ლოიდ ოსტინმა** განაცხადეს, რომ, თუ ომის თავიდან აცილება ვერ მოხერხდება, შედეგები შემაძრწუნებელი იქნება. „რამე ახალი ხდება?“ — სვამს მილი შეკითხვას და თვითონვე პასუხობს: „დიახ, ეს სიახლეა იმ თვალსაზრისითაც, რა მასშტაბებს იღებს წვრთნები, რომლებსაც რუსეთი ატარებს. ეს დიდად აღემატება იმას, რაც ოდესმე გვინახავს.

**თუკი ყოველივე ეს — სახმელეთო შენაერთები, არტილერია, ბალისტიკური რაკეტები, სამხედრო-საჰაერო დაჯგუფებები, საზღვაო არმადა — გამოყენებული იქნება უკრაინის წინააღმდეგ, მოხდება რაღაც საშინელი, რაც მოიტანს უზარმაზარ მსხვერპლს“.** ამერიკელები ამ შეფასებაში არც ტყუიან და არც ცდებიან, მაგრამ... მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნააზრევში არ არის ალტერნატიული ხედვა, რომელიც, შესაძლებელია, ასეთი სახით იყოს ჩამოყალიბებული: **„ჩვენ (ამერიკელები) რომ არ ვქმნიდეთ წინაპირობებს იმ კოშმარისთვის, რომელიც შესაძლებელია უკრაინაში დატრიალდეს; ჩვენ რომ არ მივათრევდეთ ნატოს რაკეტებს რუსეთის საზღვრებისკენ; ჩვენ რომ არ ვეპატიჟებოდეთ უკრაინას ნატოში; ჩვენ რომ არ ვიყოთ პროვოკატორები; ჩვენ რომ არ ვცდილობდეთ ნატოს ალყაში რუსეთის მოქცევას; ჩვენ რომ არ გვწყუროდეს ის დიდი სისხლი, რომელიც ომის შემთხვევაში უკრაინაში აუცილებლად დაიღვრება, ასეთ შემთხვევაში არც ომის წინაპირობები იარსებებდა და არც ომი დაიწყებოდა“.** მარტივი მსჯელობაა და მარტივი გამოსავალია, მაგრამ ეს მსჯელობა ამერიკელებისთვის მიუღებელია. მათთვის მისაღებია მხოლოდ ერთი რამ: რუსეთის ისეთი კაპიტულაცია, როგორ კაპიტულაციასაც ოცდაათი წლიის წინათ საბჭოთა ლიდერებმა მოაწერეს ხელი. მათ ამის გარდა არაფრის გაგონება არ სურთ. ისინი დღემდე ვერ ხვდებიან, რომ არც დღევანდელი რუსეთია გასული საუკუნის 80-იანი წლების საბჭოთა კავშირი და არც პრეზიდენტი **პუტინი — გორბაჩოვისა** და **ელცინის** პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი.



ამიტომ ჩემ მიერ ციტირებული გენერლები იმ ალტერნატიულ მსჯელობას, რომლის ნიმუშიც მე შემოგთავაზეთ, სრულიად სხვა მიმართულებას ამჯობინებენ. მაგალითად, ასეთს: „ვითარების დეესკალაციისთვის საკმარისია, პრეზიდენტმა პუტინმა გასცეს ბრძანება მისი სამხედროების უკრაინის სიახლოვიდან გაყვანის შესახებ“. **როგორ მოგწონთ? პრეზიდენტმა პუტინმა თურმე უკრაინის საზღვრების სიახლოვიდან სამხედროები უნდა გაიყვანოს და ეს იმ ვითარებაში, როდესაც, აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თქმით, „კიევმა უკვე მიიღო სამხედრო დანიშნულების საქონლის ოთხი პარტია. მათ შორის ტყვია-წამალი, ყუმბარმტყორცნი SMAW-D და ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს JAVELIN-ის რაკეტები“.**

აშშ-ის მაღალჩინოსანთა მსჯელობიდან მხოლოდ ის აზრი გამოდის, რომ დასავლეთმა უკრაინა კბილებამდე უნდა შეაიარაღოს, რუსეთმა კი თითიც არ უნდა გაატოკოს. არა მგონია, რომ ადამიანები, რომლებიც ასე მსჯელობენ, ნორმალური იყვნენ. თუკი ისინი იმ კატასტროფას მოელიან, რომელიც თავიანთ საჯარო გამოსვლებში აქვთ აღწერილი, ასეთ შემთხვევაში უკრაინის შეიარაღებით ვითარებას კი არ უნდა ძაბავდნენ, რუსეთთან სწორი პოლიტიკის გატარებითა და მისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემით ვითარების განსამუხტავად უნდა ილვწოდნენ. თუმცა, **რა ვითარების განმუხტვა უნდა მოსთხოვო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, მაგრამ მისი კოლეგა ლავროვისთვის ყური არ დაუგდია, მოსკოვის პოზიცია არც მოუსმენია, ისე მიაყარა მუქარით აღსავსე ტირადები, შემდეგ წითელ მოედანზე რამდენიმე ფოტო გადაიღო და მოსკოვიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.** ლავროვმა მათი საუბარი ყრუსა და მუნჯის დიალოგს შეადარა, როდესაც ერთს არ ესმის, მეორე კი ვერ ლაპარაკობს. შედარება კარგია, მაგრამ მთლად ზუსტი არ არის. **რუსეთის საუბარი კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან ყრუსა და მუნჯის დიალოგს კი არა, ყრუ-მუნჯთან, ანუ იმ ადამიანთან საუბარს დაემსგავსა, რომელსაც არც ესმის და ვერც ლაპარაკობს. დასავლეთმა მოსმენისა და ლაპარაკის უნართან ერთად აზროვნების უნარიც დაკარგა. დასავლეთმა საერთოდ ყველა უნარი დაკარგა, გარდა უკიდეგანო სიცრუისა, პროვოკაციისა, გარყვნილებისა, მოგების მიღებისა და ჩახმახის სასხლეტზე თითის გამოკვრისა.** ისინი თავისუფალი არიან სინდისისგან, მორალისგან, ჰუმანიზმისგან, კაცთმოყვარეობისგან. ისინი დაიცალნენ პასუხისმგებლობისგან, რის გამოც დაკარგეს ადამიანის სახე და შინაარსი. დაკარგეს რა ადამიანის სახე და შინაარსი, დაკარგეს ღვთაებრივი საწყისი და სატანის მსახურებად იქცნენ. აი, ეს დაემართა დასავლეთს. ამას ამერიკელებიც ხედავენ. პირველ რიგში კი ისინი, ვის პროფესიულ მოვალეობას საბჭოთა კავშირისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს განსხვავებული კუთხითა და ალტერნატიული ლოგიკით შეხედეს. ასეთი ბევრია.

აი, რას წერდა ერთ-ერთი მათგანი, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი **ჯო ვაისბერგი** გაზეთ The Woshington Post-ის ფურცლებზე გასული წლის 19 დეკემბერს: **„ნაცვლად იმისა, რომ შევეცადოთ, ჩავწვდეთ პუტინის შეშფოთების მიზეზებს, ჩვენ მას აღვიქვამთ, როგორც ბოროტ ძალას, რომელიც თავს ესხმის ჩვენს ქვეყანას. ამ დროს თვითონ აშშ ბოლო წლების განმავლობაში მიმართავს მაქსიმალურად აგრესიულ ქმედებებს რუსეთის წინააღმდეგ. ამგვარ ქმედებათა რიგს განეკუთვნება: ნატოს წევრობის შეთავაზება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის; რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების განთავსება რუსეთის საზღვრებთან; რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების მიღება“.** ყველაფერი ზუსტად არის დანახული და შეფასებული, მაგრამ ოფიციალურ ვაშინგტონსა და მასთან ერთად მთელ კოლექტიურ დასავლეთს ▶

**დასავლეთში ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან: რუსეთი უკრაინაში შეჭრას გეგმავსო. ამ დროს კი თვითონ ყოველგვარი საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით უკრაინა იარაღით გატენეს, თანაც რუსეთს უკიჟინებენ: უკრაინის საზღვართან (რუსეთის ტერიტორიაზე) მობილიზებული სამხედრო კონტინგენტი უკან წაიყვანეო. ისე ხომ არ გამოდის, რომ ისინი უფრო აპირებენ რუსეთის ტერიტორიაზე შემოჭრას, ვიდრე პირიქით**

**საერთაშორისო სამართლის რომელ ნორმას ეფუძნება აშშ, როდესაც ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობებში ასე უცერემონიოდ იჭრება? არც ერთს! მაშ, რა არის ეს ან რასთან გვაქვს საქმე? ამას ერთადერთი სახელი ჰქვია — საერთაშორისო თვითნებობა და ბოროტი ხულიგნობა. ეს ყველამ იცის, მაგრამ ძალმომრეობა იქამდე მიდის, რომ ევროპის ბევრი სახელმწიფო თვითონ ევროპისთვის დამანგრეველ ამ ბინძურ კამპანიაში ამერიკელებს უჭერს მხარს.**

«მარტოკამ უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჩვენ თურმე, როგორც მოვახერხებთ, მონაწილეობა უნდა მივიღოთ შავ ზღვაზე რუსეთის შევიწროებაში. ამასთანავე, ამერიკელებს ფართოდ გავუღოთ ჩვენი საზღვაო პორტები ფოთსა და ბათუმში. რაც მთავარია, უნდა მივცეთ საშუალება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა, რომელიც ამერიკელთა სამხედრო ბაზა იქნება და, აშშ-ის ელჩის ნათქვამის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, შავი ზღვა არა რუსეთის, არამედ ამერიკელთა უკანა ეზოს ზღვად გადაიქცევა. ეს არის ამერიკელების მიერ ჩვენთვის დაკისრებული პოლიტიკის მთელი ფილოსოფია

◀ არაფრის გაგონება არ სურთ.

**დასავლეთში ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, რუსეთი უკრაინაში შეჭრას გეგმავსო, თვითონ კი ამ დროს, ყოველგვარი საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით უკრაინა იარაღით გაძეძგეს, თანაც რუსეთს უკიჟინებენ, უკრაინის საზღვართან (რუსეთის ტერიტორიაზე) მობილიზებული სამხედრო კონტინგენტი უკან წაიყვანეო. ისე ხომ არ გამოდის, რომ ისინი უფრო აპირებენ რუსეთის ტერიტორიაზე შემოჭრას, ვიდრე პირიქით.** ძლიერი შეიარაღებითა და დასავლეთის მხარდაჭერით შეგულიანებული **ზელენსკი** ისევე რომ შეიჭრას ყირიმის ტერიტორიაზე, როგორც 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილი შეიჭრა ცხინვალში, რა შედეგი მოჰყვება ამას ან უკრაინისთვის, ან რუსეთისთვის, ან ევროპისთვის და, თუ გნებავთ, მსოფლიოსთვის? უფიქრია ვინმეს ამაზე? სხვებს თუ არ უფიქრიათ (უნდა ეფიქრათ!), რუსეთმა იფიქრა და აშშ-ს უსაფრთხოების გარანტიებიც მოსთხოვა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო: „Принципиальные российские озабоченности оказались проигнорированы“, — განაცხადა პუტინმა აშშ-იდან მიღებული პასუხის კომენტირებისას. „Мы не увидели адекватного учета трёх наших ключевых требований, касающихся недопущения расширения НАТО, отказа от размещения ударных систем вооружения вблизи российских границ, а также возврата военной инфраструктуры блока в Европе к состоянию 1997 года, когда был подписан основополагающий акт Россия-НАТО.“ რა მოჰყვება ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი აშშ-ის ამგვარ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას? — ეს შეკითხვაც პუტინმა დასვა და თავადვე გასცა პასუხი საფრანგეთის პრეზიდენტ **მაკრონთან** გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე: „Европейские страны, в том числе Франция считают, что Крым является частью Украины, а мы считаем, что это часть России. И, если будут предприняты попытки изменить эту ситуацию военным путем, а в доктринальных документах Украины прописано, что: а) Россия — противник, и б) возможно возвращения Крыма военным путем, представьте ситуацию, что Украина — член НАТО. Пятая статья не отменена. Наоборот господин Байден недавно сказал, что пятая статья — это абсолютный императив, что в таком случае делать России — воевать с НАТО? Но я хочу и вас спросить... А вы хотите воевать с Россией? Вы спросите своих читателей, зрителей, пользователей интернет-ресурсов. Вы хотите, чтобы Франция воевала с Россией? Но ведь так оно и будет. Вы понимаете или нет, что, если Украина будет в НАТО и военным путем будет возвращать себе Крым, европейские страны будут автоматически втянуты в военный конфликт с Россией?!” საკითხი აბსოლუტურად სწორად, სამართლიანად, ლოგიკურად და პატიოსნადაა დასმული. პოლიტიკაში (საერთოდ, ცხოვრებაში) უმთავრესი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებია. რას რა შედეგი მოჰყვება? — აი უმთავრესი შეკითხვა, რომელსაც ცხოვრება თითოეული ადამიანისა და თითოეული სახელმწიფოს წინაშე სვამს. საფრანგეთის პრეზიდენტთან გამართულ პრესკონფერენციაზე პუტინმა მაკრონსაც და სრულიად მსოფლიოსაც სწორედ ეს შეახსენა. თუმცა არამხოლოდ ეს, არამედ ისიც, რომ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომელიც მსოფლიოში უმძლავრეს ბირთვულ პოტენციალს ფლობს. ეს დროული და უაღრესად მნიშვნელოვანი შეხსენება იყო: „Конечно, потенциал объединенной организации НАТО и России несопоставим. Мы это понимаем, но мы также понимаем и то, что Россия является одной из ведущих ядерных держав. А по некоторым компонентам современности даже многих опережает. Победителей не будет!” ეს სერიოზული გაფრთხილებაა. დასავლეთში უნდა შეიგნონ, საით მიაქანებენ მსოფლიოს.

წინა სტატიაში ვწერდი, პეკინის ერთმნიშვნელოვნად უარყოფით დამოკიდებულებაზე ნატოს გაფართოების მიმართ, რის შესახებაც ნათქვამი იყო რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც პეკინში პუტინის ვიზიტს მოჰყვა 2022 წლის 4 თებერვალს. პეკინში, როგორც ჩანს, ამ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ განცხადებას იმავე დღეებში მოჰყვა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალოგიური განცხადება, ხოლო დაახლოებით ერთი კვირის თავზე **ევროკავშირში ჩინეთის წარმომადგენლობის საიტზე კიდევ ერთი განცხადება გამოჩნდა, რომელიც ისევ და ისევ ნატოს გაფართოების წინააღმდეგაა მიმართული: „ცივი ომის დამთავრებიდან ოცდაათი წელიწადის შემდეგ ნატო განაგრძობს მისი გეოგრაფიისა და ოპერაციათა დიაპაზონის გაფართოებას. ეს არ ემსახურება მსოფლიოში სტაბილურობასა და უსაფრთხოებას“.**

პეკინის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მთელი მსოფლიო ელოდება ჩინეთის განცხადებას, რომელიც უსაფრთხოებაზე შექმნილ ვითარებასა და ახალი მსოფლიო წესრიგის საკითხებს უნდა მიეძღვნას. პლანეტა ოკეანეში უკომპასოდ მოდრეიფე ხომალდს დაემსგავსა, რომელიც შველას ითხოვს.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში ხელისუფლებასაც და ხალხის უდიდეს ნაწილსაც წარმოედგინა, რომ აშშ-თან ურთიერთობა მხოლოდ მეგობრული და პარტნიორული იქნებოდა, ვინაიდან მოხსნილი იყო დაპირისპირების იდეოლოგიური საფუძვლები. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.** დაპირისპირებამ არანაკლები სიმწვავით იფეთქა, ვიდრე საბჭოთა პერიოდში იყო. ამას აქვს ახსნა: ამერიკელთა სწრაფვა პლანეტაზე გაბატონებისკენ თანდათანობით შემზარავ სახეს იღებს. მათი ჩარევა სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ლამის მისაღ-




ებ წესად იქცა. წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის ბუნებრივი აირი, რომელიც გერმანიას ბალტიის ფსკერზე გაყვანილი პირდაპირი გაზსადენით („ჩრდილოეთის ნაკადი-2“) უნდა მიეწოდოს, ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანია და ამ საკითხში ჩარევის უფლება არავის აქვს. მიუხედავადამისა, ამერიკელები ყველაფერს აკეთებენ, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ არ ამუშავდეს, ვინაიდან ეს შესანიშნავი საშუალებაა რუსეთსა და გერმანიაზე ერთდროული წნეხის განსახორციელებლად. ვინ მისცა ამის უფლებამოსილება აშშ-ს? არავინ! **საერთაშორისო სამართლის რომელ ნორმას ეფუძნება აშშ, როდესაც ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობებში ასე უცერემონიოდ იჭრება? არც ერთს! მაშ, რა არის ეს ან რასთან გვაქვს საქმე? ამას ერთადერთი სახელი ჰქვია — საერთაშორისო თვითნებობა და ბოროტი ხულიგნობა. ეს ყველამ იცის, მაგრამ ძალმომრეობა იქამდე მიდის, რომ ევროპის ბევრი სახელმწიფო თვითონ ევროპისთვის დამანგრეველ ამ ბინძურ კამპანიაში მხარს ამერიკელებს უჭერს.** თუმცა, ევროპაშიც ჩნდება წინააღმდეგობისა და პროტესტის განცდა. მაგალითად, ავსტრიის ეკონომიკის მინისტრმა **მარგარეტე შრამბეკმა** 13 თებერვალს განაცხადა: „ვენა არ ივლის სხვა სახელმწიფოთა ნებასურვილით, რომ უარი თქვას მონაწილეობაზე პროექტში „ჩრდილოეთის ნაკადი-2“. ორი დღით ადრე, 11 თებერვალს, გერმანიის ვიცეკანცლერმა და ეკონომიკის მინისტრმა **რობერტ ჰაბეკმა** განაცხადა: „გეოპოლიტიკური სიტუაცია ყოველთვის იქონიებს გავლენას „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ექსპლუატაციაზე, მაგრამ მისი სერთიფიკაცია წარიმართება ევროკავშირის კანონმდებლობასთან მკაცრ შესაბამისობაში“. ეს უკვე პირველი ყლორტებია ამერიკული დიქტატისგან თავის დაღწევის მცდელობისა.

**ამერიკელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ყველას არ შეუძლია, არც დღევანდელი ევროპაა ამისთვის მზად. მიუხედავად ცალკეული უმწეო გაფართხალებისა, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ ევროპა თავდადრეკილი დგას ამერიკელთა წინაშე და მორჩილად ელოდება ახალ დირექტივას. მიუხედავად ამისა, იმთავითვე გასაგები იყო, რომ ისეთი უზარმაზარი სახელმწიფოები, როგორებიც არიან რუსეთი და ჩინეთი, ამას არ შეეგუებოდნენ. ასეც მოხდა.**

ამერიკელებისთვის შავი ზღვა სტრატეგიული დანიშნულებისაა (ცალკე თემაა კასპიისა და ბალტიის ზღვები). შავი ზღვიდან რუსეთის მთლიანად გაძევება თუ არ მოხერხდება, მისი როლი აქ მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ასეთია ამერიკელთა ჩანაფიქრი, ამას არც მალავენ. აშშ-ის ელჩმა საქართველოში რამდენიმე დღის წინათ ასეთი განცხადება გააკეთა: **„რუსეთს სურს, რომ შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და აკონტროლოს ყველაფერი, რაც ამ ზღვაში შედის და გადის. საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იმ საქმეში, რომ შავი ზღვა საერთაშორისო ზღვად დარჩეს, რომელიც ყველა ჩვენი გემისთვის გახსნილი იქნება“.** ხომ მიხვდით, რაშია საქმე? რეგიონის უდიდესმა სახელმწიფო რუსეთმა ვერ უნდა აკონტროლოს შავი ზღვა. **რუსეთს (რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან ერთად) შავ ზღვაზე კონტროლის უფლება თუ ექნება, ეს, როგორც ქალბატონმა ელჩმა მისცა საკუთარ თავს უფლება, ეთქვა, „შავი ზღვის რუსეთის უკანა ეზოს ზღვად გადაქცევა“ ყოფილა, ხოლო დედამიწის მეორე ნახევარსფეროდან მოსული ამერიკული გემების პარპაში შავ ზღვაში დემოკრატია და სამართლიანობაა, რასაც მან „შავი ზღვის საერთაშორისო ზღვად დარჩენა“ უწოდა.**

„ამ საქმეში საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს“, — ბრძანა ელჩმა. აი, თურმე რა როლი აკისრია საქართველოს. **ჩვენ თურმე, როგორც მოვახერხებთ, მონაწილეობა უნდა მივიღოთ შავ ზღვაზე რუსეთის შევიწროებაში. ამასთანავე, ამერიკელებს ფართოდ გავუღოთ ჩვენი საზღვაო პორტები ფოთსა და ბათუმში. რაც მთავარია, უნდა მივცეთ საშუალება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა, რომელიც ამერიკელთა სამხედრო ბაზა იქნება და, აშშ-ის ელჩის ნათქვამის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, შავი ზღვა არა რუსეთის, არამედ ამერიკელთა უკანა ეზოს ზღვად გადაიქცევა. ეს არის ამერიკელების მიერ ჩვენთვის დაკისრებული პოლიტიკის მთელი ფილოსოფია.** უნდა ვაღიარო, არ არის უბრალო ამბავი. უდიდესი ისტორიული მისიაა, ოღონდ ეგ არის, უპატიოსნოა ეს მისია, თანაც განუხორციელებელი. როგორი საქმეა, აიღო და ეს უზარმაზარი რუსეთი საკუთარი სახლის კანონიერი ნაწილიდან (შავი ზღვიდან) გააძევო?! თან სარისკოა, რადგან რა ვიცით, სად და როგორ წავიტეხთ კისერს ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობის გამო. გარდა ამისა, არც ის ვიცით, რას დაგვიტოვებენ ჩვენ მას შემდეგ, რაც შავი ზღვა ამერიკელთა „უკანა ეზოს ზღვად გადაიქცევა“. ასე ბრმად და ხელის ცეცებით ვმონაწილეობთ ამ საბედისწერო საქმეში და აინუშიც არ მოგვდის ის, რომ, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ხვალ შეიძლება საქართველოში განმეორდეს.

**P. S. პრეზიდენტმა ბაიდენმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის დღეც გამოაცხადა — 16 თებერვალი. ძვირფასო მკითხველო, ახლა, როდესაც თქვენ გაზეთის ამ ნომერს კითხულობთ, აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი უნდა მიმდინარეობდეს. მე კი, როდესაც ამ სტატიას ვწერ, ბუნებრივია, არ ვიცი ის, რაც თქვენ უკვე იცით — ახდა თუ არა ბაიდენის წინასწარმეტყველება (იმედია, არა), მაგრამ ახლა, ამ წუთს, რუსეთს უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაწყებული თუ არ აქვს, ეს იმის საწინდარი არ არის, რომ ომი არ დაიწყება. მეოცე საუკუნეში ორი მსოფლიო ომის გამჩაღებელ ევროპას, ქვეცნობიერად, ოცდამეერთე საუკუნეშიც სისხლი სწყურია, საკონცენტრაციო ბანაკები და გაზის კამერები სწყურია. აშშ კი, „ეს მუდამ ომისა და შფოთის ინიციატორი სახელმწიფო“ (კონსტანტინე გამსახურდია), სისხლის ზღვისგან, რომელიც ევროპაში შეიძლება დადგეს, დიდ მოგებას გეგმავს. მოგება ხომ მათი ღმერთია. ერთი სიტყვით, გაბრიყვებულ ევროპას თუ სისხლის წყურვილი სტანჯავს, გაუმაძღარ ამერიკას მოგების წყურვილი ახრჩობს. ასე იკვეთება და ავსებს ერთმანეთს ეს ორი ბოროტი მამოძრავებელი — სისხლი და მოგება. ეს პროექტი არ უნდა განხორციელდეს. თუკი ვინმეს შეუძლია, კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი ააცილოს, ეს არის რუსეთი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ვინაიდან რუსეთი ომს არ იწყებს, რუსეთი, როგორც წესი, ომს ამთავრებს.**

ეკონომიკური ვექტორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირის ყველა ქვეყანა ერთად აღებული ვერ წონის რუსულ ბაზარს. არავინ უთხრა ბატონ ჰარცელს, რომ ევროპის ბაზარი საქართველოდან არ იღებს იმდენს, რამდენიც რეალურად სჭირდება. უფრო ზუსტად, ქართულ პროდუქციას არ აძლევს გასაქანს, დევნის ევროპული დახლიდან, რათა დიდი ქვეყნების დიდმა კომპანიებმა ზარალი არ განიცადონ.**

# მისტერ კარლი, უბრალოდ, ცრუობს, რადგან ევროკავშირის ყველა ქვეყანა ერთად აღებული ვერ გადაწონის რუსულ ბაზარს

**საქართველო ახლა ისეთ დღეშია, მტერს რომ არ უსურვებს კაცი. მსოფლიო ბაზარზე საკვებ პროდუქტებზე ფასების არანორმალურად მატების პირობებში, ჩვენ არ გვაქვს არაფერი, რითაც შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ. საკვები პროდუქტების უდიდესი ნაწილი შემოგვაქვს და ის, რასაც ვაწარმოებთ, შემოდგომის აზნაურებივით, შემოდგომაზევე გვიმთავრდება. ხილი, ციტრუსი, ყურძენი, ღვინო, სპირტიანი სასმელები, მტკნარი და მინერალური წყლები — აი, ძირითადი პროდუქტები, რომლებიც შეიძლება ჭარბად გვქონდეს და გვაქვს კიდეც, მაგრამ წყლის გარდა ვერაფერს ვინახავთ, ამიტომ ყველაფერს სეზონზე იაფად ვყიდით, ზამთარში კი სამ და ოთხმაგ ფასად ვყიდულობთ. რაც მთავარია, ქართული პროდუქციის გასაღების მთავარი ბაზარი რუსეთია და წლებია, ჩრდილოელ მეზობელს ვერავინ მიუახლოვდა. მიახლოებას ვინ ჩივის, რუსეთი ქართული პროდუქციის, სულ ცოტა, 80%-ს ითვისებს, დანარჩენი 20% კი ევროპის 40-მდე ქვეყანაში ნაწილდება.**




**ლევან დავითაშვილის მინისტრობის პერიოდში გაჩერდა წისქვილკომბინატები; დღემდე არ ვიცით, რა იქნება უახლოეს მომავალში ფქვილისა და ხორბლის შემოტანის მხრივ; რძის წარმოება ადგილობრივ დონეზე, პრაქტიკულად, კვდება; გლეხებს, რომლებიც თავს ყურძნით ირჩენენ, გაუნულდათ სუბსიდია, ისევე როგორც ვაშლის, ატმის და ვაშლატამას შემთხვევაში მოხდა; აღარ არსებობს ვაუჩერული სისტემა მიწების დამუშავებაზე. მოკლედ, სოფლის მეურნეობაში ჩაიდო 3 მილიარდ ლარზე მეტი და შედეგად მივიღეთ ის, რომ არაფერი არ გვაქვს**

„ევროკავშირის სურვილია, საქართველომ მაქსიმალურად ისარგებლოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით. ჩვენ დაუღალავად ვმუშაობთ ამ მიზნის მისაღწევად. ბოლო წლებში ექსპორტის გაზრდის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნებოდა, როგორც საქართველოდან ევროკავშირის, ისე ევროკავშირიდან საქართველოს მიმართულებით. გაუმჯობესდა ქართული პროდუქციის სტანდარტები, რომელმაც სარგებელი მოუტანა ქართველ მომხმარებელს და საქართველოდან ექსპორტის საკეთილდღეოდ იმუშავა. დღეს ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ მიუხედავად ჩვენი საერთო მიღწევებისა, მე, როგორც სულსწრაფ ადამიანს, არ შემიძლია, ზოგჯერ არ დავფიქრდე იმაზე, რომ პროგრესი ჯერ კიდევ ლოკოკინის ტემპით მიდის“, — ეს განცხადება საქართველოში ევროკავშირის ელჩმა **კარლ ჰარცელმა** გააკეთა.

**ისე როგორ იქნებოდა, ჰარცელის განცხადებას საყოველთაო აღფრთოვანება არ გამოეწვია. მთავრობის წევრები ერთმანეთს კვერს უკრავდნენ, ხედავთ, ევროკავშირი ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი ყოფილაო და არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ მისტერ კარლი, უბრალოდ, ცრუობს, რადგან ევროკავშირის ყველა ქვეყანა ერთად აღებული ვერ გადაწონის რუსულ ბაზარს. არავინ უთხრა ბატონ ჰარცელს, რომ ევროპის ბაზარი საქართველოდან არ იღებს იმდენს, რამდენიც რეალურად სჭირდება. უფრო ზუსტად, ქართულ პროდუქციას არ აძლევს გასაქანს, დევნის ევროპული დახლიდან, რათა დიდი ქვეყნების დიდმა კომპანიებმა ზარალი არ განიცადონ.** სხვაგვარად, გამორიცხულია, იმავე ევროპელებს ვერ ეპოვათ სხვაობა თუნდაც ქართულ და ევროპულ წყლებში, ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ პორტუგალიური დაბალფასიანი „პინტუ“-თი (პორტუგალიური, იაფი ღვინოა) გაჭყეპვას ქართული ღვინის დალევა სჯობს, მაგრამ ასე არ ხდება. ქართული პროდუქტი ხარისხით აჯობებდა ევროპულს და გაცილებით იაფიც ეღირებოდა, სწორედ ამიტომ გამოაძევეს არაერთი ქვეყნიდან. როგორ გგონიათ, **სააკაშვილი** მართლა ვერ მიხვდა, რომ ევროპაში ღვინისა და წყლის გატანა ჯობდა და არა შავი მოცვისა და ბაყაყების? ამ პროდუქტებს იმიტომ „მიაწვა“ მიშა, რომ გასაგებად უთხრეს: სხვა ნიშა დაკავებულია და, თუ მოახერხებ, ბაყაყები ჩამოიყვანეო. ახლა ანალოგიური ამბავია ატეხილი ლოკოკინებზე და ჰარცელიც გვიკიჟინებს; არიქა, საქართველოს აქვს იმის შესაძლებლობა, ევროპაში დიდი ოდენობით ლოკოკინა გაგზავნოს, თანაც წარმოება, სულ რაღაც, ნახევარ ჰექტარზე შეგიძლიათ დაიწყოთო. ჰო, ლოკოკინა და ბაყაყი ის სფეროა, როცა ევროპა აუცილებლად აჯობებს რუსეთს, რადგან, ჩვენი არ იყოს, ამ პროდუქტებს არც რუსეთში ეტანებიან დიდად... ისიც **გემახსოვრებათ, თავის დროზე ქართული თაფლით რომ გადაირია ევროპა და ფუტკარი მოაშენეთო, რომ გვირჩიეს. მერე კი, როცა სამ წელიწადში თაფლის ძალიან დიდი მარაგი გაჩნდა საქართველოში, ისეთი შეზღუდვები დააწესეს, საქართველო ამ კრიტერიუმებს უახლოესი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვერ დააკმაყოფილებს.** ამიტომაც გაგვაქვს თაფლი მცირე რაოდენობით, ანუ გააქვთ მათ, ვისაც ფუტკრის ოჯახები ისეთ ადგილზე ჰყავთ, 6-7 კილომეტრის რადიუსში, დასახლება რომ არ არის და ჩეჩმა რომ არ დგას. ე.ი., ევროკავშირმა, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი პარტნიორი ყოფილა, რეალურად არაფრის უფლება არ მოგვცა, არ მოგვცა უფლება ჩვენი პროდუქტი ევროპულ დახლზე დაგვედო და მერე ვნახავდით, პორტუგალიური ფორთოხალი აჯობებდა თუ ქართული, დასავლეთის მაგალითად პორტუგალია იმიტომ მომყავს, რომ ევროკავშირის ქვეყანაა და სწორედ მის პროდუქტებს აქვს დახლებზე სერიოზული ადგილი. პორტუგალიური პროდუქტი იაფია, თუმცა ქართულზე ძვირი და ხარისხით — გაცილებით მდარე.

პრინციპში, **ჰარცელის მიდგომა და სიტყვები რატომ გვიკვირს, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრი დააწინაურეს. ეკონომიკის მინისტრად ლევან დავითაშვილის გადაყვანა მართლაც გასაოცარია, რადგან სოფლის მეურნეობაში მოღვაწეობისას მას არ შეუქმნია არაფერი, რასაც ხელს დაადებს და იტყვის, აგერ ბატონებო, ეს მე გავაკეთე და ჩემ შემდეგ დარჩებაო.** პირიქით — ლევან დავითაშვილის მინისტრობის პერიოდში გაჩერდა წისქვილკომბინატები; დღემდე არ ვიცით, რა იქნება უახლოეს მომავალში ფქვილისა და ხორბლის შემოტანის მხრივ; რძის წარმოება ადგილობრივ დონეზე, პრაქტიკულად, კვდება; გლეხებს, რომლებიც თავს ყურძნით ირჩენენ, გაუნულდათ სუბსიდია, ისევე როგორც ვაშლის, ატმის და ვაშლატამას შემთხვევაში მოხდა; აღარ არსებობს ვაუჩერული სისტემა მიწების დამუშავებაზე. მოკლედ, სოფლის მეურნეობაში ჩაიდო 3 მილიარდ ლარზე მეტი და შედეგად მივიღეთ ის, რომ არაფერი არ გვაქვს. ჰო, დაიხარჯა ერთ მილიარდ დოლარამდე და არ გვაქვს არაფერი, რაზეც შეიძლება სოფლის მეურნეობის რომელიმე მიმართულება ჩამოვკიდოთ და განვავითაროთ. **ამას წინათ თქვა ვიღაცამ: რას ერჩით დავითაშვილს, აგერ, საგარეჯოში ნუშის ბაღები გააშენაო და... ნუშის ბაღები გააშენა კერძო ინვესტორმა, რომელმაც 70 მილიონი ევრო გადაიხადა, სახელმწიფოსგან ერთი თეთრი შეღავათი არ მიუღია და პირველ მოსავალს წელს ელოდება. ასე, მეც ჩემს ეზოში ჭა ამოვთხარე და ცივი წყალი მაქვს, დავაბრალოთ დავითაშვილს, მის მინისტრობას დაემთხვა...**

წელან ვაშლი, ატამი და ვაშლატამა ვახსენეთ. ჰოდა, თუ ევროკავშირი ჩვენი მთავარი პარტნიორია, რატომ არის, რომ გასული წლის მოსავლის 92% რუსეთში გაიყიდა და დანარჩენი 8% ევროპისა და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების 42 სახელმწიფოზე გადანაწილდა? თუ მაშინ ევროკავშირს ჩვენთვის არ ეცალა? მათ, სავარაუდოდ, არც რთველზე ეცალათ, არც ახლა სცალიათ, როცა ხორბლის ალტერნატიულ გზებს ვეძებთ და ვერ ვპოულობთ. ევროკავშირი სიტყვით დაარსების დღიდან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მთავარი მოკავშირეა, მაგრამ საქმით არაფერი მტკიცდება. არ გვიშვებენ ევროკავშირში და... გასულ სეზონზე, გერმანიამ 1500 ქართველის წაყვანისა და ოფიციალურად დასაქმების პროგრამა რომ განახორციელა, ხომ გახსოვთ? 54 ათასზე მეტი განაცხადი რომ შევიდა, ისიც გემახსოვრებათ და ისიც, რა პირობებში ჰყავდათ ჩასული ქართველები, რომელთა უდიდესი ნაწილი ისეთ სადგომებში შეუშვეს საცხოვრებლად, იქაური ცხოველთა დამცველები ოთხფეხა მეგობრებს რომ არ შეუშვებდნენ. ეს კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ **გერმანიამ იგივე პროგრამა ახლაც გამოაცხადა და... გერმანიაში წასვლის სურვილი 18-მა მოქალაქემ გამოთქვა. როგორი პროგრესია 54 ათასიდან 18-მდე, თავად განსაჯეთ.**

ნამდვილად ვერ გეტყვითა, რა ტემპით გაგრძელდება საქართველოში ლოკოკინების ფერმების განაშენიანება. **მოცვის, თაფლისა და ბაყაყების შემდეგ ევროპა ახლა ლოკოკინების მოშენებას გვთავაზობს და დასავლეთში ეს პროცესი რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მართლაც დაიწყო. თანაც, კილო ლოკოკინა ათი ლარი ღირს და ნახევარ ჰექტარზე იმდენის მომრავლება შეიძლება, წლიდან წლამდე ადამიანმა თავი რომ ირჩინოსო. მაგრამ მერე ისე არ გამოვიდეს, ქართული ლოკოკინა დაიწუნონ, სწრაფად დადის, ვერ ვიჭერთ და დამუშავება გვიჭირსო. ჰო, ბაყაყების მოშენებისას ფოთის ბაყაყებს თვალები დაუწუნეს და კუდის სიგრძე (არ ვხუმრობთ, მართლა ასე იყო).**

მანამდე კი, **სანამ ევროკავშირი სიტყვას საქმედ აქცევს და რეალურად მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდება, იმას გავუფრთხილდეთ, რაც გვაქვს. შევეცადოთ, ჩრდილოელ მეზობელთან ისეთი ურთიერთობა ავაწყოთ, რომ ქართული პროდუქტებისთვის ეს რეალურად ერთადერთი უდიდესი ბაზარიც არ დაიხუროს და მერე სამათხოვროდ არ გაგვიხდეს საქმე. თორემ გვახსოვს, სააკაშვილის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად წყალში გადაყრილი ყურძენიც, ხილიცა და საქონლისთვის საკვებად მიცემული ვაშლიც.** ჰო, მთავარი — წლიური ეკონომიკური ზრდის კუთხით რეგიონში ლიდერი რომ იქნები და წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით ხურავ, ე.ი., ძალიან წარმატებული მინისტრი ხარ და არ უნდა შეგცვალონ. ასე ხდება, როცა საქმე რეალურ ციფრებთან გვაქვს, როცა ჰაერზე საუბრობ, შედეგები ბევრად მძიმეა ხოლმე. ჰოდა, წარმატებული **ნათია თურნავა** დავითაშვილით რომ შეცვალეს, ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, მაგრამ როდის იყო, საქართველოში კითხვებს პასუხებს სცემდნენ?!

**ბესო ბარბაქაძე**

საინტერესოა, რატომ უკვირს ოპოზიციას ან ოპოზიციურ ჟურნალისტებს ის, რომ ვილაცამ ადეიშვილი გააპანღურა (დაგვეთანხმეთ, რომ ეს ცემა არ იყო)? საკვირველი უფრო ის არის, აქამდე რომ არ გააპანღურეს და თანაც არაერთხელ და არამხოლოდ ადეიშვილი, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ბევრი ლიდერი. თუ მათ დაავიწყდათ, რას სჩადიოდნენ 9 წლის განმავლობაში, მოსახლეობას ახსოვს და შესაძლოა, ნებისმიერ დროს გადაეყარონ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრება წაართვეს.

დანაშაული და სასჯელი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შვილო ზურაბ, სადამდის?!

**ყველას, ალბათ, გემახსოვრებათ, როგორ გაიმეტა სასიკვდილოდ წინა ხელისუფლებამ ვალერი გელაშვილი და კობა დავითაშვილი. ამ ორ ადამიანს საჯაროდ სცემეს, თორემ გლდანის ციხეში პატიმრებს ყოველდღიურად არანაკლებ უსწორდებოდნენ. მერე გაირკვა, რომ გელაშვილის დასჯა სურდათ, ანუ ისე უნდა ეცემათ, არ მომკვდარიყო და შეგვიძლია წინა ხელისუფლებას ამის გამო ტაშიც დავუკრათ — ადამიანი სიკვდილის პირას მიიყვანეს და არ შემოაკვდათ. განსხვავებული ვითარება იყო კობა დავითაშვილის შემთხვევაში — ის მკვდარი ეგონათ, მაგრამ გადარჩა. შემდეგ კი, როცა უკვე ოჯახმა და ახლობლებმა ცოცხალს მიაგნეს, მკვლელობა აღარ გამოდიოდა. ბატონ კობას ის ცემა მაინც სიცოცხლის ფასად დაუჯდა — უკურნებელი სენი შეეყარა და 2020 წლის მიწურულს გარდაიცვალა . ჰო, „ნაციონალური მოძრაობის“ არც ერთ წევრს, მათ შორის არც მათ, ვინც თავის დროზე დავითაშვილის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა, ბოდიში არ მოუხდიათ იმის გამო, რომ ახალგაზრდა კაცი მოკლეს.**







გასულ კვირას კიევში უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველს სცემეს. თუმცა, ცემა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გააპანღურეს. ამის მიუხედავად, უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი საავადმყოფოში წავიდა, ცნობა აიღო, რომ დაზარალდა და უკრაინის პროკურატურამაც სისხლის სამართლის საქმე აღძრა ოთხ ქართველზე. ეს ყველაფერი ჩვენთვის საინტერესო არ იქნებოდა, რომ არა უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლის სახელი და გვარი — **ზურაბ ადეიშვილი.** უფრო კონკრეტულად კი, ქართული კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული, დაუსწრებლად გასამართლებული და საქართველოსთვის პატიმარი ზურაბ ადეიშვილი. ის ჩვენს ქვეყანაში რომ დაბრუნდეს, უმძიმესი დანაშაულების გამო, ზუსტად ისევე გაუშვებენ გისოსებს მიღმა, როგორც ეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, უკრაინის მოქმედი მაღალჩინოსნის, მიხეილ სააკაშვილის, შემთხვევაში მოხდა.

ალარც კი ვიცით, საიდან დავიწყოთ — იქიდან, რომ მეგობარი უკრაინა პატივს არ გვცემს და, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ქართული სასამართლო ცალ ფეხზე ჰკიდია, თუ იქიდან, რომ **ადეიშვილს ოპოზიციაში იმაზე მეტი მხარდამჭერი და დამცველი გამოუჩნდა, ვიდრე წვრილ-წვრილი პარტიები ხმებს იღებენ არჩევნებზე. ოპოზიციურმა არხებმა ხმაური ატეხეს: არიქა, ადეიშვილს თავს კრიმინალები დაესხნენო.** თუ ასეა, მაშინ, საერთოდ, მარტივად ყოფილა საქმე — ბატონი ადეიშვილი ქართული სასამართლოს მიერ კრიმინალად არის აღიარებული და, უკრაინაში თუ კრიმინალებმა გააპანღურეს, ე.ი., ბანალური კრიმინალური გარჩევა ყოფილა და მეტი არაფერი. ასეთი კრიმინალური გარჩევები ასობით და ათასობით ხდება ყოველდღიურად, მაგრამ ამხელა ყურადღებას არ უთმობენ. კიდევ ის არის საინტერესო, რატომ უკვირს ოპოზიციას ან ოპოზიციურ ჟურნალისტებს ის, რომ ვილაცამ ადეიშვილი გააპანღურა (დაგვეთანხმეთ, რომ ეს ცემა არ იყო)? საკვირველი უფრო ის არის, აქამდე რომ არ გააპანღურეს, თანაც არაერთხელ და არამხოლოდ ადეიშვილი, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ბევრი ლიდერი. თუ მათ დაავიწყდათ, რას სჩადიოდნენ 9 წლის განმავლობაში, მოსახლეობას ახსოვს და შესაძლოა, ნებისმიერ დროს გადაეყარონ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრება წაართვეს. როგორ გგონიათ, იგივე **ვალერი გელაშვილი** ქუჩაში რომ შეხვდეს ადამიანს და მასში ის პირი ამოიცნოს, რომელმაც სასიკვდილოდ გაიმეტა, თავს შეიკავებს თუ მუშტი-კრივს გაუმართავს? თანაც, ბევრისთვის გაპანღურება უცხო არ უნდა იყოს — არაერთხელ უთქვამთ კულუარულად, რომ მიშა მინისტრებს პანღურს ხშირად სთავაზობდა, მათ შორის ადეიშვილსაც.

რაც შეეხება უკრაინის ხელისუფლების ქმედებას, ჩვენი არ იყოს, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მათაც აღძრული აქვთ და **პეტრე პოროშენკო** საქართველოში რომ მოვიწვიოთ და მთავრობაში მაღალი თანამდებობა მივცეთ, როგორ გგონიათ, რა მოხდება? რა და, უკრაინა მაშინვე საერთაშორისო პარტნიორებს ჩარევს და კატეგორიულად მოითხოვს, სისხლისსამართლებრივად დევნილი პირი საქართველომ არ დაასაქმოს. აი, **სააკაშვილის, ადეიშვილის, ლორთქიფანიძისა** თუ **საყვარელიძის** შემთხვევაში კი ეს წესი არ მოქმედებს, იმიტომ, რომ საქართველოს დაჩაგვრა ადვილია, საქართველოს გაუთვალისწინებლობა მარტივია. ამისთვის არც პასუხს არავინ არავის სთხოვს და, რაც მთავარია, მაინც მეგობრებად რჩებიან. დაახლოებით ისეა, ცოლ-ქმარი გაყრის შემდეგ რომ თანხმდება, მეგობრებად დავრჩეთო და სინამდვილეში ერთმანეთთან შვილიც კი არ აკავშირებთ. აი, ამ შემთხვევაში რამდენიმე უძღები შვილია და მათ შორის ერთ-ერთია ადეიშვილი. სააკაშვილის ხელისუფლების **გებელსი** ადეიშვილი იყო, მაგრამ იმდენი კაცობა არ აღმოაჩნდა, რამდენიც ნაცისტების ერთ-ერთ ლიდერს. პრინციპში, ადეიშვილიც ისე მოიქცა, როგორც თავისი ლიდერი — უკრაინას შეაფარა თავი, ხოლო გებელსმა სიცოცხლე თავისი ლიდერივით დაარულა და ამიტომ **ნუ დავძრახავთ ზურაბს — ის ლიდერს მიჰყვება ფეხდაფეხ.**

შურისძიების წყურვილს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. ადამიანები წლიდან წლამდე ცხოვრობენ შურისძიების იმედით და შესაძლოა, კიდევ ათი წელი გავიდეს და ნაციონალების ლიდერებს კვლავ მოხვდეთ ქუჩაში სრულიად უცნობი ადამიანებისგან, მათგან, ვისაც არასდროს დაავიწყდებათ წამება, ღირსების შელახვა, შეურაცხყოფა. როგორ გინდა დაავიწყო პატიმარს ის, რომ ზემდეგები გონებადაკარგულს თავზე აშარდავდნენ?! როგორ უნდა დაავიწყო ის, რომ პაემანზე მისულ ცოლ-შვილს დაჯავშნილი მინის მიღმა უგინებდნენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ?!

ისიც გემახსოვრებათ, ცოტა ხნის წინათ **გიგი უგულავას** რომ წამოარტყეს აეროპორტში და გაოცდა: რას მერჩოდნენ, სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებიაო. მართალია ბატონი გიგი, 114 ათასი დაგვიჯდა მისი ცელულიტები და სიკეთეა, აბა, რა არის, დედაქალაქის მერის ჯანმრთელობაზე ასე რომ ვზრუნავდით. აგერ, **კახა კალაძეს ედავებიან, ფული საიდან იშოვეო და ხმას არ იღებენ ოპოზიციური არხები, საიდან გახდა „კმარაში“ ცალ-ცალი კალოშით და ბევრი ცოლით მისული უგულავა მილიონერი. „ნაციონალურ მოძრაობაში“ გასაპანღურებელი ბევრი რომ არის, თავადაც კარგად იციან და იციით, თავის დროზე ხალხის რისხვას რატომ გადაურჩნენ? იმიტომ, რომ მოსახლეობას იმედი ჰქონდა, მათ ახალი ხელისუფლება დასჯიდა, მაგრამ „ოცნებამ“ კოაბიტაციაო და დასასჯელი ხალხის ნაწილი პარლამენტში შეიყვანა, ნაწილი დაბანა, დაავარცხნა და გვერდით დაიყენა, დასჯით კი...** არის ვინმე კმაყოფილი, ერთი ხელის თითებზე დასათვლელმა ადამიანებმა რომ აგეს პასუხი და დანარჩენები დაუსჯელი დადიან, დიდ ჰონორზე არიან და ისე იქცევიან, თითქოს ხელისუფლებაში ყოფნისას ადამიანებს სულში არ აფურთხებდნენ, ქუჩაში არ ხვრეტდნენ, არ ცემდნენ, არ აწამებდნენ... **ახლა რომ გაჰკივიან, სააკაშვილი წამების მსხვერპლიაო, იმის მეათასედიც კი არ განუცდია სააკაშვილს, რასაც მისი პრეზიდენტობისას პატიმრები განიცდიდნენ და მიშამ ეს იცოდა, ადეიშვილმაც იცოდა, უგულავამაც იცოდა და, საზოგადად, იცოდა ყველამ, ვინც იმხანად ხელისუფლებაში იყო, მაგრამ არავინ აპროტესტებდა.** პირიქით, საკუთარი ინტერესების გამო ხალხს აჭერინებდნენ, არასწორი პარკირების გამო ადამიანებს წამალს უდებდნენ და ციხეში უშვებდნენ, შემდეგ კი მათ სანახავად მისულ ოჯახის წევრებს კამერების წინ გაჩხრეკის მოტივით აშიშვლებდნენ და კამერაში უყურებდნენ, ტელეფონებში ჰქონდათ ამის ამსახველი ვიდეოები და ერთობოდნენ. **ვილაცამ გიული ალასანიას რომ უთხრას, სანამ მიშასთან შეხვალ, უნდა გაგჩხრიკოთ და გაიხადე, ჩაიხადეო, ხვდებით, რა მოხდება? არადა, სხვების დედებს, ცოლებს, დებს, შვილებს სწორედ რომ ხდიდნენ და ხდიდნენ კამერების წინ. თუ მიშას დედა დედაა და სხვების არა?**

ვერ გეტყვით, როგორ გაგრძელდება ადეიშვილის გაპანღურების საქმე უკრაინაში. ეჭვი გვაქვს, გენერალური პროკურორის მრჩეველი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თავდამსხმელები დააკავონ და შემდეგ ციხეში ისე მოექცეს, როგორც ქართულ ციხეში ექცეოდნენ პატიმრებს. საამისო ძალაუფლება ადეიშვილს ნამდვილად ექნება, სხვაგვარად რიგითი მრჩევლის დონეზე არ იმუშავებდა, გებელსივით ამბიციურია ეგეც.

რაც გასულ კვირას მოხდა, შესაძლოა, ვინმეს დაგვიანებულ შურისძიებად მოეჩვენოს, მაგრამ **შურისძიების წყურვილს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. ადამიანები წლიდან წლამდე ცხოვრობენ შურისძიების იმედით და შესაძლოა, კიდევ ათი წელი გავიდეს და ნაციონალების ლიდერებს კვლავ მოხვდეთ ქუჩაში სრულიად უცნობი ადამიანებისგან, მათგან, ვისაც არასდროს დაავიწყდებათ წამება, ღირსების შელახვა, შეურაცხყოფა. როგორ გინდა დაავიწყო პატიმარს ის, რომ ზემდეგები გონებადაკარგულს თავზე აშარდავდნენ? როგორ უნდა დაავიწყო ის, რომ პაემანზე მისულ ცოლ-შვილს დაჯავშნილი მინის მიღმა უგინებდნენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ?** და ეს ადამიანები ჰყავს დღეს უკრაინას დასაქმებული და მაინც ჩვენი მეგობარი ჰქვია. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ იყო, „ნაციონალური მოძრაობა“ თავს რომ იგიჟებდა, უკრაინისთვის ისეთი რეზოლუცია დაგვეწერა, თვითონ უკრაინელებსაც რომ შეშურდებოდათ. არა, ნაცების სურვილის მიზეზი რუსეთის გაღიზიანებაც იყო, ეგებ ჩრდილოელმა მეზობელმა რისხვა ჩვენზე გადმოიტანოს და ტანკები ჩვენს საზღვართანაც მოაყენოსო, მაგრამ არ გამოვიდა.

ჰოდა, ხელისუფლებას ვეკითხებით: შვილო ზურაბ, სადამდის?!

**ბესო ბარბაქაძე**

ომი და მშვიდობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განცხადების შემდეგ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბაიდენს მოურიდებლად ჰკითხა: „არსებობს თუ არა სცენარი, რომელმაც შეიძლება ბიძგი მისცეს მისტერ ბაიდენს, რომ ამერიკელების გადასარჩენად ჯარი გაგზავნოს უკრაინაში?“ ბაიდენმა მოკლედ უპასუხა: „არ არსებობს“ და იქვე დაასაბუთა: „თუ ამერიკელები და რუსები ერთმანეთს სროლას დაუწყებენ, ეს მსოფლიო ომია. ჩვენ დღეს ძალიან განსხვავებულ მსოფლიოში ვართ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ“.**

# ომისთვის ტაშის დაკვრა და მით უმეტეს მასში რაიმე ფორმით მონაწილეობა ჩვენთვის საკონტროლო გასროლასავით იქნება

**„ამერიკის მოქალაქეებმა ახლავე უნდა დატოვონ უკრაინა. ეს არ ჰგავს იმას, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან. ჩვენ საქმე გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს არმიასთან. ეს ძალიან განსხვავებული ვითარებაა და ყველაფერი შეიძლება სწრაფად გამოვიდეს წყობიდან“, — ეს განცხადება ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 11 თებერვალს გააკეთა და დაახლოებით ერთ საათში, პრაქტიკულად, ყველა ევროპულმა ქვეყანამ და ავსტრალიამაც კი თავიანთ მოქალაქეებს უკრაინის დატოვებისკენ მოუწოდა.**

**ჯო ბაიდენის** განცხადება, ერთი შეხედვით, ვითარების არარეალური შეფასება იყო, რადგან არანაირი საბაბი იმისა, რომ მსგავსი მოწოდება გაკეთებულიყო, არ არსებობდა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთი დღით ადრე ევროპამ და ამერიკამ რუსეთს ერთობლივი წერილი გაუგზავნეს. მასში საკმაოდ ხისტად იყო დაწერილი, რომ დასავლეთი რუსეთის ყველა მოთხოვნაზე უარს ამბობს და, რაც მთავარია, არ აპირებს იმ პირობის შესრულებას, რომლის მიხედვითაც ნატო აღმოსავლეთით არ უნდა გაფართოვდეს. ისე, აქვე ისიც ვთქვათ, რომ **„ქართული ოცნების“ გასვლა შარლ მიშელის დოკუმენტიდან ლამის გლოვის დღედ გამოგვიცხადა დასავლეთმა და ყველაზე დიდი სამხედრო კავშირის მიერ პირობის შეუსრულებლობა ისე შეფუთეს, თითქოს დემოკრატიის ბოლო გამოძახილი იყოს.**

ამერიკა მეორედ დამარცხდა; პირველად მაშინ, როცა „ბლუმბერგმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ „რუსეთი უკრაინაში შეიჭრა“, და მეორედ ახლა. მხოლოდ ამ მიმართულებით, ამერიკასა და რუსეთს შორის ანგარიში 2:0-ია ჩრდილოელი მეზობლის სასარგებლოდ და ეს დიპლომატიური დუელი პირწმინდადაა მოგებული. სხვათა შორის, **ამ განცხადების შემდეგ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბაიდენს მოურიდებლად ჰკითხა: „არსებობს თუ არა სცენარი, რომელმაც შეიძლება ბიძგი მისცეს მისტერ ბაიდენს, რომ ამერიკელების გადასარჩენად ჯარი გაგზავნოს უკრაინაში?“ ბაიდენმა მოკლედ უპასუხა: „არ არსებობს“ და იქვე დაასაბუთა: „თუ ამერიკელები და რუსები ერთმანეთს სროლას დაუწყებენ, ეს მსოფლიო ომია. ჩვენ დღეს ძალიან განსხვავებულ მსოფლიოში ვართ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ“.**

„ტანკებსა და ავტომატებზე უკეთესად პანიკა ანადგურებს სახელმწიფოს. „ჩვენ ყოველ დღე ვძლიერდებით თავდაცვით, ეკონომიკურად, პოლიტიკურად. ერთადერთი, რაც დღეს დანამდვილებით გვჭირდება, არის ის, რომ არ წამოვეგოთ მტრის ჰიბრიდულ პროვოკაციასა და დეზინფორმაციას“, — განაცხადა უკრაინის პრემიერმა **დენის შმიგალმა,** თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვინ იგულისხმა დეზინფორმაციის გამავრცელებელ მტერში.

საქმე ის არის, რომ **თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადების შემდეგ, ამერიკა და ევროპა ვითარების სტაბილიზაციისკენ მიმართულ ნაბიჯებს არ დგამენ, უფრო პირიქით, ბევრმა ამოიღო ხმა და აღნიშნა, რომ დასავლეთი სიტუაციის დაძაბვაში უდიდეს როლს თამაშობს და ის თითქოს აქეზებს რუსეთს, რათა მან სამხედრო ოპერაცია რაც შეიძლება მალე და მაქსიმალურად აგრესიულად დაიწყოს.** ალბათ, გემახსოვრებათ, მიმდინარე პროცესებზე ჩინეთის პოზიცია თითქოს ცნობილი რომ არ იყო და მას დიდი ქვეყნები მოუთმენლად ელოდნენ. **ჩინურმა მხარემ განცხადებებისგან თავი კვლავ შეიკავა და, როცა ლამის ყველა ქვეყანამ მოქალაქეებს უკრაინის დატოვებისკენ მოუწოდა, ჩინეთის საელჩომ ოფიციალურ ვებ-გვერდზე უკრაინაში მყოფი ჩინელებისთვის ორად ორი სიტყვა დაწერა: „იყავით ყურადღებით!“**

„ჩინეთის მთავრობა სიამოვნებით აკრიტიკებს ავსტრალიას, მაგრამ ჩუმადაა და არაფერს ამბობს უკრაინის საზღვარზე რუსული ჯარების თავმოყრის გამო“, — ეს განცხადება ავსტრალიის პრემიერმინისტრმა **სკოტ მორისონმა** გააკეთა და ამით მიანიშნა, რომ ჩინეთის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია... **მორისონს არ უთქვამს, ამერიკის დარად, რა ესაქმება ავსტრალიას უკრაინაში, ოკეანის გაღმა-გამოღმა ქვეყნები რატომ ცდილობენ მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს — ჩინეთსა და რუსეთს — მათი სურვილის საწინააღმდეგო. განცხადებები გააკეთებინონ.** ავსტრალია, რომელსაც გვერდი აუარა ყველა ომმა და ქარტეხილმა, ტერორიზმმა და ათასმა უბედურებამ, ცდილობს, შექმნას მოლოდინი, რომ მსოფლიო პოლიტიკა მისი თავის ტკივილიც არის და მერე რა, რომ ავსტრალიაში საცხოვრებლად ან სამუშაოდ წასვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუ მილიონერი არ ხარ და იქაურ ეკონომიკას რამე ღირებულს არ შემატებ.

ბაიდენს ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბარიც ჰქონდა და ამ საუბრის შემდეგ მიმართულება არ შეუცვლია, კვლავ კატეგორიულად მოითხოვა უკრაინიდან ამერიკელი მოქალაქეების გაყვანა. კრემლის პასუხი კი ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელია.

„ორივე პრეზიდენტი შეთანხმდა, რომ მოსკოვი ყურადღებით შეისწავლის მოსაზრებებს, რომლებიც ბაიდენმა გამოთქვა და, თუ ეს შესაძლებელია, გაითვალისწინებს მათ აშშ-ისა და ნატოს პოზიციების მიმართ რეაგირებაზე მუშაობისას. რუსეთმა უწყებათაშორისი კონსულტაციები შესაძლო ნაბიჯების შესახებ თითქმის დაასრულა და განცხადება უახლოეს მომავალში გაკეთდება. ჩვენ მალე ვაცნობებთ ჩვენს პარტნიორებსა და საზოგადოებას ჩვენს რეაქციას“, — განაცხადა კრემლის საგარეო პოლიტიკის მრჩეველმა იური უშაკოვმა.



**თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადების შემდეგ, ამერიკა და ევროპა ვითარების სტაბილიზაციისკენ მიმართულ ნაბიჯებს არ დგამენ, უფრო პირიქით, ბევრმა ამოიღო ხმა და აღნიშნა, რომ დასავლეთი სიტუაციის დაძაბვაში უდიდეს როლს თამაშობს და ის თითქოს აქეზებს რუსეთს, რათა მან სამხედრო ოპერაცია რაც შეიძლება მალე და მაქსიმალურად აგრესიულად დაიწყოს**

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, დიპლომატიური გზა იმისა, რომ წონასწორობა დააკარგვინოს რუსეთს, დასავლეთს აღარ დარჩა. კრემლში ამბობენ, რომ ისინი მალე აცნობებენ პარტნიორებს მიღებულ წერილებზე თავიანთ მოსაზრებას, ანუ თოფს კი არ ვისვრით, მოსაზრებას გაგაცნობთო, რაც იმას ნიშნავს, რომ ომის დაწყება შეიძლება მხოლოდ პროვოკაციით. დაახლოებით ისეთი პროვოკაციით, როგორიც 2008 წელს საქართველოში მოაწყვეს.

როგორ გგონიათ, რატომ დღემდე ვერავინ ამბობს ასპროცენტიანი სიზუსტით, ვინ დაიწყო ომი 2008 წლის აგვისტოში? იმიტომ, რომ **რეალურად არავინ იცის, ვინ ისროლა პირველმა, და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა გააკეთეს, შემდეგ კი უკონტროლო პროცესები დაიწყო. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები უკრაინაში ახლა იმდენია, გასროლას კი არა, შტურმსაც მოახერხებენ.** ამიტომ არ გაგიკვირდეთ, შემთხვევით რომ ვილაცამ გაისროლოს, მას მეორე გასროლაც მიჰყვეს და შემდეგ წლების განმავლობაში არკვიონ, ვინ გაისროლა პირველმა და პასუხი ვერ იპოვონ. **რა თქმა უნდა, დასავლეთი ყველაფერს რუსეთს დააბრალებს და, როგორც ვიხილეთ, საამისოდ ყველა მიმართულებით არის მზად — გამოცემებიც გამზადებულია, ფოტოებიც კი ექნებათ შერჩეული წინა კონფლიქტიდან, სანამ ახალსა და ცხელ-ცხელს მიიღებენ და, თუ რამე მოხდება, ზუსტად ერთ საათში (ან უფრო ნაკლებში), მსოფლიოს დაანახვებენ სურათს, თითქოს უკრაინაში წარღვნა დაიწყო და ამის შემოქმედი რუსეთია.**

პარალელურად კეთდება მოწოდება, რომ არსებული მდგომარეობით საქართველომ უნდა ისარგებლოს, უნდა ჩაერთოს, როგორც აქტიური მოთამაშე და შავიზღვისპირა ქვეყანა, და დერეფანი გააკეთოს, რათა ამერიკული წყალქვეშა ნავები შავი ზღვით შევიდნენ უკრაინაში. **მარტივად აგიხსნით, რატომ არის ეს საქართველოს პროვოკაციაზე წამოგებისა და შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვის მცდელობა. დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს არ შეუძლია წყალქვეშა სივრცის კონტროლი იმ მარტივი მიზეზით, რომ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ გვაქვს და რეალურად არც საჭიროება გვიდგას. თუ ჩვენს პორტებს წყალქვეშა ნავები მოადგებიან, მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა ამოყვინთავენ. საქართველოს ნამდვილად არ შეეკითხება არც ამერიკა და არც ევროპა, თუ დასჭირდათ, ისე გამოიყენებენ ჩვენს წყალქვეშა თუ წყალსზედა სივრცეს, კითხვის დასმასაც ვერ გავბედავთ.** აქედან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან განცხადება, რომ თურმე წყალქვეშა ნავებს უფლებას მივცემთ ჩვენს ტერიტორიაზე იცურონ, რუსეთისთვის იქნება სიგნალი, რომ ჩვენ ვართ მხარე კონფლიქტში და ვდგავართ რუსეთის მტრის გვერდით. ეს აღარ იქნება ნეიტრალიტეტი და საქართველოს არაკეთილმოსურნეებს რუსეთში (ასეთი არაერთია) ნებისმიერ მომენტში შეეძლებათ იმის თქმა, რომ საქართველო კონფლიქტის კონკრეტულ მხარეს დგას და უნდა დაისაჯოს. რა საჭიროა დასტური ან უარი საკითხზე, რომელშიც, თუ დასჭირდება, დასავლეთი ცხვირს არ ჩაგვაყოფინებს?! **თუ მაინცდამაინც ჩვენი პორტის მისადგომებთან უნდა გავმართოთ წყალქვეშა ნავების ომი და მერე ამ ყველაფერში თურქეთიც ჩავრიოთ? რატომ თურქეთი? იმიტომ, რომ რატომღაც გვგონია, ჩვენს ზღვისპირა ქალაქებზე თვალი სწორედ თურქებს უჭირავთ და, თუ ვინმე ხეირს ნახავს უკონტროლო თუ კონტროლს დაქვემდებარებული წყალქვეშა ნავების ცურვით ჩვენს წყლებში, ის სწორედ თურქეთი იქნება.**

ზუსტად ვერავინ ამბობს, რა მოხდება ხვალ და ზეგ, მაგრამ მთავარი, რაც უნდა გავაცნობიეროთ, არის ის, რომ ომის დაწყების შემთხვევაში საქართველომ უნდა მოახერხოს და დარჩეს ქვეყნად, რომელიც მზად იქნება, მიიღოს დაჭრილები ორივე მხრიდან, დაეხმაროს ჰუმანიტარული პროდუქტით მოსახლეობას, რომელსაც ამის საჭიროება ექნება. ომისთვის ტაშის დაკვრა და მით უმეტეს მასში რაიმე ფორმით მონაწილეობა ჩვენთვის საკონტროლო გასროლასავით იქნება.

**ბესო ბარბაქაძე**

**დიპლომატიური გზა იმისა, რომ წონასწორობა დააკარგვინოს რუსეთს, დასავლეთს აღარ დარჩა. კრემლში ამბობენ, რომ ისინი მალე აცნობებენ პარტნიორებს მიღებულ წერილებზე თავიანთ მოსაზრებას, ანუ თოფს კი არ ვისვრით, მოსაზრებას გაგაცნობთო, რაც იმას ნიშნავს, რომ ომის დაწყება შეიძლება მხოლოდ პროვოკაციით. დაახლოებით ისეთი პროვოკაციით, როგორიც 2008 წელს საქართველოში მოაწყვეს**

15 წლის განმავლობაში მოსკოვმა და პეკინმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი. ეს საკამათო არ არის. უფრო მეტიც, ყალიბდება მოკავშირეების ახალი სტრუქტურა, კოლექტიური დასავლეთის ალტერნატივა. ესენია: თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია, ბრიქსი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) და სხვა გაერთიანებები. ვაშინგტონის პოლიტიკა პირდაპირ უბიძგებს მოსკოვსა და პეკინს სამხედრ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებისკენ“.

მიუნხენის ექო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაფერი ახდა: რაზე აფრთხილებდა პუტინი დასავლეთს 15 წლის წინათ

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დასავლეთის აგრესიულ ზრახვებსა და მსოფლიოს დამორჩილების მცდელობაზე 15 წლის წინათ მიუთითა მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების კონფერენციაზე, მაგრამ დასავლეთი თავისსას მაინც არ იშლის — ნატო კვლავ ცდილობს აღმოსავლეთით გაფართოებას, გაეროს წესდება ფარატინა ქაღალდად იქცა, კოსმოსი — ბრძოლის ველად. როგორ იცვლებოდა ძალთა ბალანსი გაეცანით მასალაში.**




## აშშ-ის ალტერნატივა

2008 წლის 10 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინის გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები რუსეთის ლიდერს გაქვავებული სახეებით უყურებდნენ — კარგა ხნის განმავლობაში მათთან ასე არავის უსაუბრია. დაბნეული ჩანდა დასავლური მასმედიაც. გამოქვეყნებული წერილების საერთო ტონალობა იმხანად ასეთი იყო: ის თავს რის უფლებას აძლევს?

პუტინმა აშშ საკუთარი ინტერესების სხვა ქვეყნებისთვის თავის მოხვევაში დაადანაშაულა, ნატოს უსაყვედურა, რომ დაარღვია პირობა და აღმოსავლეთით კვლავ გაფართოვდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია დასავლეთის მცდელობები, შექმნას ერთპოლუსიანი მსოფლიო. მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების მსგავს სისტემას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასა და სხვადასხვა კულტურის თანაარსებობასთან. რუსეთის ლიდერმა იწინასწარმეტყველა ძალთა ახალი ცენტრების გაჩენა, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ ცივი ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ მსოფლიო წესრიგს.

„იმხანად მან მომავალი იწინასწარმეტყველა, — მიაჩნია გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტს, **კონსტანტინე სოკოლოვს,** — ამჟამად მსოფლიო წესრიგს განსაზღვრავს ძალთა შეფარდება რუსეთი-ჩინეთი-აშშ-ის სამეულში. 15 წლის განმავლობაში მოსკოვმა და პეკინმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი. ეს საკამათო არ არის. უფრო მეტიც, ყალიბდება მოკავშირეების ახალი სტრუქტურა, კოლექტიური დასავლეთის ალტერნატივა. ესენია: თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია, ბრიჩსი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) და სხვა გაერთიანებები.

ვაშინგტონის პოლიტიკა პირდაპირ უბიძგებს მოსკოვსა და პეკინს სამხედრ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებისკენ“.

## ახალი სტატუსი

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 2007 წელს რუსეთს მოკავშირე, ფაქტობრივად, არ ჰყოლია; არც ისეთი ქვეყანა ყოფილა, რომელიც მოსკოვს მფარველად მიიჩნევდა. დღეს კი ვითარება შეცვლილია. სირიის არაბთა რესპუბლიკამ, რომელმაც 2015 წელს სამხედრო დახმარება სთხოვა რუსეთს, მსოფლიოს აჩვენა, რომ პლანეტაზე არსებობს დაცვის სხვა სისტემაც გარდა იმისა, რომელსაც თავს გვახვევენ ამერიკელები. თანაც ის გაცილებით ეფექტიანად მოქმედებს.

„მოსკოვმა შეძლო, შეეთავაზებინა უნიკალური პროდუქტი — უსაფრთხოების ექსპორტი, — განაგრძობს სოკოლოვი, — და ლაპარაკია არა მხოლოდ სირიაზე. რუსი სამხედრო სპეციალისტები მუშაობენ **ლიბიასა** და აფრიკის სხვა ქვეყნებში, **ვენესუელაში,** თანამშრომლობის სიგნალს იძლევა **არგენტინა.** ევროპაშიც კი მოიძებნება ქვეყნები, რომლებიც მოსკოვთან თანამშრომლობენ. ამის ნათელი მაგალითია **უნგრეთი.** მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთი „ცივ ომში“ დამარცხებული სახელმწიფოდან მსოფლიოს ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ გადაიქცა“.

ახალ დიპლომატიურ რანგში მოსკოვი პირველად გამოვიდა 2013 წელს, როცა ამერიკელები მზად იყვნენ, სირიისთვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ. საბაბი — არაფრით დადასტურებული ინფორმაცია დამასკოს მიერ ოპოზიციის დასათრგუნავად ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ.

კრემლმა დაარწმუნა დასავლეთი, საერთაშორისო ძალებით გაეკონტროლებინათ და გაენადგურებინათ საბრძოლო მომწამლავი ნივთიერებების მარაგები. ინტერვენცია თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ ნატოს ქვეყნები შემდეგ მაინც ჩაებნენ სირიის სამოქალაქო ომში.

## სამხედრო რენესანსი

შეიცვალა რუსეთის სამხედრო პოზიციაც. მიუნხენში სიტყვით გამოსვლიდან ნახევარ წელიწადში პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შეთანხმებაში მონაწილეობის შეჩერების შესახებ. ეს დოკუმენტი განსაზღვრავდა სამხედრო ქვედანაყოფების, დაჯავშნილი ტექნიკისა და სხვა შეიარაღების რაოდენობას, რომლის განლაგებაც შეეძლო მოსკოვს დასავლეთ საზღვრებთან და ნატოს — აღმოსავლეთ საზღვრებთან, მაგრამ **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციამ დაარღვია ძალთა ბალანსი და აღნიშნული შეთანხმება ფარატინა ქაღალდად აქცია.**

„შეთანხმებამ ძალა დაკარგა ნატოში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილი მოკავშირეების მიღების შემდეგ, — ამბობს სამხედრო ექსპერტი **ალექსეი ლეონკოვი.** — სარკისებრი პასუხისთვის რუსეთს თავისი შეიარაღებული ძალების 2,5-ჯერ გაზრდა და დიდძალი თანხის დახარჯვა დასჭირდებოდა. ამას ეკონომიკა ვერ გაუძლებდა, ამიტომ გადაწყვიტეს, შეეცვალათ სამხედრო დოქტრინა. **აქცენტი გააკეთეს მაღალი სიზუსტის იარაღზე, რომელსაც შეუძლია დაარტყას შორს, სწრაფად და ზუსტად“.**

**პუტინმა აშშ სხვა ქვეყნებისთვის საკუთარი ინტერესების თავს მოხვევაში დაადანაშაულა; ნატოს უსაყვედურა, რომ დაარღვია პირობა და აღმოსავლეთით კვლავ გაფართოვდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია დასავლეთის მცდელობები, შექმნას ერთპოლუსიანი მსოფლიო. მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების მსგავს სისტემას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასა და სხვადასხვა კულტურის თანაარსებობასთან. რუსეთის ლიდერმა იწინასწარმეტყველა ძალთა ახალი ცენტრების გაჩენა, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ ცივი ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ მსოფლიო წესრიგს**

2008 წელს აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა **მიხეილ სააკაშვილს** უბიძგეს, შეეტია ცხინვალისთვის. ომის პირველ საათებში ქართული მხარის მიერ დაწყებული საარტილერიო შეტევის შედეგად 15 რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა. ისინი ცხინვალში გაეროს სამშვიდობო მანდატით იმყოფებოდნენ. რუსეთმა ამას 58-ე არმიის დარტყმით უპასუხა და 5 დღეში აიძულა საქართველო, მშვიდობა დაეცვა, როცა სრულიად გაანადგურა მისი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი. ამ სამხედრო ოპერაციამ ბევრი პრობლემა წარმოაჩინა: ურთიერთქმედების სუსტი ორგანიზება, თანამედროვე შეიარაღებისა და გაწვრთნილი პირადი შემადგენლობის დეფიციტი, აგრეთვე, მოძველებული ტაქტიკა. 5-დღიანი ომი იყო მასშტაბური სამხედრო რეფორმის ჩატარების საწყისი წერტილი.

„კრემლში აცნობიერებდნენ, რომ აშშ-ისა და ნატოს მთავარი კოზირი თვითმფრინავები და უპილოტო საფრენი აპარატებია, რომლებიც მათ ბევრი ჰყავთ. სწორედ ამის გათვალისწინებით დაიწყეს მოდერნიზაცია. **15 წლის განმავლობაში საზღვრებზე შეიქმნა მთლიანი რადიოლოკაციური ველი — დღეს ვერც ერთი უცხო თვითმფრინავი შეუმჩნევლად ვერ შეაღწევს რუსეთის ტერიტორიაზე. ამასთანავე, ნულიდან შეიქმნა ჯარების მართვის ავტომატიზებელი სისტემა“.**

ეს სისტემა ავსებს საჯარისო შენაერთების საერთო ბრძოლების თანამედროვე კონცეფციას და ჯარებს შესაძლებლობას აძლევს, ელვისებურად შეასრულოს ამოცანები. **ეს სისტემა გამოსცადეს სირიაში და მისი შესაძლებლობები სრული მასშტაბით წარმოჩნდა სწავლებაზე „დასავლეთი-2021“, როცა 14 პოლიგონზე ერთდროულად ატარებდა წვრთნას 200 ათასი სამხედრო მოსამსახურე.** პოსტსაბჭოთა პერიოდისთვის ეს აბსოლუტური რეკორდია. **სერიოზულად განახლდა ჯავშნიანი ტექნიკის, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და ბომბდამშენი ავიაციის პარკი. გაფართოვდა ბირთვული ტრიადის შესაძლებლობები. 15 წლის განმავლობაში დაიწყო მეხუთე თაობის გამანადგურებლის — СУ-57-ის სერიული წარმოება. ამას გარდა, მოსკოვი მნიშვნელოვნად უსწრებს ვაშინგტონს ჰიპერბგერითი შეიარაღების სფეროში.**

**სერიოზულად განახლდა ჯავშნიანი ტექნიკის, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და ბომბდამშენი ავიაციის პარკი, გაფართოვდა ბირთვული ტრიადის შესაძლებლობები. 15 წლის განმავლობაში დაიწყო მეხუთე თაობის გამანადგურებლის — СУ-57-ის სერიული წარმოება. ამას გარდა, მოსკოვი მნიშვნელოვნად უსწრებს ვაშინგტონს ჰიპერბგერითი შეიარაღების სფეროში**

## ისტორიული უფლება

ზემოჩამოთვლილი ნაბიჯების უმრავლესობა იძულებითი იყო: თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 2007 წელს გეოპოლიტიკური წარმონაქმნი იყო, ახლა მან სრულად დაიბრუნა სამხედრო ბლოკის სტატუსი. 2014 წლის გაზაფხულზე, რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების შემდეგ, ნატოს ქვეყნებმა კონსოლიდაცია დაიწყეს და მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფები განალაგეს.

„ამერიკელებმა გააერთიანეს მოკავშირეები საერთო მტრის წინააღმდეგ, — ამბობს კონსტანტინე სოკოლოვი, — აშშ-ის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ევროპაში გადმოისროლეს, რუსეთის საზღვრებთან. და ეს ხდება ანტირუსული ისტერიკის ფონზე. ნატო სახიფათო და ძალიან მჭიდრო მოწინააღმდეგეა, მაგრამ რუსეთის არმია დღეს ის არ არის, რაც ადრე იყო“.

მიუნხენში პუტინის გამოსვლის შემდეგ დასავლური მედიასაშუალებები წერდნენ: „რუსეთის პრეზიდენტმა, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა 2008 წელს ეწურებოდა, ანტიამერიკულ რიტორიკას ქულების ჩასაწერად მიმართა“, მაგრამ დრომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. **აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციების მიუხედავად, რუსეთი დამოუკიდებელ მოთამაშედ რჩება საერთაშორისო არენაზე. რადგან, როგორც პუტინმა აღნიშნა, „ეს რუსეთის ისტორიული უფლებაა!“**

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გასული საუკუნის 90-იან წლებში, „კაენის სულის აღზევების“ პერიოდში, როდესაც კულმინაციას მიაღწია სტალინის დემონიზაციამ, ყოველ წუთში გაისმოდა მომიტინგეთა მხრიდან: „თქვენ მოკალით ჯავახიშვილი, თქვენ მოკალით ტაბიძე, იაშვილი, მიქელაძე“. ეს სიტყვები დღესაც ჩამესმის ყურში და დღესაც მაფრთხობს, როგორც იმხანად გაცილებით ახალგაზრდას, ისე ახლა სიბერეშიც და ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ამოხეთქოს სათქმელმა: „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4, 2022 წ.

# სტალინი და მიხეილ ჯავახიშვილი

**რამდენიმე წლის წინათ ტელეეკრანზე კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე გამოჩნდა ერთ-ერთ ტელეწამყვანთან, რომელიც ქალბატონ ლანას მისი ცხოვრების ეპიზოდებზე ესაუბრებოდა. რესპონდენტი ყოველთვის და ყველასთვის საყვარელი კინორეჟისორი გახლდათ და, შესაბამისად, მისი ცხოვრების ყველა წვრილმანი მაყურებლისთვის საინტერესო იყო. ჟურნალისტმა ქალბატონ ლანას მამაზე დაუსვა შეკითხვა. ძლიერ შევშფოთდი, შვილმა მამაზე უკადრისი რამე არ თქვას-მეთქი, მაგრამ თავი იმით დავიმშვიდე, რომ ლანას ეცოდინებოდა სტალინის სიტყვები: „შვილები მშობლების საქციელზე პასუხს არ აგებენ“. ქალბატონმა ლანამ უყოყმანოდ, თითქოს ამ კითხვას ელოდაო, უპასუხა:**

— მამა იმ ეპოქის შვილი იყო და იმ საქმეს ემსახურებოდა, რომელ ეპოქაშიც დაიბადა და ცხოვრობდა, როდესაც შენდებოდა და მტკიცდებოდა ახალშობილი ქვეყანა. მამა ენერგიული, პრინციპული და გაბედული კაცი გახლდათ, თავისი საქმის ერთგული. ასრულებდა დავალებებს, რომლებიც, მოსწონდა თუ არა, სწამდა, რომ სამშობლოს სჭირდებოდა. მე ვამაყობ ჩემი მამით.

სულმოუთქმელად ველოდებოდი, როგორ დაასრულებდა თავის სათქმელს მამაზე და, როდესაც მოვისმინე სიტყვები „მე ვამაყობ ჩემი მამით“, თითქოს გავიზარდე. გავიფიქრე, სანამ საქართველოში ერთი ლანა არსებობს, მამაშვილობა არ დაიკარგება და ოჯახები იარსებებენ-მეთქი. სანამ ქეთევანები და რუსუდანები ქვეყანას გაუჩნდებიან, სახელოვან მამებზე წიგნები ყოველთვის დაიწერება და, სანამ ბაბუებს ისეთი შვილიშვილები ეყოლებათ, როგორიც **მანანა ხომერიკია**, მანამ ხმალი ქარქაშში არ ჩაიდება, მშობლისა და წინაპრის ტყუილ-მართალი გაირჩევა და სიმართლე იზეიმებს. ეს არ იქნება შურისძიების ზეიმი, ეს იქნება ზეიმი ჭეშმარიტების — მიზეზთა შესწავლისა და სიმართლის პოვნის.

მე სიმართლის მთქმელი და მლიქვნელთა მიმართ დაუნდობელი ვარ. ამას ხან ჩემი ბუნება მკარნახობს და ხან ერთგულების ფიცი მაიძულებს. არავინ იფიქროს, ძველი იარების გახსნით მსურს, ვინმეს ვაამო ან ვინმეს გული ვატკინო. დაე, ვიცოდეთ სიმართლე და ამ სიმართლით ან აღზევებული, ან დამდაბლებული ადამიანები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, „კაენის სულის აღზევების“ პერიოდში, როდესაც კულმინაციას მიაღწია სტალინის დემონიზაციამ, ყოველ წუთში გაისმოდა მომიტინგეთა მხრიდან: **„თქვენ მოკალით ჯავახიშვილი, თქვენ მოკალით ტაბიძე, იაშვილი, მიქელაძე“.** ეს სიტყვები დღესაც ჩამესმის ყურში და დღესაც მაფრთხობს, როგორც იმხანად გაცილებით ახალგაზრდას, ისე ახლა სიბერეშიც და ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ამოხეთქოს სათქმელმა: **„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე“.**

ჩემი უფროსი თაობების ქმედებებისგან გაბოროტებულმა, 1990-იან წლებში გადავწყვიტე, მიმემართა არქივებისათვის და ნაწილობრივ იქ გამერკვია ჩემი გასარკვევი. არქივში მისულმა, მოვითხოვე **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა** და **ევგენი მიქელაძის** სასამართლო პროცესების საარქივო მასალები. დირექციამ უარი განმიცხადა:

— ყველა „საქმე“ ხელოვნების მუშაკებისა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა **იზა ორჯონიკიძემ** წაიღო.

— რა უფლება ჰქონდა სამოქალაქო პირს, სისხლის სამართლის გასაიდუმლოებული საქმეები არქივებიდან გაეტანა? — ვუსაყვედურე.

— მას სპეციალური განკარგულება ჰქონდა და ჩვენც გავატანეთ.

— რამდენი „საქმე“ წაიღო იზა ორჯონიკიძემ არქივიდან? — მკაცრად ვიკითხე.

— 200 „საქმე“, — იყო პასუხი.

მივადექი ლიტერატურის მუზეუმს — ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს:

— თქვენთან ინახება 1937 წელს რეპრესირებულთა ზოგიერთი საქმე, უნდა დამიშვათ მათზე სამუშაოდ.

ქალბატონმა იზამ განმიცხადა, რომ ის 200 „საქმე“, **ზვიად გამსახურდიას** ბრძანებით, გადატანილ იქნა უფრო დაცულ ადგილზე, რადგან ლიტერატურის მუზეუმში იყო საფრთხე, ცეცხლი გაჩენილიყო.

— ესე იგი, არქივზე ვერ ვიმუშავებ? — ვკითხე ქალბატონ იზას.

— ჯერჯერობით ვერა.

როცა ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, ზვიად გამსახურდია მოსწყდა ფარას და ცალკე დასცა ბანაკი. შექმნა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი დამრტყმელი ფრთის, სვანების ხელმძღვანელი **დილარ ხაბულიანი** მესტუმრა შინ და მითხრა:

— ამაღამ, 1-2 საათზე, გამსახურდიასთან უნდა იყო სახლში. დღე არ მოვიდეს, არავინ დაინახოს ეს კომუნისტი ჩემთან სახლშიო (თუმცაღა, თითქმის მთელი მისი გრემოცვა გამყიდველი კომუნისტებითა და დამფინანსებლებით იყო დაკომპლექტებული). **დათქმულ დროს ზვიად გამსახურდია და მე კოლხური კოშკის ეზოში ბაღის სკამებზე ვიჯექით და ვსაუბრობდით: — გრიშა, შენ მაგარი ბიჭი ხარ. ხომ იცი, კარგად გიცნობ. როცა საქართველოს სჭირდები, შენ ეშმაკებისკენ მიბრუნდი. დადგება დრო და ამისთვის გაგასამართლებენ. რა დროს სტალინია ახლა?! ჩვენს პარლამენტში სტალინის სახელი რომ გამოჩნდეს, ვინ შემოგვხედავს? ვინ გვაღიარებს? გაანებე სტალინს თავი. შეწყვიტე საარჩევნო კამპანია და ჩემთან გადმოდი** (აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ. ძალიან პირადულია).

ამ დროს კოლხური კოშკის პირველ სართულზე სინათლე აინთო. კოშკის პირველი სართული სარდაფის ტიპის იყო, ამიტომ კედლებს ჰაერისა და სინათლისათვის ჰქონდა დაბალი და განიერი ფანჯრები და, რადგან სკამზე ჯდომისას სახით კოშკს ვუყურებდი, შევნიშნე, რომ სარდაფის ნახევარი სავსე იყო მუყაოსყდიანი საქაღალდეებით, რომლებიც ნაჭრის თასმებით იყო შეკრული. იმწუთში თავში გამიელვა იმ „საქმეებმა“, რომლებსაც დავეძებდი, მაგრამ ამის შესახებ მაშინ მასპინძლისათვის არაფერი მითქვამს. ჩვენი იმ ღამის შეხვედრა კი უშედეგოდ დასრულდა. ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანე, რომ დამწვარ-დაკარგულად მოხსენიებული მეტად ძვირფასი დოკუმენტური მასალა განადგურებული არ უნდა იყოს...

გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული **მიხეილ ჯავახიშვილის** მოთხრობა „ცოფიანი“, „სექსუალური რევოლუციის“ ბოლო ეტაპია.





ფოტო №1

ჩანაწერი გაკეთებულია 1924 წელს. თუმცა, რევოლუცია დაიწყო 1917 წლის 25 ოქტომბერს (ძველი სტილით) და დამთავრდა იმავე დღეს კრეისერ „ავრორას“ გასროლითა და ზამთრის სასახლის აღებით, ამიტომ საჭირო არ უნდა იყოს რევოლუციის დამთავრების თარიღის დადგენა, თუ რამ ბოროტი განზრახვა არ არის.



ფოტო №2

ეს ჩანაწერი 1924 წლის შემდეგ არის შესრულებული. მწერალი სრულ დეპრესიაშია ქვეყნის აღმშენებლობის საკითხში.

ამით ავტორმა თითქოს წერტილი დაუსვა **ლენინისა** და **ტროცკის** დაწყებულ საქმეს. ხირჩლას ძვლები მისივე ჩაჟანგებული ხანჯლის ტარით იცნო მონადირემ მყინვართა უფსკრულებში. მეამბოხე მწერალმა თავისი მიმართულების ერთი ხაზი დაასრულა: აღარ არის ხირჩლა, აღარც ძალიკაა და არც კმარა გათხოვილა, თუმცა მწერალს საკმარისზე მეტი დარჩა „ცოფიანის“ მსგავსი მოთხრობები: „მუსუსი“, „ოქროს კბილი“, „კურკას ქორწილი“ და სხვ. გარდა „სექსულარი რევოლუციის“ იდეებით გატაცებისა, რაც მწერალს „ჯაყოს ხიზნებიდან“ მოჰყვება, თავის მოთხრობებში და ასევე უბის წიგნაკის ჩანაწერებში ერთობ დიდ ადგილს უთმობს ქართველი ხალხის ზნეობასა და მორალს, ამის აშკარა გამოხატულებაა მისი მოთხრობები: „ჩანჩურა“, „მეჩექმე გაბო“, „ეკა“ და სხ?. ამას ემატება სკრუპულოზურად შესრულებული უბის წიგნაკის ჩანაწერები, რომლებიც ცალკე წიგნად არის დასტამბული და შეგიძლიათ, მასში ამოიკითხოთ მწერლის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი შენიშვნა:

**I. „რევოლუცია გრძელდება და არავინ იცის, როდის დამთავრდება“.** (იხ. ფოტო №1)

**II. „თემა— ბნელ ღამეს მამადავითის საფლავზე ავედი. ლანდი მომეჩვენა. ილია ჭავჭავაძე გაცოცხლებულიყო. წამომყვა. საქართველო დავატარე. ყველაფერი ნახა. მესაუბრა. ველარ გაუძლო — ვიღუპებითო და ისევ საფლავში ჩავიდა“.** (იხ. ფოტო №2)

**III. „მთელი ჩვენი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქართული ენერგია აფეთქებით თავდებოდა, ხანგრძლივობა არ გვყოფნიდა (დაღლილი ერი ვართ). თითქმის ყველა ომი ასე თავდებოდა: ბრძოლაში თუ გავიმარჯვებდით, ცოტა ხანს გავყვებოდით მტერს და მეორე დღესვე გამოვწევდით შინისკენ. ეს იყო თარეში, რბევა, პარტიზანობა და არა დასახული საომარი მოქმედება. ასეთი ერი მკვიდრ სახელმწიფოს ვერ ააშენებდა და აკი ვერ ავაშენეთ“.** (იხ. ფოტო №3)

აქ უნდა შევნიშნო, რომ „კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მოსახლე ხალხები შეწუხებული იყვნენ ქართველთა თარეშით“. არა მგონია, მიხეილ ჯავახიშვილს წაკითხული არ ჰქონოდა თედო ჟორდიასა და კორნელი კეკელიძის მიმოწერა, სადაც ცხადად ჩანს, შემდეგი აზრი: „ვიბრძოლოთ დასაცველად ჩვენი მწერლობა-ისტორიის ღირსებათა. რაც კარგი ვნახოთ, ის შევითვისოთ, გამოვააშკარავოთ, გამოვაბრწყინოთ, ხოლო ნაკლულევანებანი, დეე, მტრებმა ეძიონ...“.

უფრო შემაძრწუნებელია მის უბის წიგნაკში ამოკითხული ლექსი.

IV. აღარ გუგუნებს სიონის
ზარი,
ველარ გამოჩნდეს დღეს
რუსთაველი,
ველარ აყვავდეს გამხმარი
ზვარი,
ველარ მოირწყვის
სამგორის ველი.
უდაბურ იქნა მიწა
ქართული.
ველარ გავშალოთ დროშა
თამარის,
ფერფლად ჩაიწვა გული
ლომგული
და გველანდება პირი
სამარის.
მარცველის ნაცვლად ქვიშა
ფხვიარი,
რკინის მაგიერ ჩვარი
მხრჩოლავი,
გული მორჩილი,
სული მშიერი,
აზრი ფუღურო,
სახე მგლოვარი.
ნუთუ დაგვიდგა დღე
აღსასრულის,
ველარ წამოდგეს კახის
ლაშქარი.
პატარა კახის მედგარი
სულის
ველარ ავშალოთ
ქარდუთა ქარი? ▶

**დათქმულ დროს ზვიად გამსახურდია და მე კოლხური კოშკის ეზოში ბაღის სკამებზე ვიჯექით და ვსაუბრობდით: — გრიშა, შენ მაგარი ბიჭი ხარ. ხომ იცი, კარგად გიცნობ. როცა საქართველოს სჭირდები, შენ ეშმაკებისკენ მიბრუნდი. დადგება დრო და ამისთვის გაგასამართლებენ. რა დროს სტალინია ახლა?! ჩვენს პარლამენტში სტალინის სახელი რომ გამოჩნდეს, ვინ შემოგვხედავს? ვინ გვაღიარებს? გაანებე სტალინს თავი. შეწყვიტე საარჩევნო კამპანია და ჩემთან გადმოდი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მიხეილ ჯავახიშვილი (ბოლო რიგში მარცხნიდან პირველი) და მის გვერდი პაოლო იაშვილი კრემლში



ფოტო №3

◀ მწერალს კიდევ რამდენიმე წელიწადი რომ ეცოცხლა, დაინახავდა, როგორ გამწვანდა სამგორის ველი, რამდენი მზით გარუჯული პირველი ხარისხის სახნავ-სარწყავი მიემატა თბილისის შემოგარენს. როგორ აშენდა და დამშვენდა თბილისის ზღვის მიდამოები. მწერალს მხჩოლავი ჩვარი ახსოვს და ვერ მოესწრო ამიერკავკასიის მეტალურგიულ გიგანტს — სრული ციკლით მომუშავე სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს.

**ბატონო მიხეილ, რა მოსატანია ირაკლის მცირერიცხოვანი ლაშქარი, რომელსაც შენი თვისტომი, თქვენი დაღუპვიდან, სულ რაღაც, 5-6 წელიწადში, 12-მილიონიანი არმიის მთავარსარდალი იყო და მსოფლიო ჰიტლერული კატასტროფისაგან იხსნა.**

**V. „ქართველი ხალხი მუდამ ერთმანეთის ჭამით იყო მაძღარი“.**

ვერც ამაში დავეთანხმები დიდ ქართველ მწერალს. **უდიდესმა ერებმა და იმპერიებმა ამოჭამეს თავიანთი თავი. საქართველო კი დგას დღესაც „ვით გოდოლი, შეურყეველი“. მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: მიხეილ ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელის“ სახით ისეთი მუხა დარგო საქართველოში, რომ, რაც უნდა ჩამოჰკიდო მის ტოტებზე, რა ფერადი ნაჭრებიც უნდა შეაბა და მორთო, დრო და ბუნება ამ საუკუნოვან ხეს ყველა ნივთსა და ნაჭერს შეახმობს.** არა მგონია, ბატონი **შალვა ნუცუბიძის** ნათქვამი სწორი იყოს „წაწოლის“ თეორიაზე — „ქარიშხალს მუხა და ლერწამი ერთად შეხვდნენ. მუხა იდგა და მედგრად ებრძოდა ქარიშხალს. ლერწამი კი „წაუწვა“. ქარიშხალი ჩადგა. მუხა ამოყირავებული დარჩა, ლერწამი წამოდგა და ისევ ამაყად ეჭირა თავი“. არა, მიხელ ჯავახიშვილს, „არსენა მარაბდელის“ ავტორს, „წაწოლა“ არ ეკადრება. ის მეამბოხე, დაუდეგარი ვეფხვია, რომელმაც მთელი ევროპა ფეხშიშველმა შემოიარა და ისევ მოვიდა საქართველოში. მას არ უნდა მოვთხოვოთ ჩვეულებრივი მოკვდავის წესი და მოვალეობა.

* მერე რა, რომ გენიოსმა **ნიუტონმა** კარში ორი ნახვრეტი გააკეთა დიდი და პატარა კატისთვის. მან ხომ ბუნების კანონები აღმოაჩინა.

* მერე რა, რომ უკვდავი აინშტაინი სრულიად გაუაზრებლად მიირთმევდა შავი ხიზილალით დაფარულ პურს და პირისპირ მჯდომს უმტკიცებდა, რომ ხიზილალა არასდროს უჭამია.

ბატონი მიხეილ ჯავახიშვილი ჩვეულებრივი საზომით არ უნდა გავზომოთ და არც ჩვეულებრივი სასწორით ავწონოთ.

თუ დიდი მიხეილის ქალიშვილის, **ქეთევან ჯავახიშვილის,** მოგონებებს გადავხედავთ, ბევრ საინტერესო და შეფარულ სიმართლეს გავიგებთ. წიგნის ავტორი ქალბატონი ქეთევანი გულწრფელად შენიშნავს: **„ოციანი წლების პრესას თვალი რომ გადავავლოთ, დავინახავთ, თუ როგორ მკაცრად არის გაკრიტიკებული მამას უკლებლივ ყველა ნაწარმოები, რომანი თუ მოთხრობა. მწერალი ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა და აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. ამიტომ იმხანად იგი გულჩათხრობილი და დაღვრემილი იყო. ქართველი საბჭოთა მწერლების ორგანიზაციულ დაქსაქსულობას ბოლო მოეღო 1932 წელს მიღებული დადგენილების საფუძველზე. ლიკვიდირებულ იქნა პროლეტარ მწერალთა ასოციაცია და შეიქმნა საბჭოთა მწერლების კავშირი. ამ მდგომარეობამ მამა ძალზე გაახარა, მას საშუალება მიეცა, თავისუფლად ამოესუნთქა. მისი მუშაობის პირობებიც უმჯობესდებოდა. ამ დადგენილებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მწერლებს შემოქმედებითი მუშაობისათვის და ატმოსფეროც რამდენადმე გაიჯანსაღა“.**

მიხეილ ჯავახიშვილს სოფელ წერაქვის ხის სახლად ნუ შევხედავთ შორიდან, რომელსაც შეიძლება ყავარი ახდილი ჰქონდეს და კარი ჩამოვარდნილი. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებით დაინტერესებული კაცი თვითონ მიხეილის შიგნით უნდა შევიდეს და შიგნიდან დაინახოს ის მრავალწახნაგოვანი ბროლის კოშკი, რომლიდანაც ნათდება მრავასაუკუნოვანი ქართული მწერლობა. **ეჭვი მღრღნის და მაწვალებს, რომ მიხეილ ჯავახიშვილს — ამ დაუდგრომელ ავაზას, ვიღაცის ხელი იფარავდა, ყველა მის ადამიანურ ცდუნებას თუ გადაცდომას მიუტევებდა. მიუტევებდა, თანაც უაპელაციოდ. მიუხედავად მთელი ქართული მწერლობის ბომონდის წინააღმდეგობისა და ანათემაზე გადაცემისა, მიხეილ ჯავახიშვილის ავტორიტეტი განუხრელად იზრდებოდა.** სრულიად ახალგაზრდა მიხეილი, მიუხედავად ძალზე მძიმე დანაშაულისა, ისეთმა მრისხანე პროლეტარულმა რევოლუციონერმა, როგორიც **სერგო ორჯონიკიძე** იყო, ერთპიროვნულად შეიწყალა და ციხიდან გაუშვა, მაშინ, როცა „ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვაჟა-ფშაველასაც დავიჭერდი“-ო, — განაცხადა ვაჟას შვილის დაპატიმრებისას „რკინის კომისარმა“. მიხეილ ჯავახიშვილი ხან მგზნებარე რევოლუციონერის როლში გვევლინება, ხან — ხელისუფლებასთან მებრძოლი ავანგარდის სულისჩამდგმელად. ეს ყველაფერი მისთვის ჩვეულებრივი ამბავია, საბედისწერო 1937 წლამდე. ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილი გულწრფელია, მკითხველი მაშინ დარწმუნდება, როდესაც 1936 წლის 19 მარტს მისი ორდენით დაჯილდოების სამადლობელ სიტყვაში სტალინს პირდაპირ ეუბნება: **„მე მწერლობა დავიწყე 1903 წელს. მაგრამ ნამდვილი მწერალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავხდი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის განმავლობაში 20-ჯერ მეტი დავწერე, ვიდრე ძველი რეჟიმის დროს. ვიძლევი პირობას, მივცე ჩემს მკითხველებს ახალი რომანი 1905 წლის ეპოქიდან. თემა — 1905 წლის აჯანყებაა. რომანს ეწოდება „ქალის ტვირთი“. ლაპარაკია ქალებზე, რომლებმაც იკისრეს რევოლუციის ტვირთი, ამასთანავე, ერთმა მათგანმა გაუძლო ამ ტვირთს, მეორე კი დაეცა“.** ყველა საკავშირო ღონისძიებაზე, რომელიც ქართულ მწერლობას თუ ხელოვნებას ეხებოდა, უშუალოდ მიხეილ ჯავახიშვილი მონაწილეობდა. **1934 წლის 17 აგვისტოს მოსკოვში გამართულ პირველ ყრილობას, სხვებთან ერთად, საქართველოდან მიხეილ ჯავახიშვილი ესწრებოდა და ის 54 წევრისაგან შემდგარი პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.**

1934 წლის 20 აგვისტოს დილის სხდომას, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **მალაქია ტოროშელიძემ** სტალინის მიერ შედგენილი და ჩასწორებული მოხსენება წაიკითხა, სწორედ მიხეილ ჯავახიშვილი თავმჯდომარეობდა. მოხსენების წაკითხვამ დარბაზში ფურორი მოახდინა. ყრილობის მთელი შემადგენლობა ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს საქართველოს მწრლობისა და მრავალსაუკუნოვანი კულტურის აღმოჩენას. სტალინის მითითებით, ყურადღების დათმობამ შუასაუკუნეების რენესანსისა და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ძირეულმა გაცნობამ ყრილობის მონაწილეებისათვის, უზარმაზარი გამოხმაურება ჰპოვა და სვეტებიან დარბაზში, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, პირველ სვეტზე შესვენების პერიოდში ყრილობის მონაწილეებმა დაინახეს მათთვის უცნობი პოეტის, შოთა რუსთაველის, უნიკალური ფერადი სურათი, რომელიც სვეტებიან დარბაზს ამშვენებდა. ყრილობის ქართველი მონაწილეები ცრემლებს ვერ იკავებდნენ აღტაცებისაგან. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას დიდმა **ირაკლი აბაშიძემ** ლექსიც კი მიუძღვნა. სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს ქალბატონ **ქეთევან ჯავახიშვილის** იმავე წიგნში (გვ. 383-ე) აღნიშნული ფაქტი, რომ სვეტებიან დარბაზში რუსთაველის სურათის ჩამოკიდება მიხეილ ჯავახიშვილის შენიშვნის შედეგი იყო. აი, როგორ აღწერს ქალბატონი ქეთევანი ამ მოვლენას:

„შოთა რუსთაველის სურათზე მინდა, გავიხსენო მამას ნაამბობი. მოსკოვიდან ჩამოსვლისას მან გვიამბო ეს ამბავი და მწერლებმაც ამის შესახებ იცოდნენ. სვეტებიანი დარბაზის ერთ-ერთ სვეტზე რუსთაველის სურათის ჩამოკიდების ამბავი ასე მომხდარა: მამას პრეზიდიუმში რომ დაუკავებია ადგილი, დარბაზისთვის გადაუხედავს და სვეტებზე გაკრული სხვადასხვა ეროვნების კლასიკოსების სურათებისთვის ყურადღება მიუქცევია. შეუნიშნავს, რომ მწერალთა შორის საქართველოდან შოთა რუსთაველის სურათი არ იყო ჩამოკიდებული. ყველა ეროვნების მწერლები იყვნენ წარმოდგენილნი, საქართველოს გარდა. გვერდით ვინც იჯდა პრეზიდიუმში, მამას იმისთვის გადაულაპარაკია: „მე აქ საქართველოს წარმომადგენელის, შოთა რუსთაველის, სურათს ვერ ვხედავ, რატომ გამორჩათ?“ ის კაცი მაშინვე ამდგარა თავისი ადგილიდან, გარეთ გასულა და, როცა შემოსულა, მამას დაუნახავს, როგორ აღიმართა დარბაზის ერთ-ერთ თავისუფალ სვეტზე რუსთაველის სურათი. ყველაფერი უმალ მოხდა. მიხეილმა კმაყოფილებით გაიღიმა და თავისუფლად ამოისუნთქა. ყველაფერი რიგზე იყო. ეს ფაქტი ცნობილი იყო ჩვენი დელეგაციისათვის“.

აქვე გთავაზობთ მიხეილ ჯავახიშვილის ფოტოს, რომელიც მან 1936 წლის 19 მარტს გადაიღო მოსოვში, კრემლის სასახლეში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)







ყურადღება!
დაიბეჭდა ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-7 და მე-8 ტომები. შეძენის მსურველებმა დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 597100600.

ისტორიის ჩარხი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ შემობრუნდნენ ასოთხმოცი გრადუსით გულაგის ყოფილი პატიმრები და მათი მემკვიდრენი? გამჭრიახ ადამიანებს არ გაუძნელდებათ მიზეზის ამოცნობა. მამონა (სიმდიდრის, ანგარების ღმერთი) დღეს ისე მძლავრობს, როგორც არასდროს. ახლა ნათლად გამოჩნდა, როცა გულაგის ყოფილი პატიმრები და მათი მემკვიდრენი არჩევანის წინ დადგნენ — გამორჩენა თუ ძველებურად თავის მოკატუნება, მამა აბრაამის ბატკნის „სტატუსის“ შენარჩუნება, სატანისებრ მაცდურმა მამონამ რომ გადასძლია.**

# დანაშაული უნებლიეთ გაცხადდა

**1997 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში, საქართველოს პარლამენტი 1998 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საკითხს როცა განიხილავდა, პარლამენტის შენობის წინ დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა და ინვალიდებმა პიკეტი მოაწყვეს. ისინი მოითხოვდნენ, საარსებო მინიმუმამდე მაინც გაეზარდათ მათთვის პენსიები (რა დამამცირებელ მდგომარეობამდე მიიყვანეს ბატონმა „დემოკრატებმა“ ყველაზე საშინელ ომში გამარჯვებულნი) და უცებ პარლამენტის ჭერქვეშ ყუმბარის აფეთქებასავით გაისმა განცხადება ისეთ თემაზე, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მტერთაგან ტაბუ ედო. ვინც სიმართლეს იტყოდა იოსებ სტალინისა და მისი ეპოქის შესახებ, სულელის ან ცრუს იარლიყს მიაკერებდნენ ანტისაბჭოურად განწყობილი ვაჟბატონები და ქალბატონები.**




**ისტორიულად ხომ ყოველთვის ასე იყო: ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია, წყობილება თუ რეჟიმი გააფთრებით იცავდა თავს მოწინააღმდეგე ძალისაგან, მაგრამ დახეთ ანტიკომუნისტების „ლოგიკას“! — როცა საბჭოთა წყობილების მესვეურნი ებრძოდნენ შინაურ თუ გარეშე მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ისტორიის ჩარხის უკან შემობრუნებას — კაპიტალიზმის რესტავრაციას, თურმე უდიდესი დანაშაული ჩაუდენიათ ადამიანურობის წინაშე. დახეთ, ანტიკომუნისტების გასაშტერებელ „ლოგიკას“ — ის არაფერი, დიდი ხნის განმავლობაში მუშებისა და გლეხების ზღვა სისხლს რომ ღვრიდნენ მათი მჩაგვრელნი, მაგრამ უდიდესი დანაშაულია, როცა მუშებმა, გლეხებმა და მათმა ავანგარდმა — კომუნისტებმა გააქტიურებული კლასობრივი მტრის წვეთი სისხლი დაღვარეს, რადგან არ სურდათ, გადაგდებული მონობის უღელი ხელახლა დაედგათ მათთვის საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ ვაჟბატონებს**

მაინც რა მოხდა? ვინც ტელეეკრანზე უყურებდა პარლამენტის სხდომის მსვლელობას, ასეთი ამბის მოწმე შეიქნა: ერთ-ერთმა დეპუტატმა (გვარი ვერ გავარკვიე) მოახსენა პარლამენტს, რომ **მასთან მოვიდნენ გულაგის ყოფილი პატიმრები, მათი ოჯახის წევრები და მოითხოვეს, რომ მათაც მოუმატონ პენსიები, როგორც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლებს და ამ მებრძოლთა მემკვიდრეებს.**

აი, ასე, თითქოს უღრუბლო ციდან მეხმა იქუხაო, **1937 წლის „უდანაშაულო“ მსხვერპლთა წარმომადგენლებმა, ბოლოს და ბოლოს, აღიარეს დანაშაული, ჩადენილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო უმცროსმა თაობამ ეს დანაშაული დაადასტურა და ამისთვის ჯილდოც მოითხოვა. საყურადღებოა, რომ ჯილდოს მთხოვნელთა კონტიგენტი სამას ადამიანზე მეტი არ ყოფილა. სად დაიკარგნენ „ათიათასობით“ რეპრესირებულნი, რომელთა შესახებ დღენიადაგ პარანოიდულად გაჰყვირიან მათი „გულშემატკივარნი“?** საქმე მხოლოდ ძველი თაობის ანტისაბჭოელებს რომ ეხებოდეს, პენსიების მომატებას რომ მოითხოვდნენ, მაშინ მათი სიმცირე ადვილად შეიძლებოდა ახსნილიყო: 1937 წლის შემდეგ, ანუ 60 წლის განმავლობაში, რა გასაკვირია, რომ მათი უმრავლესობა წავიდოდა ამქვეყნიდან სხვადასხვა დაავადებისა და ასაკის გამო, მაგრამ მათი ოჯახის წევრები, შთამომავლები ხომ დარჩებოდნენ?! **ეს ფაქტი იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ საქართველოში რეპრესირებულნი ათიათასობით კი არ იყვნენ, არამედ გაცილებით ნაკლები... როგორც პარლამენტის წევრმა განმარტა, სულ სამასი ადამიანი! აკი 1937 წელს სტალინმაც თქვა: „მავნებლები ერთი მუჭა არიან“, ხოლო მათ, ვინც ერთ მუჭა მავნებლებს საშიშ ძალად არ თვლიდა, განუმარტა: „მაგრამ დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ“.** ჩეკისტის სახელს ამოფარებულნი აპატიმრებდნენ უდანაშაულო ადამიანებს. მავნებლები ანგრევდნენ, წვავდნენ, ქარს ატანდნენ მშრომელი ხალხის მონაგარს, მაგრამ გაუგეს მზაკვრობა, ამხილეს და კანონის შესაბამისად მიუზღეს... მათ მიერ უდანაშაულოდ დაპატიმრებულნი კი გაათავისუფლეს, — აი სიმართლე, რომელსაც ანტიკომუნისტები, ანტისტალინელები საგულდაგულოდ უმალავენ ახალგაზრდა თაობას, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ახსოვთ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **მართლმსაჯულების ორგანოებში შეპარულმა მავნებლებმა ზოგიერთი პატიმრის საქმე ისე გახლართ-გამოხლართეს, ძნელი შეიქნა დადგენილიყო, დამნაშავე იყო ის პიროვნება თუ უდანაშაულო. მაგალითად, დღემდე ბურუსითაა მოცული მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის საქმე.**

რატომ შემობრუნდნენ ასოთხმოცი გრადუსით გულაგის ყოფილი პატიმრები და მათი მემკვიდრნენი? გამჭრიახ ადამიანებს არ გაუძნელდებათ მიზეზის ამოცნობა. მამონა (სიმდიდრის, ანგარების ღმერთი) დღეს ისე მძლავრობს, როგორც არასდროს. ახლა ნათლად გამოჩნდა, როცა გულაგის ყოფილი პატიმრები და მათი მემკვიდრენი არჩევანის წინ დადგნენ — გამორჩენა თუ ძველებურად თავის მოკატუნება, მამა აბრაამის ბატკნის „სტატუსის“ შენარჩუნება, სატანისებრ მაცდურმა მამონამ რომ გადასძლია. **მამონას, ოდითგან ადამიანთა ზნეობის შემრყვნელად რომ ითვლება, თურმე ცრუ ადამიანების ორპირებად გადაქცევაც შესძლებია. თუ „უდანაშაულონი“ აქამდე გაიძახოდნენ: არაფერი დაგვიშავებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მეზობლებმა დაგვასმინესო, დღეს საჯაროდ აცხადებენ: საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურად ვიბრძოდითო... ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო. რა სიკეთეს მოუტანენ ამგვარი ადამიანები საქართველოს?**

დღეს ხომ ისევ გაცხადებულია, რომ ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (სინამდვილეში ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობა რომ აღმოჩნდა) მოთავენი იმ ძველი, აქტიურად მებრძოლი ანტისაბჭოელების სისხლისმიერი და იდეური მემკვიდრენი ყოფილან. დღეს ცხადად გამოჩნდა, თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს მოძრაობა ეროვნული ინტერესებიდან კი არ გამომდინარეობდა, არამედ კაპიტალიზმის რესტავრაციას ესწრაფვოდა.

**ისტორიულად ხომ ყოველთვის ასე იყო: ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია, წყობილება თუ რეჟიმი გააფთრებით იცავდა თავს მოწინააღმდეგე ძალისაგან, მაგრამ დახეთ ანტიკომუნისტების „ლოგიკას“! — როცა საბჭოთა წყობილების მესვეურნი ებრძოდნენ შინაურ თუ გარეშე მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ისტორიის ჩარხის უკან შემობრუნებას — კაპიტალიზმის რესტავრაციას, თურმე უდიდესი დანაშაული ჩაუდენიათ ადამიანურობის წინაშე. დახეთ, ანტიკომუნისტების გასაშტერებელ „ლოგიკას“ — ის არაფერი, დიდი ხნის განმავლობაში მუშებისა და გლეხების ზღვა სისხლს რომ ღვრიდნენ მათი მჩაგვრელნი, მაგრამ უდიდესი დანაშაულია, როცა მუშებმა, გლეხებმა და მათმა ავანგარდმა — კომუნისტებმა გააქტიურებული კლასობრივი მტრის წვეთი სისხლი დაღვარეს, რადგან არ სურდათ, გადაგდებული მონობის უღელი ხელახლა დაედგათ მათთვის საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ ვაჟბატონებს.** რა შეიძლება ეწოდოს ანტიკომუნისტების ამგვარ ქმედებას? ცინიზმია ეს? არა — ეს ზეცინიზმია! ჭკუათამყოფელი ადამიანებისათვის განა ისიც გასაგები არ უნდა იყოს, რომ **საბჭოთა ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა იმიტომ ედგა მხარში საყვარელ ბელადს, რომ იგი სამართლიან პოლიტიკას ატარებდა, მშრომელი ადამიანების, მაშასადამე, უმრავლესობის ინტერესებს იცავდა, მაშინ, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში პრიორიტეტი ენიჭება კაპიტალისტთა ინტერესებს,** ანუ ფაქტობრივად ექსპლუატატორი უმცირესობის ინტერესებია დაცული, და რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ლაყბობა ფარისევლობაა და სხვა არაფერი. განა კაპიტალისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში) ყველაფერი არ კეთდება იმისათვის, რათა ხალხის სიფხიზლე მოდუნდეს? განა იმიტომ არ ეძლევა იქ ფართო გასაქანი „თავისუფლებების“ მთელ კასკადს — სისასტიკეს, ძალადობას, ჭკუის დამაჩლუნგებელ მასობრივ „კულტურას“, ტვინის გამომლაყებელ რეკლამებს, აღვირახსნილ გარყვნილებას, ფარისევლურად სექსუალური რევოლუცია რომ უწოდეს, და შეშლილობამდე მისულ თაყვანისცემას მამონასადმი, ფულისადმი? გაიხსენეთ კაპიტალისტურ „სიამეთა“ მამხილებელი ფილმი „ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო“. ეტყობა, ამერიკაში ჯერ კიდევ არიან პატიოსანი შემოქმედნი.

**როცა ახალი თაობის ანტიკომუნისტები — კაპიტალიზმის მოტრფიალენი, ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარებულნი, ანტისაბჭოურ მიტინგებს აწყობდნენ და ანგრევდნენ სხვადასხვა ნაგებობას, ანადგურებდნენ კულტურის ძეგლებს და სხვა ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულობებს მიმართავდნენ, ეს ყოველივე დიდად არ განსხვავდებოდა იმისაგან,** ▶

# ისტორიის ჩარხი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარდა იმისა, რომ „დემოკრატები“ გამუდმებით ცილს სწამებენ და ლანძღავენ უმწიკვლო კომუნისტებს, ამასთანავე, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა დაუმალონ ახალგაზრდობას სიმართლე დიდებული სტალინური ეპოქის შესახებ. ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ ამიტომ ხომ არ დაწვეს „დემოკრატებმა“ საბჭოური პერიოდის ზოგიერთი არქივი? ჰოდა, გასაკვირი არც ის იქნება, თუ ამოატივტივებენ ფალსიფიცირებულ „დოკუმენტებს“ და, ილია ჭავჭავაძის სიტყვებს თუ ვიხმართ, დაიწყება ერის გათახსირება თავისი მართალი ისტორიის უცოდინარობის გამო.**

**დღემდე ბევრ ქართველს უკვირდა, როგორ აკადრაო აკაკი წერეთელმა თავის სათაყვანებელ სამშობლოს შეურაცხმყოფელი სიტყვები: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“. ჩანს, დღეს ეს აღარავის უნდა უკვირდეს, ბრძენკაცმა აკაკიმ, ასევე ბრძენკაცმა ილიამაც ღრმად ჩაიხედეს ქართველი კაცის გულში, შეამჩნიეს, რომ ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ბუნებით კეთილ ქართველებს რაღაც უცნაური ემართებათ, თითქმის ეშმაკი ჩაუჯდება ხოლმე სულში და საძრახ საქმეებს აკეთებინებს**



**ილია ჭავჭავაძე დიდი წუხილით წერდა: «ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს (ხაზგასმა ჩემია, — ე.უ.). ვწუხვარ და ვდრტვინავ, და განკითხვა არსით არის» (ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. I, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1951 წ., გვ. 370)**

**რასაც, მათი სისხლისმიერი და იდეური წინაპრები აწყობდნენ საბჭოთა ხელისუფლების, სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ 1936-1937 წლებში; და თუ ძველი თაობის მავნებლებმა, ხალხის მტრებმა იმ დროს ვერაფერი გააწყვეს ერთ მუშტად შეკრულ ადამიანთა უმრავლესობისა და მათი ბრძენი ბელადის წინააღმდეგ, ვერ დაანგრიეს, ვერ მოსპეს საბჭოთა წყობილება, ანუ უკუღმა ვერ შეატრიალეს ისტორიის ჩარხი, სამაგიეროდ მათმა სისხლისმიერმა და იდეურმა მემკვიდრეებმა „იმარჯვეს“, „დააგვირგვინეს“ მამა-პაპათა მზაკვრული ჩანაფიქრი — „ცივილიზებული“ დასავლეთის მხარდაჭერით დაანგრიეს სოციალისტური წყობილება.** და, თუ აქამდე მზაკვრული პოლიტიკური მოსაზრებებით ანტიკომუნისტები პერმანენტულად გაჰყვიროდნენ „სტალუნური რეპრესიების“ უდანაშაულო მსხვერპლთა შესახებ, თანაც მათ რიცხვს წლიდან წლამდე ზრდიდნენ. დღეს ოცდაჩვიდმეტის „გმირებს“ და მათ შთამომავლობას მამონისტურმა ინსტინქტებმა სძლიეს. ძალიან სწყინთ, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა და ინვალიდებმა ფაშისტებს ბავარიული ლუდი არ შემოატანინეს საქართველოში. მათ პენსიებს უმატებენ, ხოლო საქართველოსთვის „წამებულ რაინდებსა“ და მათ ნაგრამს დამსახურებას არ უფასებენ, არ აჯილდოებენ, რომ სტალინური ტირანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. **„ნამუსის ნატამალი აღარ შერჩენია ამ ხალხს? აქამდე ხომ სულ იმას გაიძახოდნენ, თითიც არ გაგვინძრევია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, უნამუსო მეზობლებმა დაგვაბეზღეს ჩეკისტებთანო“, — ამბობდა პურის მაღაზიაში ხნიერი ქალი, რომელიც, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, „დემოკრატებმა“ ჩიტის სამყოფ დიეტაზე დასვეს.**

**ილია ჭავჭავაძე** დიდი წუხილით წერდა:

„ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს (ხაზგასმა ჩემია, — ე.უ.). ვწუხვარ და ვდრტვინავ, და განკითხვა არსით არის“ (ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. I, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1951 წ. გვ. 370).

დიახ, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მემატიანენი (ისევე, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის მემატიანენი) ღირსად არ თვლიდნენ ხალხს, რომელიც უმთავრესად დაბალი ფენებისაგან შედგებოდა, თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ისტორიულ ფოლიანტებში და აი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წყალობით, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ხალხი, მშრომელთა კლასები — მუშები და გლეხები, და მაშინვე გამოჩნდა მათი სიდიადე. ეს ვერ მოინელა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულმა „ელიტამ“ და ათეული წლების განმავლობაში ცილს სწამებს და ლანძღავს ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს — უმწიკვლო კომუნისტებს, რომლებიც მშრომელთა ავანგარდს წარმოადგენენ. რა ვუწოდოთ დღევანდელ „დემოკრატებს“, „დემოკრატიულ“ პარლამენტში ერთი ნამდვილი დემოსი — მუშა ან გლეხი რომ არ გააჭაჭანეს? **გარდა იმისა, რომ „დემოკრატები“ გამუდმებით ცილს სწამებენ და ლანძღავენ უმწიკვლო კომუნისტებს, ამასთანავე, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა დაუმალონ ახალგაზრდობას სიმართლე დიდებული სტალინური ეპოქის შესახებ. ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ. ამიტომ ხომ არ გადაწვეს „დემოკრატებმა“ საბჭოური პერიოდის ზოგიერთი არქივი? ჰოდა, გასაკვირი არც ის იქნება, თუ ამოატივტივებენ ფალსიფიცირებულ „დოკუმენტებს“ და, ილია ჭავჭავაძის სიტყვებს თუ ვიხმართ, დაიწყება ერის გათახსირება თავისი მართალი ისტორიის უცოდინარობის გამო.** საუბედუროდ, ეს პროცესი უკვე დაიწყო. „დემოკრატიის“ გზაზე შემდგარი „ისტორიკოსები“ უკვე დღეს ერის მოღალატეებს ეროვნულ გმირებად წარმოგვიდგენენ, ხოლო ეროვნულ გმირებს — ერის მოღალატეებად. ისიც არ არის გამორიცხული, **საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლნი და მათი უახლოესი მემკვიდრენი როცა ამქვეყნად აღარ იქნებიან (ასე ცოტანი რომ ყოფილან), ისტორიის გამყალბებლები, შესაძლოა, მათ რიცხვს კვლავ ათიათასებამდე გაზრდიან და უდანაშაულობის „სტატუსს“ დაუბრუნებენ, რათა ბოლშევიკთა „კაციჭამიობის“ კვალი არ წაიშალოს, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რამდენიმე ათეულ მილიონამდე რომ არის ასული „უდანაშაულოდ რეპრესირებულთა“ რიცხვი, ალბათ, ისევ მკვეთრად შემცირდება.**

დღემდე ბევრ ქართველს უკვირდა, როგორ აკადრაო აკაკი წერეთელმა თავის სათაყვანებელ სამშობლოს შეურაცხმყოფელი სიტყვები: **„ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“.** ჩანს, დღეს ეს აღარავის უნდა უკვირდეს, ბრძენკაცმა აკაკიმ, ასევე ბრძენკაცმა ილიამაც ღრმად ჩაიხედეს ქართველი კაცის გულში, შეამჩნიეს, რომ ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ბუნებით კეთილ ქართველებს რაღაც უცნაური ემართებათ, თითქმის ეშმაკი ჩაუჯდება ხოლმე სულში და საძრახ საქმეებს აკეთებინებს. ამასთანავე, **თავადური წარმოშობის ორივე ბრძენკაცი არ მოერიდა თავისი კლასის „განაწყენებას“, არ შეშინდა, ეთქვა სიმართლე, რომ დაბალი ფენის ქართველები ზნეობრივად უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე გულზვიადი ბატონკაცები. სტალინურ ეპოქაში საქართველომ არა მარტო ჩამოირეცხა სამარცხვინო ფურთხი, არამედ ზნეობრივად ისე ამაღლდა, საბჭოთა კავშირში სანიმუშო რესპუბლიკად იქცა, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქართველი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ეს დოკუმენტურად მტკიცდება.**

დღეს გაჭირვებული ადამიანები სტალინურ ეპოქას სამოთხედ მიიჩნევენ. არა, სამოთხე არ ყოფილა, მაგრამ, ყოველწლიურად საგრძნობლად რომ იზრდებოდა ადამიანთა კეთილდღეობა, ამ ფაქტს ვერავინ გააშავებს, თუნდაც მთელი კასრი კუპრი გადაასხას.

**თავადური წარმოშობის ორივე ბრძენკაცი არ მოერიდა თავისი კლასის «განაწყენებას», არ შეშინდა, ეთქვა სიმართლე, რომ დაბალი ფენის ქართველები ზნეობრივად უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე გულზვიადი ბატონკაცები. სტალინურ ეპოქაში საქართველომ არა მარტო ჩამოირეცხა სამარცხვინო ფურთხი, არამედ ზნეობრივად ისე ამაღლდა, საბჭოთა კავშირში სანიმუშო რესპუბლიკად იქცა... დღეს გაჭირვებული ადამიანები სტალინურ ეპოქას სამოთხედ მიიჩნევენ. არა, სამოთხე არ ყოფილა, მაგრამ ყოველწლიურად საგრძნობლად რომ იზრდებოდა ადამიანთა კეთილდღეობა, ამ ფაქტს ვერავინ გააშავებს, თუნდაც მთელი კასრი კუპრი გადაასხას**

**ეთერ უთურგაშვილი**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯერ კიდევ 2008 წელს რუსეთმა „პარტნიორებს“ შესთავაზა უსაფრთხოების ხელშეკრულების გაფორმება. გაჯიუტდნენ მაშინ ჭირვეული პატარძალივით, გაგონებაც არ გვინდაო. დღეს იკრიბებიან ევროპის წამყვანი სახელმწიფოების — საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის ლიდერები და რუსეთს სთავაზობენ, დაიწყოს მოლაპარაკება ევროპის უსაფრთხოების საკითხის გადასაწყვეტად.**

# როცა მუნჯი ყრუს ელაპარაკება

**რამდენი შეიძლება აიტანოს ადამიანმა: მსოფლიო ისევ ტურბულენტურ ზონაში აღმოჩნდა. რუსეთი დაჟინებით აცხადებს, რომ არავისზე თავდასხმას არ აპირებს. კოლექტიური დასავლეთი აცხადებს, რომ რუსეთის სტრატეგიის სადღესასწაულო ამოცანა, მაინცდამაინც, ეს არის. რუსეთი აცხადებს, რომ ცდილობს (შეეცდება), აიძულოს დასავლეთი, შეისმინოს მისი მოთხოვნები.**



უკრაინის ეროვნულ გვარდიაში რუსეთთან საბრძოლველად დონბასიდან ახალგაზრდები გაიწვიეს

**არნახულად გაძლიერებულმა რუსეთმა კვლავ წამოაყენა თავისი უშიშროების პრეტენზიები და დაფრთხა დასავლეთი — ვაითუ? ეს უკვე ილუზია არ არის. ხისტი პოლიტიკაა თავდაცვის, რომელიც სერიოზული მოქმედებითა და რესურსებით არის განმტკიცებული. თუნდაც დემონსტრაციული ხასიათის. ატმოსფერო შეიცვალა რუსეთის სასარგებლოდ**

დასავლეთი ჯიუტად იყრუებს თავს.

რუსეთი უმეორებს, უხსნის, რომ სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები, განხორციელებადი ხელშეკრულებები; სჭირდება მშვიდობა ევროპაში, მაგრამ არ აპირებს, დახურდავდეს მეორეხარისხოვან საკითხებზე შეთანხმებით.

დასავლეთს კი ამის გაგება არ სურს: მაშინ ერთბაშად დაეშლება მისი პოლიტიკური ტაქტიკის ხუხულა, რომელიც იყო და დღესაც მსოფლიო ბატონობის ყავლგასული დოქტრინისა და სამხედრო-სამრეწველო პლატფორმაზეა დაფუძნებული.

ვაშინგტონის პოზიცია, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. პრინციპულად მიუღებელი და რუსეთის წინააღმდეგ კრიტიკულად მიმართული. ამტკიცებენ, აშშ-ს აშფოთებს არა რუსეთის მისწრაფება თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არამედ ის ფორმა, რომელშიც ეს მისწრაფება არის შეფუთული; ის ბერკეტები, რომლებსაც იყენებს ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ფედერაცია. გარანტიების მიცემას არც ვაშინგტონი აპირებს და არც ბრიუსელი. რუსეთის ბერკეტები კი სამხედრო ძალის გამოყენებაა: სამხედრო მანევრები უკრაინის საზღვრის ახლოს და სხვა ამგვარი.

ილუზიების ადგილი ამ დაპირისპირებაში არ რჩება, თუმცა სადღაც ბჟუტავს მოლაპარაკების იმედის სანთელი, რომელსაც არ ჩააქრობს მხარეების კატეგორიულად შეურიგებელი პოზიციები.

ისტორიას ახსოვს ამის კონკრეტული მაგალითები.

დღეს დასავლეთის სახელმწიფოების დიდმოხელეების მაქოსებრი ვიზიტები მოსკოვში პუტინის განწყობილების გასარკვევად კომპრომისის პოვნის იმედისმომცემია.

**კონფრონტაცია თუ მოლაპარაკება?**

**მსოფლიო ამ ალტერნატივის წინაშე დგას და ეს იცის ნებისმიერმა პროვინციელმა ექსპერტმა.**

**მაინც რაო?**

მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკების პერსპექტივა ილუზორული არ არის. მაგრამ, თუ ილუზია არ არის, მაშასადამე, ზემოქმედების პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც აშშ-ის სპეცსამსახურები თავს ახვევს სახელმწიფოს ხელმძღვანელობას.

რუსეთმა საკითხი კატეგორიულად დააყენა. ერთგვარად გაიმეორა 15 წლის წინათ მიუნხენში პუტინის წარმოთქმული სიტყვის პათოსი. მაშინ ამერიკელებმა მისი გამოსვლა შეაფასეს, როგორც წარმავალი მოვლენა, იზობოქრებენ რუსები და გაჩუმდებიანო. განსაკუთრებით აქტიურობდა ცხონებული სენატორი მაკკეინი, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატად მიიჩნევდნენ და ამჟამად პატიმარი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს უპირველეს მეგობრად წარმოგვიდგენდა.

დრომ სხვანაირად განსაჯა: არნახულად გაძლიერებულმა რუსეთმა კვლავ წამოაყენა თავისი უშიშროების პრეტენზიები და დაფრთხა დასავლეთი — ვაითუ? ეს უკვე ილუზია არ არის. ხისტი პოლიტიკაა თავდაცვის, რომელიც სერიოზული მოქმედებითა და რესურსებით არის განმტკიცებული. თუნდაც დემონსტრაციული ხასიათის. ატმოსფერო შეიცვალა რუსეთის სასარგებლოდ.

ეს, უპირველესად, დასავლეთმა იგრძნო და, როგორც ვთქვი, მოსკოვს მიაშურა, კრემლში რიგი დადგა მაღალი რანგის სტუმრების. თავდაცვის ინსტინქტი ამოქმედდა.

რას ითხოვენ?

**ჯერ კიდევ 2008 წელს რუსეთმა „პარტნიორებს“ შესთავაზა უსაფრთხოების ხელშეკრულების გაფორმება. გაჯიუტდნენ მაშინ ჭირვეული პატარძალივით, გაგონებაც არ გვინდაო. დღეს იკრიბებიან ევროპის წამყვანი სახელმწიფოების — საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის ლიდერები და რუსეთს სთავაზობენ, დაიწყოს მოლაპარაკება ევროპის უსაფრთხოების საკითხის გადასაწყვეტად.**

მოითხოვენ კატეგორიულად თავდაჯერებული ფალავნებივით ცირკის სარბიელზე საასპარეზოდ გამოსვლის წინ, — ცინიკურად შენიშნავენ ექსპერტები.

თანმიმდევრობით ჩადიან მოსკოვში დიდი ბრიტანეთის ჯერ საგარეო საქმეთა, შემდეგ თავდაცვის მინისტრები. ხვდებიან კოლეგებს. მათთან თათბირის შედეგებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, თბილისელი **სერგეი ლავროვი** ასე შეაფასებს: **„ბრმისა და ყრუს საუბარივით იყო. თითქოს ყურს ვუგდებთ ერთმანეთს, მაგრამ არ გვესმოდა. ჩვენი გამოწვლილი ახსნა-განმარტებანი ისეთ მოუმზადებელ ნიადაგზე დაიფანტა, როგორიც არის პოზიცია იმის შესახებ, რომ რუსეთი ელოდება ყინვისგან მიწის გაქვავებას, რათა ტანკები დაუბრკოლებლად შევიდნენ უკრაინის ტერიტორიაზე. დავეჭვდით, ვაითუ, ანგლოსაქსები რაღაცას ამზადებენ, რადგან თავიანთი დიპლომატიური მისიების თანამშრომლების უკრაინიდან ევაკუაციას აპირებენ. დავაკვირდით მათ მოქმედებას და, ალბათ, ვურჩევთ ჩვენი დიპლომატიური დაწესებულებების არაძირითად პერსონალს, დროებით შინ წავიდეს. არ ვიცით, რა ჩანაფიქრი აქვთ ჩვენს ანგლოსაქს კოლეგებს. და ეს სამწუხაროა“.**

რატომ გადაწყვიტა ევროპამ რუსეთთან დალაპარაკება და რატომ მიმდინარეობს ეს შეხვედრები მუნჯის ყრუსთან ლაპარაკის რეჟიმში? ამ შეკითხვაზე პასუხს ეძებს ექსპერტთა კლასი და პოულობს. ყველა თავისას.

ზოგი თვლის, მაგალითად, რომ დასავლეთის თანამეგობრობა ისტერიკაშია, დაბნეულია, მაგრამ ხვდება, რომ ვითარება კრიტიკულ წერტილს უახლოვდება, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტი **მაკრონი** არ მალავდა მოსკოვში ვიზიტის დროს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები რუსეთის თითქოს უკომპრომისო კრიტიკის ფონზე აღიარებენ, — გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს, საჭიროა კონტაქტები, შეხვედრები, მოლაპარაკება — უმოქმედოდ ყოფნა დამღუპველია. ეს ნარატივი დომინირებს ევროპაში, რომელზეც მიანიშნებდა მოსკოვში ვიზიტად ჩასული დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ხანძარი შეიძლება ეს-ესაა აბრიალდესო...

**ცალკე საკითხია უკრაინის კრიზისის დეესკალაცია,** რადგან, ამბობენ ანალიტიკოსები, დასავლეთში ყველამ ერთმანეთი დაარწმუნა, რომ რუსეთი დღე-დღეზე თავს დაესხმება ნეზალეჟნაიას.

ისტერიკის შედეგია. დრო გადის, აფორიაქებულ ტვინებში მოზომილი დღეები, კვირები და არაფერი ხდება. ვითარება ისეთია, როგორც წლების წინათ ამერიკელების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ერაყში „აღმოჩენის“ დროს იყო.

მაკრონისა და პუტინის ერთობლივი პრესკონფერენციით თუ ვიმსჯელებთ, მათ შეხვედრას გარღვევა არ მოჰყოლია. მაშ, თითქმის ექვსსაათიანი შეხვედრის დროს რაზე ლაპარაკობდნენ? ფუჭად დროის ხარჯვა პრეზიდენტების „კარაბადინში“ არ წერია.

ამის გარკვევის პერსპექტივა წინ გვაქვს. ვივარაუდოთ, რომ ადრე თუ გვიან ნაყოფს გამოიღებს. დადებითს.

ამერიკელი ექსპერტების აზრი ნარატივების რეალობის აღქმის შესახებ უთუოდ საინტერესოა. მაგალითად, **ჯორჯ ბიბი**, რომელიც თეთრი სახლის აპარატის ყოფილი თანამშრომელია, უმცროსი ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში კურატორობდა ეროვნული უშიშროების საკითხებს და ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რუსეთის საკითხების სამსახურს, აცხადებს, რომ მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ არის განწყობილი განსხვავებული ნარატივების შერიგების მიმართ. რომ არსებულ ვითარებაში უნდა ენდო ამა თუ იმ მხარის ძალისმიერ დემონსტრაციას. ყველა სხვა შემთხვევაში არავინ დაგიგდებს ყურს. საჭიროა უხეში არგუმენტები ტანკის მუხლუხების ხრჭიალის მსგავსი, მაგრამ, თუ ამ გზით სიარულს აირჩევ, ყოველთვის გადაეყრები ინციდენტებისა და ესკალაციის წინალობებს.

იგი ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მიმდინარე დიპლომატიური მოლაპარაკების გაგრძელება. როცა რუსეთმა პირველად წამოაყენა თავისი მოთხოვნები უკრაინისა და ევროპის მიმართ. ვაშინგტონში ბევრმა მიიჩნია, რომ ეს მოთხოვნები დაწერილია დასავლეთის მიერ მათ უარსაყოფად. დღეს ნათელია, რომ რუსეთს სურდა სრულფასოვანი მოლაპარაკების დაწყება, რათა დასავლეთთან ეფექტიანი კომპრომისისთვის მიეღწია.

დღეს, მისი აზრით, მთავარია, რომ აშშ-მა თავის წერილობით პასუხში უკვე განაცხადა მზადყოფნა, განიხილოს უშიშროების საკითხები. აქ არის ჩადებული კომპრომისის საფუძვლები.

მაშ **რატომ აქვს ამოჩემებული შტატებს იმ „ფეიკის“ გამეორება, რომ რუსეთი დღე-დღეზე თავს დაესხმება უკრაინას? ვითომ სჯერათ ვაშინგტონში, რომ ეს საშიშროება რეალურად არსებობს?**

ამერიკელი ექსპერტის აზრით, დაზვერვის ცნობების ნდობა და დაჯერება საერთოდ ძნელი საქმეა. სიმართლის გარკვევა იოლი არ არის. შეცდომები ხდება ხოლმე, მაგრამ ისინი (შეცდომები) გულწრფელია (?!). მაგალითად ისევ ერაყის ფაქტს ასახელებს. იგი დარწმუნებულია, რომ **დღეს ამერიკის მთავრობას გულწრფელად სჯერა, რომ რუსეთი სერიოზულად განიხილავს უკრაინაში შეჭრის შესაძლებლობას.**

რუსი კოლეგები უპასუხებენ, რომ მართლაც იყო დრო, როცა გულწრფელობის სჯეროდათ და ეს იყო დრო „პერესტროიკის“ — გარდაქმნის აღმავლობის, მაგრამ შემდეგ ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ გულწრფელობას კარგი არაფერი მოაქვს. რაც მეტია გულწრფელობა, მით ნაკლებია სარგებელი. გულწრფელობა არაადეკვატურობას ნიშნავს. ნაკლები გულწრფელობა ნორმალურია.

ვაშინგტონის გულწრფელობა დამაფიქრებელია, რადგან, თუ აშშ-ის დედაქალაქში გულწრფელად სჯერათ თავიანთი პროპაგანდის, რუსეთისთვის ეს დიდი პრობლემაა.

**რუსეთი, როგორც ცნობილია, მოითხოვს თავისი უსაფრთხოების გარანტიებს, ხოლო დასავლეთის ყველა პარტნიორი მოითხოვს უსაფრთხოების გარანტიას უკრაინისთვის, რადგან ეს შეერთებული შტატებისთვის, ნატოსთვის ყველაზე აქტუალური თემაა.**

ამერიკელი **დიმიტრი საიმსის** მტკიცებით, ფოკუსი ყოველთვის უკრაინისკენ გადაინაცვლებს, ხოლო ის გარანტიები, რომლებსაც მოსკოვი მოითხოვს, შეიძლება განხილული იყოს პუტინის მიერ მოხმობილი რუსული ანდაზის ჭრილში: Нравится, не нравится, терпи моя красавица.

ამასთანავე, ძალიან ძნელია, სრულად გამიჯნო ილუზიები და ადამიანის წარმოდგენები, რადგან, რაც ე.წ. პროპაგანდით იწყება, იოლად გარდაიქმნება გულწრფელ რწმენად ან პირიქით, როცა ფაქტებს უსადაგებენ იმას, რისი მოსმენაც სურთ.

ასე ხდებოდა მაშინ, როცა მზადდებოდა აშშ-ის თავდასხმა ერაყზე. საიმსი ამბობს, ვერ დაიჯერებს, რომ თეთრ სახლში დასხდნენ და სრული შეგნებით გადაწყვიტეს ამერიკის კონგრესისა და ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მოტყუება. მაგრამ გაირკვა, რომ ასეთი იარაღი **სა-** ▶

25-ე ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთმა საკითხი კატეგორიულად დააყენა. ერთგვარად გაიმეორა 15 წლის წინათ მიუნხენში პუტინის წარმოთქმული სიტყვის პათოსი. მაშინ ამერიკელებმა მისი გამოსვლა შეაფასეს, როგორც გარდამავალი მოვლენა, იზოზოქრებენ რუსები და გაჩუმდებიანო. განსაკუთრებით აქტიურობდა ცხონებული სენატორი მაკკეინი, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატად მიიჩნევდნენ და ამჟამად პატიმარი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს უპირველეს მეგობრად წარმოგვიდგენდა.**

**ᲐᲨᲨ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲒᲛᲐᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ «ᲪᲘᲕ ᲝᲛᲨᲘ» ᲗᲐᲕᲘᲡᲘ «ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ» ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲢᲙᲑᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ. ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲐᲑᲦᲐᲣᲭᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲔᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲧᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲠᲝᲚᲘ ᲑᲐᲑᲐᲯᲐᲜᲐᲡ ᲥᲝᲨᲔᲑᲘ ᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ**

**ᲡᲐᲓᲐᲛ ᲰᲣᲡᲔᲘᲜᲡ** არასოდეს ჰქონია.

ასეთია თანამედროვე პოლიტიკის ბუნება.

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია მეორე მხარის პოზიციის თუნდაც მხოლოდ გაგება და არა შეტევის მორევში თავდავიწყებით გადაშვება, მაგრამ დაკნინდა თანამედროვე დიპლომატია — ილუზორულ სურვილებს ისე ეჭიდება, როგორც წყალწაღებული ხავსს.

**ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ: ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ, ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ, ᲕᲘᲠᲬᲛᲣᲜᲝᲗ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ, ᲗᲣ ᲒᲕᲯᲔᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ.**

ამას ამბობენ ექსპერტები, რომლებიც, მაგალითად, უკრაინას განიხილავენ, როგორც კამათის საგანს. მთავარს, მნიშვნელოვანს, მაგრამ არა როგორც თავიანთ საარსებო სივრცეს.

ესმის თუ არა რუსული ტანკების ხრჭიალი უკრაინელ ანალიტიკოს **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲞᲝᲒᲠᲔᲑᲘᲜᲡᲙᲘᲡ**, რომელიც კიევში ცხოვრობს და მოღვაწეობს?

პოგრებინსკი: — სადღაც, 200 კილომეტრს იქით, ტანკები თუ გადაადგილდებიან, აქ არაფერი ისმის. აშშ-ის საელჩო უკრაინაში არსებულ მდგომარეობაზე თავის თვალსაზრისს ავრცელებს და აცხადებს, რომ რუსეთი ცდება და არასწორად ინტერპრეტირებს მინსკის შეთანხმებას.

**ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ (ᲠᲐᲖᲔᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚ ᲝᲚᲥᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ) ᲓᲝᲜᲔᲖᲔᲐ. ᲔᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲥᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ.**

**ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ.**

ზელენსკიმ ფრანგი კოლეგის ნათქვამი უარყო. გაგონებაც არ სურს. ჩვეულებრივი ფანდია — თითქოს მზად არიან შეთანხმების განსახორციელებლად, მაგრამ არ მოსწონთ. შეიძლება შეასრულონ, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციით, რომელიც ცვლის ზოგიერთი პუნქტის აღსრულების წესსა და თანმიმდევრობას, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება დონბასი და მოსკოვი.

**— ᲗᲣ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲑᲡ, ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲔᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲜ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲫᲒᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, — ᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ.**

საყურადღებო ფაქტია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციაში არიან საკმაოდ სერიოზული დონის თანამშრომლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რუსეთი თანდათან უფრო მოქნილ პოლიტიკას ამჟღავნებს, უკანაც იხევს კოლექტიურ დასავლეთთან დაპირისპირების შემთხვევაში. მაგალითად ასახელებენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ჩასვლას, რომელსაც ბევრჯერ ნეგატიურად შეუფასებია რუსეთი, მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკა და ეს შეფასებები გასცდენია ჩვეულებრივი დიპლომატიის საზღვრებს. მიუხედავად ამ არაეთიკური ამოვარდნებისა მოსკოვმა მისი მიღება დასაშვებად მიიჩნია.

რატომ ისტუმრეს ეს ქალბატონი?

— უწინარეს ყოვლისა, — გვიპასუხებენ რუსი ექსპერტები, — თუ უარს ვიტყვით ურთიერთობაზე იმიტომ, რომ მავანმა ჩვენზე ცუდად ილაპარაკა, მაშინ დასავლეთ ვექტორი თითქმის მთლიანად უნდა გავაუქმოთ.

— იქნებ, ღირდეს?

— შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. **ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ, ᲐᲕᲣᲮᲡᲜᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲗ ᲬᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ. ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲡ.**

საინტერესო რეპლიკები გაისმა მოსკოვში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის დროს.

**ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ:** „ფაქტები ღაღადებს, რომ ჩვენ წინაშეა ჯარის ნაწილების გარკვეული რაოდენობა, ასევე — იარაღი უკრაინის საზღვართან და მიგვაჩნია, რომ ეს არის მუქარა, მოწმენი ვართ კიბერომის და ომის სხვა სახეობების, რომლებიც უკრაინაში დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული“.

**ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ:** „ქალბატონმა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავარია თავიდან ავირიდოთ ომი უკრაინაში.

ეს დრამა, რომელსაც დღეს აქ გაითამაშებს დასავლეთი, უფრო და უფრო ემსგავსება კომედიას. **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲐᲢᲔᲮᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲮᲛᲐᲣᲠᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲓᲔᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲰᲐᲔᲠᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ“.**

**ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ:** ექსპერტთა აზრით, რუსეთის ქმედების ნეგატიური აღქმა ამერიკის პოლიტიკაში ძალაში დარჩება. უახლოესი მომავლისთვის იქნება შენარჩუნებული.

**აშშ ძველი დიდების პარადიგმაში რჩება და „ცივ ომში“ თავისი „გამარჯვების“ კმაყოფილებით ტკბობას განაგრძობს. აღარ არის საყოველთაო ჰეგემონი, მაგრამ ჩაბღაუჭებულია თავის ყოფილ სტატუსს. ხოლო დასუსტებული ზესახელმწიფო უკიდურესად საშიშია. საერთაშორისო ურთიერთობების მდინარებაში ჩაყრილი მისი ყროლი ბაბაჯანას ქოშები აბინძურებს ატმოსფეროს.**

რუსეთს ძალი შესწევს ქადილისა, გააჩნია თავმოყვარეობა და მდევრის როლში ყოფნა ხელს აღარ აძლევს.

დანარჩენს ხვალ-ზეგ მოვესწრებით და ნურავინ დაიბრალებს მოციქულობას.

**ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ**





ლიზ ტრასმა ესტონეთში ნატოს ტანკით „იმარიაჟა“

**ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲗᲘᲡᲐᲡ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ: ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ, ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲓᲐᲕᲘᲯᲔᲠᲝᲗ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ, ᲗᲣ ᲒᲕᲯᲔᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ**



ტანკის მუხლუხების დიპლომატია

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲐᲢᲔᲮᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲮᲛᲐᲣᲠᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲓᲔᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲰᲐᲔᲠᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ**

**P.S. დანელია-გაბრიაძის ფილმ „არ დაიდარდოში“ მობოჰემო სამეული, ჯიბეგახვრეტილი ქეიფის მოყვარულები შემთხვევით გადაეყრებიან თურქეთიდან შინ მიმავალ რუს ჯარისკაც ეგორსა და მის ძაღლს, რომელსაც ჰქვია ერზრუმი, სინამდვილეში — შარიკი.**

**ეგორი გზას ასცდა.**

**„Православные, где тут Кутаис?**

**- Кутаис там, вы оттуда идете.**

**- Проскочил значит.**

**- А Тифлис там?**

**- Там Стамбул.**

**(სხვა მიმართულებით მიანიშნებენ „მოყვარული გეოგრაფები“).**

**— Стамбул нам не нужен. Мы там были. Там турки“.**

**რუსეთს ისე აინტერესებს უკრაინაში შეჭრა, როგორც ეგორს უკან, თურქეთში დაბრუნება:**

**„— Мы там были“.**

**ჩვენ იქ ვიყავითო.**

**ა.ს.**

რეპლიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვეჭვობ, სამეულმა ან, თუნდაც, ოთხეულმა შეძლოს იმის ახსნა, როგორ გვიცავს კორონავირუსისგან ამერიკის რეკომენდებული რესპირატორი და სამეულის მიერ ორი წლის განმავლობაში ძალით შემოტენილი ერთჯერადი ქირურგიული პირბადეც ერთნაირად, ანუ 95-95%-ით! მათ, არც ერთ მათგანს ხომ ჯერ არც ერთ კითხვაზე თუ წაყენებულ ბრალდებაზე პასუხი არ გაუცია, სამაგიეროდ, მონოლოგის რეჟიმში, იცოცხლეთ, რასაც უნდათ, იმას, უკაცრავად პასუხია და, ბჟუტურობენ.**

# «ახალი» ცნობა ამერიკიდან

**„სულ რამდენიმე საათის წინ გამოქვეყნდა ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის შეფასება პირბადეზე – ომიკრონის პირობებში როგორი პირბადე უნდა იყოს გამოყენებული, რომელიც ეფექტურად დაგვიცავს. და, აქ არის საუბარი არა ქირურგიულ პირბადეზე, არამედ აქცენტი კეთდება ე.წ. N 95 რესპირატორზე. ის განიხილება, როგორც მართლაც ეფექტური შესაძლებლობა ინფიცირებისგან თავის დაცვის თვალსაზრისით! “— ამ სიტყვებით გვამცნო ეს სასიხარულო „ახალი“ ამბავი იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბ-ნმა ივანე ჩხაიძემ 5 თებერვალს საზოგადოებრივი არხის გადაცემაში „აქტუალური შაბათი“.**

დავიჯერო, მართლა სიახლეა ეს ცნობა მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელისთვის?! მან მხოლოდ გუშინ შეიტყო ამერიკული N 95, N 98, ევროპული FFP 2, FFP 3 ან ჩინური KN 95, KN 98 ხუთშრიანი რესპირატორების შესაძლებლობების შესახებ?! ძალზე ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, 2021 წლის 22 აგვისტოს გაკეთებულ მის ძველ განცხადებას თუ გავიხსენებთ, გამორიცხული არაფერია: „ნიღბის (იგულისხმება ერთჯერადი, სამფენოვანი ე.წ. ქირურგიული პირბადე — ი.ლ.) ტარებას თუ მივაღწიეთ ღია და დახურულ სივრცეში, არანაირი დამატებითი ღონისძიება არ იქნება საჭირო“. არადა, ბევრ სახელმწიფოში (საზოგადოებრივ ადგილებში) რესპირატორი N 95-ის ტარება სავალდებულო გახდა თითქმის ერთი წლის წინათ – 2021 წლის პირველი ნახევრიდან, ხოლო გერმანიაში ერთჯერადი ქირურგიული პირბადეების გამოყენება, როგორც კორონავირუსისგან დამცავი საშუალება, 2021 წლის იანვრიდან საერთოდ აიკრძალა.

როგორც ჩანს, **ბ-ნი ჩხაიძე ცნობილი სამეულის – გამყრელიძე, ცერცვაძე, იმნაძის ძლიერი გავლენის ქვეშაა და მათ მოსაზრებასაც მთლიანად იზიარებს, როდესაც ისინი ერთ ხმაში ცდილობენ მოსახლეობის მტკნარ სიცრუეში დარწმუნებას: „ერთჯერადი ქირურგიული პირბადე 95%–ით გიცავთ კორონავირუსისგანო!“ მათი გამჭრიახი გონებით კორონავირუსის ყველა შტამისგან, მათ შორის ყველაზე ვირულენტური „დელტა“ ვარიანტისგანაც, თურმე ეს პირბადე „გვიცავდა“ ორი წლის განმავლობაში 95%-ით, ყველაზე სუსტი „ომიკრონისგან“ დასაცავად კი ამერიკაში დაუდგენიათ (აბაა!), რომ N95 რესპირატორი ყოფილა „მართლაც ეფექტური“.**

ზემოთ ჩამოთვლილ რესპირატორებზე ჯერ კიდევ 2020 წლის 1 ივნისს ვწერდი წერილში „კორონავირუსი: ფაქტები, კითხვები, დასკვნები“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“); ვწერდი ივლისშიც („მასუნთქეთ! სამი მუშკეტერის გასაგონად“), ანუ იმ დროს, როდესაც თვეში მხოლოდ 2–3 ადამიანი გვეღუპებოდა; ვწერდი შემდგომაც და მოვითხოვდი, რომ სამედიცინო პერსონალი, აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი, აღჭურვილი ყოფილიყო ასეთი რესპირატორებით, რადგან რესპირატორები არის მთავარი და არა — სკაფანდრებსა და შავი ჭირის საწინააღმდეგო კოსტიუმებში გამოწყობა. 2021 წლის სექტემბერში კი წერილში – „მე ბრალს ვდებ“ („საქართველო და მსოფლიო“, 22-28 სექტემბრის და 29 სექტემბერი-5 ოქტომბრის ნომრებში) პირდაპირ ვადანაშაულებდი სამეულს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაში — ქირურგიული პირბადეების დაცვითი შესაძლებლობების წარმოუდგენლად გაზვიადებასა და ხალხში უსაფრთხოების ცრუ განცდის გაჩენაში (აქედან გამომდინარე სავალალო შედეგებით), ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის არასათანადოდ დაცვაში (რესპირატორებით არაღჭურვაში) და სხვა უამრავ უაზრო და უკანონო შეზღუდვების შემოღებაში. მაგრამ რად გინდათ, შეაყარეთ კედელს ცერცვი! როგორც ჩანს, მხოლოდ იმ საქებარ წერილებს კითხულობენ, რომლებიც კანტიკუნტად რომელიმე მათგანს მიეძღვნება. თუმცა, არა მგონია, მთლად ასე იყოს საქმე, კრიტიკულსაც კითხულობენ უთუოდ, მაგრამ ვინაიდან საპასუხო არაფერი აქვთ, ამიტომ მომღერლებთან, არაპროფესიონალებსა და მოუმზადებელ ჟურნალისტებთან „დებატებში“ ცდილობენ თავის გამოჩენას. სამაგიეროდ, აგერ ამერიკიდან გვაცნობეს (ან ნება დაგვრთეს): „ამიერიდან თქვენც შეგიძლიათ რესპირატორების გამოყენება“ და ჩვენს სიხარულსაც საზღვარი არ აქვს. თუმცა, **ვეჭვობ, სამეულმა ან, თუნდაც, ოთხეულმა შეძლოს იმის ახსნა, როგორ გვიცავს კორონავირუსისგან ამერიკის რეკომენდებული რესპირატორი და სამეულის მიერ ორი წლის განმავლობაში ძალით შემოტენილი ერთჯერადი ქირურგიული პირბადეც ერთნაირად, ანუ 95-95%-ით! მათ, არც ერთ მათგანს ხომ ჯერ არც ერთ კითხვაზე თუ წაყენებულ ბრალდებაზე პასუხი არ გაუცია, სამაგიეროდ, მონოლოგის რეჟიმში, იცოცხლეთ, რასაც უნდათ, იმას, უკაცრავად პასუხია და, ბჟუტურობენ.** ამ სიტყვას არ ვიხმარდი, მაგრამ, როდესაც ნოზოკომიურ დაავადებებზე ხმას არ იღებენ (როცა ზოგიერთ ჰოსპიტალში კოვიდისგან ლეტალობა 7-ჯერ მაღალია), როცა რუსეთთან შედარებითაც კი ჯერადობით უარესი მდგომარეობაა საქართველოში და მაინც „კუდი აქვთ გადებული ყავარზე“ — ევროპის დონეზე ვართ და ბევრ სახელმწიფოზე უკეთესადაცო; სომხეთსა და აზერბაიჯანში კი ფალსიფიცირებულია დაავადებისა და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლები, სინამდვილეში, იქ ხუთჯერ და მეტად აქვთ ეს მონაცემები შემცირებულიო, — ასეთ დაუსაბუთებელ ბრალდებებს, რომლებსაც კოლეგებისთვის და მეზობელი სახელმწიფოებისთვის ჩირქის მოცხება ჰქვია, საჯაროდ, ეთერში რომ წამოროშავ პროფესორი კაცი, ამას ბჟუტური თუ არ ჰქვია, მაშ, სხვა „უკეთესი“ რა განმარტება მოეძებნება?! **კი მაგრამ, 2020-ში, როდესაც ექვს თვეში მხოლოდ 19(!) გარდაცვლილი გვყავდა (რისთვისაც თბილისის საპატიო მოქალაქეობაც მიენიჭათ კიდეც), ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანში კი ასობით ეღუპებოდათ იმავე პერიოდში, მაშინ თუ არ იტყუებოდნენ, ახლა რა საფუძველი გვაქვს, ცილი დავწამოთ?! თუ 2021-ში, როდესაც ჩვენთან იფეთქა კოვიდმა და იქ კი ჩაცხრა, მას შემდეგ გახდნენ ყალბისმქნელები?! ჯერადობით მეტი გარდაცვლილი თუ ჰყავთ, ამას როგორღა უმალავენ საკუთარ ხალხს, იქნებ, ესეც მოგვახსენოთ.**

კარგა ხანია, გადანაშაულებთ (და არა მხოლოდ მე, ცხადია), მაგრამ მგლის თავზე სახარების კითხვისა არ იყოს, თქვენსას (თუ სხვის ნაკარნახევს) მაინც არ იშლით და არც განმკითხავი ჩანს არავინ.

სირცხვილია, ბატონებო, ეს, დიდი სირცხვილი!

**იაკობ ლეჟავა**




**ბ-ნი ჩხაიძე ცნობილი სამეულის – გამყრელიძე, ცერცვაძე, იმნაძის ძლიერი გავლენის ქვეშაა და მათ მოსაზრებასაც მთლიანად იზიარებს, როდესაც ისინი ერთ ხმაში ცდილობენ მოსახლეობის მტკნარ სიცრუეში დარწმუნებას: «ერთჯერადი ქირურგიული პირბადე 95%–ით გიცავთ კორონავირუსისგანო!» მათი გამჭრიახი გონებით კორონავირუსის ყველა შტამისგან, მათ შორის ყველაზე ვირულენტური «დელტა» ვარიანტისგანაც, თურმე ეს პირბადე «გვიცავდა» ორი წლის განმავლობაში 95%-ით, ყველაზე სუსტი «ომიკრონისგან» დასაცავად კი ამერიკაში დაუდგენიათ (აბაა!), რომ N 95 რესპირატორი ყოფილა «მართლაც ეფექტური»**

**რესპირატორებზე ჯერ კიდევ 2020 წლის 1 ივნისს ვწერდი წერილში „კორონავირუსი: ფაქტები, კითხვები, დასკვნები“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“); ვწერდი ივლისშიც („მასუნთქეთ! სამი მუშკეტერის გასაგონად“), ანუ იმ დროს, როდესაც თვეში მხოლოდ 2–3 ადამიანი გვეღუპებოდა; ვწერდი შემდგომაც და მოვითხოვდი, რომ სამედიცინო პერსონალი, აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი, აღჭურვილი ყოფილიყო ასეთი რესპირატორებით, რადგან რესპირატორები არის მთავარი და არა – სკაფანდრებსა და შავი ჭირის საწინააღმდეგო კოსტიუმებში გამოწყობა**



**ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — პარლამენტის თავხედურად და დემონსტრაციულად დატოვების შემთხვევაში დეპუტატს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება, იმუნიტეტი, ხელფასი და ყველა სხვა პრივილეგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უმსგავსობა გაუთავებლად გაგრძელდება.**

## ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოლიტიკოსებო, დაფიქრდით. ფიქრი ხომ ადამიანის მუდმივი თანამგზავრია!

**განსხვავებულ პლატფორმაზე მყოფ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებას უკლებლივ ყველა ქვეყანაში გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები რომ აქვს, საყოველთაოდ ცნობილია. საქართველოში შიდაპოლიტიკური მოვლენების ისეთი დომხალია, რომ ძალაუფლების სათავეში მოსაბრუნებლად ოპოზიციური სპექტრის „დამრტყმელი" ძალის, „ნაცმოძრაობის", წარმომადგენელთა თითქმის ყოველი აქცია „აბსურდის თეატრს" წააგავს, ვიდრე ქვეყნის მომავლის სასიკეთოდ გადადგმულ თუნდაც მცირე ნაბიჯს.**



ასეთი უთავბოლო ფაფხურის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ნაცების ვაი-პოლიტიკოსების ერთ უსაქციელობაზე, რომელსაც ამ პოლიტიკური ძალის საქართველოს პარლამენტში გაუთავებელი „შესვლა-გამოსვლა" ჰქვია და მინდა, მათ მივმართო:

**ქალბატონო და ბატონო ნაციონალებო, თქვენ საქართველოს პარლამენტი „პრახადნოი დვორი" ნუ გგონიათ, რომელსაც, როცა მოგესურვებათ, დემონსტრაციულად დატოვებთ, მერე, როცა წყენა გადაგივლით, ისევ მიბრუნდებით და კვლავ წამოსკუპდებით სავარძლებში, თუმცა მახინჯურ აქციებს მაინც ვერ ელევით.**

ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — პარლამენტის თავხედურად და დემონსტრაციულად დატოვების შემთხვევაში დეპუტატს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება, იმუნიტეტი, ხელფასი და ყველა სხვა პრივილეგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უმსგავსობა გაუთავებლად გაგრძელდება.

ცოტა ხნის წინათ თქვენ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის შეცვლა მოინდომეთ რუსეთის სალანძღავი რეზოლუციით. რუსეთი ჩვენი უახლოესი მეზობელია, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო ძალისა და შთამბეჭდავი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო. დიახ, მის ძალას მსოფლიო ანგარიშს უწევს და მასთან კონფლიქტს ერიდება. ჩვენ კი, 30 წელია, მის ლანძღვა-გინებაში ვათენ-ვაღამებთ. ჰოდა, განა რაიმე შედეგი გამოიღო ამ ჩვენმა უგუნურებამ? რა თქმა უნდა, არა! პირიქით — ბევრს ვზარალობთ (მარტო ბორდერიზაცია რად ღირს).

**ნაციონალებო, კარგად დაიმახსოვრეთ: უკრაინა საქართველოს კი არა, სააკაშვილის მეგობარია, სააკაშვილი კი შოუმენ ზელენსკის ძმაკაცია.**

**მადლობა ღმერთს, რომ „ქართული ოცნების" ძალისხმევით პარლამენტმა სწორედ ის რეზოლუცია მიიღო, რომელიც სჭირდება უკრაინელ ხალხს და არა ნაციონალებს!**

უკრაინას ებრაელები მართავენ, ისინი მთელი მოსახლეობის 0,2%-ია, მაგრამ რადაში 43%-ია, ხოლო მინისტრთა კაბინეტში — 62%, უკრაინაში უკრაინელები თითქმის 80%-ია, მაგრამ რადაში — 22%-ს შეადგენენ, მინისტრთა კაბინეტში კი — 15%-ს.

**ნაციონალებო, კაბინეტებში გიკიდიათ ჩვენი კლასიკოსების — ილიას, აკაკის, ვაჟას მშვენიერი პორტრეტები, მაგრამ მათი არც ნაწარმოებები, არც წერილები, არც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოთქმული მოსაზრებები რუსეთის მიმართ არ წაგიკითხავთ. მეტიც, არც გაინტერესებთ!**

საქართველოში მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში ჩვენი სანაქებო სტრატეგიული პარტნიორები თითს თითზე არ დააკარებენ! მეტიც, არც ნატოს იმედი არ უნდა გვქონდეს. ის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც ჩვენ არასდროს არ დაგვიცავს, როგორც ეს 2008 წელს მოხდა. ნატოს წევრობასაც არ გვაღირსებენ — ნუთუ ეს კიდევ საკამათოა?!

რაც შეეხება შერიგებას, ამაზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ, დროის კარგვა და წყლის ნაყვაა ყველაფერი. შერიგება განუხორციელებელი ილუზიაა.

**ნაცებო, თუ რუსეთის ლანძღვა-გინებას განაგრძობთ, ხელისუფლება კი თქვენ მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას კვლავაც გამოიჩენს, იცოდეთ, სამუდამოდ დავკარგავთ აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც, დავკარგავთ დამოუკიდებლობასაც, სუვერენიტეტსაც და, რაც მთავარია, ქვეყნის სხვა ტერიტორიებსაც — აჭარასა და მის მიმდებარე მხარეებს, ასევე ახალქალაქის, წალკის, ნინოწმინდისა და ახალციხის რაიონებს.**

საუკუნის წინათ საქართველოს იმჟამინდელმა უდღეურმა მთავრობამ, როცა სამშობლო დატოვა და საფრანგეთში გადაიხვეწა, თან გაიყოლა 248 ყუთი განძეულობა ქვეყნიდან, რომელიც 10 მილიონ 471 770 ოქროს მანეთად იქნა შეფასებული. **ამ უძვირფასესი განძიდან საქართველოში მხოლოდ 39 ყუთის დაბრუნება მოხერხდა, ისიც იოსებ სტალინისა და შარლ დე გოლის ერთობლივი ძალისხმევით. დანარჩენი 209 ყუთი კი მენშევიკების უფუნქციო მთავრობის წევრებს შორის გაუთავებელი დავისა და კამათის შედეგად გაიყიდა პირადი მოხმარებისთვის, ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში კიდევ არ ჩავიგდოთ თავი**.

**ქართველო პოლიტიკოსებო, უმორჩილესად გთხოვთ, ამაღლდეთ პირად და პარტიულ ამბიციებზე — რუსეთის გაღიზიანებით ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოს ვერაფერს ვერ მიაღწევთ. გონს მოდით, თორემ თქვენი უსაქციელობით საქართველოს დაღუპავთ! განა ვერ ხედავთ, როგორ თავხედურად ერევა საქართველოში აშშ-ის ელჩი ჩვენს საგარეო და საშინაო საქმეებში? საქართველოს, ფაქტობრივად, ის მართავს და არა თქვენ**

უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, ამ ურთიერთობაში ბევრი სიკეთეა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, რომელსაც დანახვა და სათანადო დაფასება უნდა.

**ქართველო პოლიტიკოსებო, უმორჩილესად გთხოვთ, ამაღლდეთ პირად და პარტიულ ამბიციებზე — რუსეთის გაღიზიანებით ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოს ვერაფერს ვერ მიაღწევთ. გონს მოდით, თორემ თქვენი უსაქციელობით საქართველოს დაღუპავთ! განა ვერ ხედავთ, საქართველოში აშშ-ის ელჩი როგორ თავხედურად ერევა ჩვენს საგარეო და საშინაო საქმეებში? საქართველოს, ფაქტობრივად, ის მართავს და არა თქვენ!**

უმორჩილესად გთხოვთ, დაფიქრდეთ, ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონენო: ფიქრი ხომ ადამიანის მუდმივი თანამგზავრია! იქნებ გადააფასოთ თქვენი მოსაზრებები და წინადადებები, რათა ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის სწორ გზას დავადგეთ, თორემ მალე სამშობლო აღარ გვექნება!

**იმისთვის, რომ ეს უდიდესი საფრთხე თავიდან ავირიდოთ და ქვეყანა აღმავლობის გზით წავიყვანოთ, საჭიროა, ყველა გზით — როგორც პოლიტიკურით, ისე დიპლომატიურით — შევეცადოთ რუსეთთან კეთილმეზობლური, მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობების დალაგებას. რუსეთი ასეთი ურთიერთობების დამყარებისგან „არც ისე შორსაა". ისიც გაითვალისწინეთ, რომ დასავლეთი გაჭირვებული მდგომარეობიდან ვერ და არ დაგვიხსნის.**

ევროკავშირს ყოფილ საბჭოთა კავშირს თუ შევადარებთ, მათ შორის ისეთივე მკაფიო და დამაღონებელი განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. საბჭოურ პერიოდში საქართველოში უმუშევრობა არ არსებობდა, ყველა შრომისუნარიანი მოქალაქე დასაქმებული იყო და საკუთარი ხელფასით ოჯახს არჩენდა, თანაც იმხანად რესპუბლიკაში 5,5 მილიონი მცხოვრები ვიყავით, ახლა კი მხოლოდ 3 მილიონიღა დავრჩით. იცლება ქვეყანა შრომისუნარიანი, კვალიფიციური კადრების უცხოეთში გადინებით, ემიგრანტების მიზანი იქ ნაშოვნი ფულით აქ ოჯახების რჩენაა. სწორედ ამის გამოა, რომ უმუშევრობა ქვეყანაში, თქვენი სტატისტიკით, თითქოს მცირდება, მაგრამ ამით არავინ არ ტყუვდება. საქართველოში შობადობა კატასტროფულად მცირდება, თუმცა ისევ თქვენი სტატისტიკით შობადობა იზრდება — უცხოელი მუსლიმებისა და სხვა ჯიშისა და ჯილაგის შემოდინების ხარჯზე. ვის ატყუებთ, არ გრცხვენიათ?!

**ნაცებო, თუ რუსეთის ლანძღვა-გინებას განაგრძობთ, ხელისუფლება კი თქვენ მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას კვლავაც გამოიჩენს, იცოდეთ, სამუდამოდ დავკარგავთ აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც**

სოფლის მეურნეობა და ეკოლოგია უდაბლეს დონეზეა. განათლება, მეცნიერება და ეკონომიკა საერთოდ არ გვაქვს ამ დარგების მინისტრების წყალობით.

ნაციონალებო, ყოველივე ამას გეუბნებათ ადამიანი, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის გამოცდილება აქვს საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან ურთიერთობისა. პოლიტიკაში მეგობარი ქვეყანა არ არსებობს, განსაკუთრებით სამეზობლოში. მეზობლები მუდამ ცდილობენ, დაგამცირონ, დაგჩაგრონ, შელახონ შენი რეპუტაცია, წაგგლიჯონ მიწა-წყალი. მით უმეტეს ასეთი მტრები ულევად ჰყავს ჩვენს უმშვენიერეს ქვეყანას, თავისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობით.

ქართველო პოლიტიკოსებო, ისტორიულად ისედაც გატანჯული ხალხი ახალი გასაჭირისთვის ნუთუ არ გებრალებათ?! უძვირფასესი ტყეები რომ გვეწვოდა და ნადგურდებოდა, შემოთავაზებულ დახმარებაზე რუსეთს უარი ვუთხარით: განა ამას გამართლება აქვს?

საგანგებოდ მინდა მივმართო ბატონ **ბიძინა ივანიშვილს:** ვიცი, რომ პრესას საერთოდ არ ეცნობით. და ეს თქვენი ნაკლია და არა ღირსება. ჩვენ უყურადღებოდ და უპატრონოდ მიტოვებული, საკუთარი რედაქციებიდან გამოყრილი და თქვენი ყურადღებისა და მზრუნველობის მიღმა დარჩენილი ბევრი პროფესიონალი ჟურნალისტი გვყავს, რომლებიც ჯერ კიდევ გადარჩენილ გაზეთებში მეტად საგულისხმო წერილებს აქვეყნებენ. ჩვენი პრესა პარლამენტი არ არის, სადაც ხმაურის, კინკლაობის, ურთიერთშეურაცხყოფის, უზრდელობის, თავხედობის მეტს, სამწუხაროდ, ვერაფერს ვისმენთ. საკანონმდებლო ორგანო სალაყბოს დაემსგავსა. ხალხს შეჯავრდა ტელევიზია, განსაკუთრებით ოპოზიციური არხები, მათი უზრდელი ჟურნალისტები და უგუნური დამფინანსებლები. თუკი სააკაშვილი ახერხებდა მისთვის მიუღებელი ტელეარხების ბარბაროსულად დარბევას ან სულაც დახურვას, თქვენ ვერ მოახერხეთ ხალხისთვის მიუღებელი არხების ფუნქციობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. აბა, **ამაზრზენი მელაძის ან ხაბეიშვილის ღნავილის მოსმენა შეიძლება?! ანდა რატომ არ ჩამოართმევთ მიშას დედას უკანონოდ მითვისებულ უზარმაზარ ქონებას, გეშინიათ?!**

**ომარ მარგველაშვილი**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ, მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა“

# სუ, ანუ პირში ბურთი!

## «მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ...»

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**დღეს მსოფლიოში მძიმე პოლიტიკური ვითარებაა, საქართველომ კი ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, რადგან ჩვენი დამცველი და გულწრფელი გულშემატკივარი არავინ არის ამ ცისქვეშეთში. როგორც დიდი ილია ბრძანებს, „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ“*(შინაური მიმოხილვა, 1879 წელი, ივლისი-აგვისტო)*, მაგრამ, სანამ საკუთარ ჭირს სხვისაგან მოწოდებულ წამალს შევურჩევთ, ჯერ თითონ უნდა გავარკვიოთ, „რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე — აწონილი. ერთი სიტყვით, ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული“ უნდა იყოს.**

**მოდი და ამაზე უკეთესი რჩევა ინატრე ამ სიტუაციაში, როცა ჩვენ მაგივრად რუსეთის პრეზიდენტს სხვები ესაუბრებიან და ჩვენი ქვეყანა მესამე პირებზეა დამოკიდებული, რომლებიც საკუთარ საქმეს უფრო აგვარებენ, ვიდრე ჩვენსას.**

**ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელშიც არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს ეჭვი არ შეაქვს, რადგან შედეგი სხვის დაკრულზე ცეკვისა სახეზე გვაქვს:**

სახალხო მეურნეობა მიზანმიმართულად დანგრეული, მრეწველობა განადგურებული, სოფლის მეურნეობა — გაჩანაგებული... ხელისუფლება კი არჩევნების ანგარიშს ამერიკის ელჩს აბარებს და გადაწყვეტილებებსაც მასთან შეთანხმებით იღებს, ამიტომ ვერ ბედავს რუსეთთან დალაპარაკებას, რამაც, შესაძლოა, ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო გადაწყვეტილების მიღებას შეუწყოს ხელი.

არადა, ეს ისეთი საკითხია, რომელზეც ჩვენი აზრი უნდა ვიქონიოთ და რომელიც ჩვენი საკუთარი საზომით უნდა გავზომოთ, ჩვენი „საკუთარის ჭკუის შუქით გავანათოთ“, მიუხედავად იმისა, რომ „მეგობრები“ სულთამხუთავსავით თავს გვადგანან, გინდა თუ არა, ჩვენს ჭკუაზე გაიარეო.

აი თუნდაც რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა კელი დეგნანმა რა განაცხადა: **„რუსეთს სურს, რომ შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და აკონტროლოს ყველაფერი, რაც ამ ზღვაში შედის და გადის. საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იმ საქმეში, რომ შავი ზღვა საერთაშორისო ზღვად დარჩეს, რომელიც ყველა ჩვენი გემისთვის გახსნილი იქნება“**, ანუ რეგიონის უდიდესმა სახელმწიფომ — რუსეთმა ვერ უნდა აკონტროლოს შავი ზღვა, **რასაც ამ ქალბატონმა „შავი ზღვის რუსეთის უკანა ეზოს ზღვად გადაქცევა“ უწოდა, მაგრამ სამაგიეროდ ამერიკული გემების შემოსვლა შავ ზღვაში დემოკრატიად და სამართლიანობად მონათლა, შავი ზღვა კი საერთაშორისო ზღვად დარჩებაო.** კიდევ ერთი დიდი უბედურება ამ ყველაფერში ის არის, რომ ჩვენზე „მზრუნველი“ ელჩი ამ საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს საქართველოს აკისრებს.

ხომ ხედავ, ჩვენო ქართველობავ, საითკენ გვიბიძგებენ!

ამიტომ **სუ! ანუ პირში ბურთი!**

თორემ არ ვიცით, სად და როგორ წავიტეხთ კისერს ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობის გამო.

**ზოგიერთი მატრაკვეცა პოლიტიკოსი, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან, საღერღელაშლილნი ბრმად, გაუაზრებლად იმეორებენ მზამზარეულად მოწოდებულ აზრებს, ოღონდაც მათი უცხოური შემოსავლის წყაროები არ დაშრეს.** ამისთანა პოლიტიკოსების, ილიას დავესესხები ტერმინს, „ტვინის სადგურს“ „ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიანად გოგრას“, და რამდენიც უნდა ურაკუნო დაბადებითვე დახშულ კარს, არაფერი გამოვა, რადგან, როგორც ილია იმოწმებს შექსპირს, არც ამ შემთხვევაში იქნება უადგილო, ვთქვათ: „არარაისგან არ იქნება არარაიცა“.

**„თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზრდია, „ვერ მოგართვის“ მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა. ეგრე უნუგეშოდ გამოსტუმრებული ტვინის პატრონი თუმცა სასოწარკვეთილებას მიეცემა ხოლმე, მაგრამ დიდის ხნობით კი არა. ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება“.**

აი ეს ბატონი **მეხსიერება** უნდა მოგვეშველოს და გვიჩვენოს გზა ვაი-ვაგლახიდან დახსნისა. სწორედ ამ მეხსიერებამ უნდა გაგვახსენოს, თუნდაც ის მძიმე მომენტები ქართველი ერის ცხოვრებისა, რომელთა მოგვარებაში რუსეთს ლომის წილი უდევს; რომ რუსეთის ჩარევამ ჩვენს ცხოვრებაში ფიზიკურ განადგურებას გადაგვარჩინა, რომ რუსეთის ძალისხმევით საქართველოში ტყვეთა სყიდვას წერტილი დაესვა და ა. შ. საბჭოთა საქართველოში კი ყვაოდა მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. დავანგრიეთ! და ახლა ამისთანა ქვეყანაში „ცხოვრება ხავს-მოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ რა უნდა ქნა?“

ხომ ხედავ, ქართველობავ, რომ ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს?

ცხოვრება, თვითონ ცხოვრება გვიჩვენებს გზასო, — იტყვის მავანი, მაგრამ „თითონ ცხოვრება სად არის ჩვენში, რომ ცხოვრებამ გკითხოს და შენ პასუხი აძლიო? **ჩვენი**


ნიკა მელია


გიგი უგულავა

**ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარივით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო“.**

**ამისთანა პოლიტიკოსების, ილიას დავესესხები ტერმინს, «ტვინის სადგურს» «ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიანად გოგრას», და რამდენიც უნდა ურაკუნო დაბადებითვე დახშულ კარს, არაფერი გამოვა, რადგან, როგორც ილია იმოწმებს შექსპირს, არც ამ შემთხვევაში იქნება უადგილო, ვთქვათ: «არარაისგან არ იქნების არარაიცა»**




დღეს მსოფლიოში დენთის სუნი ტრიალებს. **რა მოჰყვება მას? — აი უმთავრესი შეკითხვა, რომელსაც ცხოვრება თითოეული ადამიანისა და თითოეული სახელმწიფოს წინაშე სვამს. რეალობა ისაა, რომ რუსეთი დღეს ის სახელმწიფოა, რომელიც მსოფლიოში უმძლავრეს ბირთვულ პოტენციალს ფლობს. ეს პუტინმაც შეახსენა მსოფლიოს მაკრონთან მისი შეხვედრისას. მე კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთ მინდა გავუმეორო**

**რუსეთი დღეს ის სახელმწიფოა, რომელიც მსოფლიოში უმძლავრეს ბირთვულ პოტენციალს ფლობს. ეს პუტინმაც შეახსენა მსოფლიოს მაკრონთან მისი შეხვედრისას. მე კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთ მინდა გავუმეორო ილიას შეგონება: «ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ»**


„გავრილოვის ღამე“

**ილიას შეგონება: „ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ“.**

მერწმუნეთ, ასე აჯობებს, თუ გვინდა, კვლავაც ვიარსებოთ და „დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის“! ომი არავის დააყრის ხეირს, მაგრამ ჩვენისთანა პატარა და დაუცველ სახელმწიფოს გაანადგურებს, თუკი ჭკუას არ მოუხმობს და რუსეთის წინააღმდეგ რამეს მოიმოქმედებს.

სულიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსენ იყალთოელი XI-XII საუკუნეების იმ რჩეულ ქართველ მოღვაწეთა წარმომადგენელია, რომელთა შემოქმედებამ ღრმა კვალი დატოვა შუა საუკუნეების ქართულ სულიერ ცხოვრებაში და მნიშვნელოვნადDგანსაზღვრა მისი კულტურული ორიენტაცია. ის გახლდათ საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი.**

# ღირსი მამა არსენ იყალთოელი

## საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი







**ღირსი მამა არსენ იყალთოელი საქართველოს ეკლესიის წმინდანია. მისი ხსენების დღე 19 თებერვალია.
არსენ იყალთოელი XI-XII საუკუნეების იმ რჩეულ ქართველ მოღვაწეთა წარმომადგენელია, რომელთა შემოქმედებამ ღრმა კვალი დატოვა შუა საუკუნეების ქართულ სულიერ ცხოვრებაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი კულტურული ორიენტაცია. ის გახლდათ საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი. არსენ იყალთოელისა და ამ ეპოქის სხვა ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედება მკაფიოდ უჩვენებს მათი თანადროული საზოგადოების ინტელექტუალურ ინტერესებსა და დაუცხრომელ სწრაფვას, აეთვისებინათ იმდროინდელი მოწინავე ცოდნა. სამწუხაროდ, არსენ იყალთოელის ცხოვრების შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. მას კარგად იცნობდნენ XVII-XVIII საუკუნეების ქართველი მწერლები: არჩილი, სულხან-საბა, ვახუშტი ბაგრატიონი, ტიმოთე გაბაშვილი, ვახტანგ VI, დავით რექტორი, ანტონ კათალიკოსი და სხვ. მათ შემოინახეს არსენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თუმცა ფრაგმენტული, მაგრამ საიმედო ცნობები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი ხდება მისი ცხოვრების ძირითადი მომენტების აღდგენა.**

**«ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალიღორიკულთა შეთხზვათა შინა ქებული, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიო ტიპიკონთა მეტყუელი» წმიდა არსენ იყალთოელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. იგი დაკრძალულია იყალთოში, მონასტრის დამაარსებლის — წმიდა ზენონის გვერდით**

ღირსი არსენ იყალთოელი დაიბადა სოფელ იყალთოში დაახლოებით XI საუკუნის შუა წლებში. მამამისი, კახეთის თავადი იბად ვაჩნაძე, იმ დროისათვის ცნობილი კაცი იყო. მან შვილს სამეცნიერო და საღვთისმეტყველო განათლება მიაღებინა.

სასულიერო და საერო მეცნიერების უბადლო მცოდნე, „ბრძენი და მეცნიერი“ არსენ იყალთოელი იყო წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის, ერთ-ერთი საიმედო მრჩეველი და „მოძღვარი სამეცნიერო“.

**წმიდა არსენმა დააარსა ცნობილი იყალთოს აკადემია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინების საქმეში.**

სრული ბიოგრაფიული ცნობები წმიდა მამის შესახებ არ შემონახულა. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო თანამედროვე ღირსი ეფრემ მცირისა. მას საფუძვლიანი და ღრმა განათლება კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში მიუღია, სადაც უთარგმნია თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება — გიორგი ჰამრტოლის „ხრონოგრაფი“; აქვე, მანგანის მონასტერში თარგმნა არსენმა დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის კრებული, რომელსაც ქართულ მწერლობაში „დოგმატიკონი“ ეწოდება. იგი შემდგომ თანდათან შეივსო სხვადასხვა პირთა მიერ ნათარგმნი თხზულებებით.



სწავლის დამთავრების შემდეგ არსენი შავ მთაზე წავიდა და მოღვაწეობა ღირსი ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით დაიწყო. ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენმა დატოვა შავი მთა, ისევ **მანგანის მონასტერში** დაბრუნდა და გააგრძელა მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

**1114 წელს წმიდა არსენი, მეფე დავით აღმაშენებლის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა და მოღვაწეობა დაიწყო გელათის აკადემიაში. აქ ყოფნისას თარგმნა მან „დიდი სჯულის კანონი“.**

გელათის მონასტრის ერთ-ერთ ნუსხაში ვკითხულობთ: **„ქრისტიანეთა წინამძღვარი, დიდი ესე სჯულის კანონი, საუკუნოდ მოხსენებულისა და ჩუენ ქართველთათვის ფრიად ჭირთა თავმსდებელისა არსენი იყალთოელის თარგმნილი“.** შემდეგ არსენი კახეთში გადავიდა და იყალთოს მონასტერთან დააარსა უმაღლესი სკოლა-აკადემია.

წმიდა არსენი ესწრებოდა დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწვეულ კრებას. დავითის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ მოუწოდა „არსენ იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“.

„ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალიღორიკულთა შეთხზვათა შინა ქებული, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიო ტიპიკონთა მეტყუელი“ წმიდა არსენ იყალთოელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. იგი დაკრძალულია იყალთოში, მონასტრის დამაარსებლის — წმიდა ზენონის გვერდით.

**მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.**



**1114 წელს წმიდა არსენი, მეფე დავით აღმაშენებლის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა და მოღვაწეობა დაიწყო გელათის აკადემიაში. აქ ყოფნისას თარგმნა მან «დიდი სჯულის კანონი»**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ რომანმა თავის დროზე პრესტიჟული ჯილდოების სამმაგი გვირგვინი მოაგროვა: „ჰიუგოს პრემია“, „ნებულას პრემია“ და „ფილიპ დიკის“ პრემია. სწორედ ამ წიგნით იყვნენ აღფრთოვანებული კინოფილმ „მატრიცას“ შემქმნელები და ამ წიგნში ნაწინასწარმეტყველებია კიბერსივრცე და ჰაკერები.**

# 10 სამეცნიერო-ფანტასტიკური წიგნი, რომელთა ავტორებმა მომავალი იწინასწარმეტყველეს

სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრი ერთ-ერთი საინტერესო და პოპულარულია წიგნების მოყვარულთა შორის. ადამიანების ყოველი ახალი თაობა განცვიფრებული იყო, როგორ ზუსტი იყვნენ თავიანთი ფანტაზიების აღწერისას კალმის ოსტატები.




## „გულივერის მოგზაურობა“, ჯონათან სვიფტი — მარსის ორი მთვარე

ეპიზოდში, როცა გულივერი იმყოფება მცურავ კუნძულ ლაპუტაზე, კუნძულზე მცხოვრები მეცნიერები შენიშნავენ, რომ მარსს აქვს ორი მთვარე. გასაოცარია, მაგრამ სვიფტის მიერ „გულივერის მოგზაურობის“ დაწერიდან 151 წლის შემდეგ, 1877 წელს, რეალურმა ასტრონომებმა შეძლეს ამ „ლიტერატურული ვარაუდის“ დადასტურება.

მარსის ორბიტაზე მართლაც ორი მთვარეა.




## „ფრანკენშტაინი“, მერი შელი — ტრანსპლანტაცია

მართალია, „ფრანკენშტაინში“ აღწერილი მეთოდები ძალიან უხეშია, მაგრამ არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ მერი შეილიმ შეძლო მედიცინის მომავლის წინასწარმეტყველება — დღეს ტრანსპლანტოლოგია ფანტასტიკის სფეროს აღარ განეკუთვნება.




## „საოცარი ახალი სამყარო“, ოლდოს ჰაქსლი — ჭარბი მოსახლეობა და ჯადოსნური აბები

ჰაქსლიმ თავის რომანში იწინასწარმეტყველა რამდენიმე რამ: პირველი — მან გამოიცნო, რომ პლანეტა დედამიწაზე დადგებოდა ჭარბის მოსახლეობის პრობლემა.

მეორე — იწინასწარმეტყველა სამედიცინო პრეპარატების შექმნა, რომლებიც გავლენას ახდენს განწყობაზე.




## „მზერა უკან“, ედვარდ ბელამი — პლასტიკური ბარათები

ედვარდ ბელამიმ თავის უტოპიურ რომანში (Loking Backward 2000-1887) საკრედიტო ბარათები მათ გამოჩენამდე 63 წლით ადრე იწინასწარმეტყველა. დღეს პლასტიკური ბარათი, ფაქტობრივად, ყველა ადამიანს აქვს.




## „კიბორგი“, მარტინ კეიდინი — ბიონიკური იმპლანტანტები

მარტინ კეიდინის წიგნი პირველი ბიონიკური იმპლანტანტების დამზადებამდე 41 წლით ადრე დაიბეჭდა. სახელდობრ, ამ ნაწარმოებში ავტორმა იწინასწარმეტყველა სხეულის ბიონიკური ნაწილების შექმნა.




## „ნეირომანტი“, უილიამ გიბსონი — კიბერნეტიკული სივრცე და ჰაკერები

ამ რომანმა თავის დროზე პრესტიჟული ჯილდოების სამმაგი გვირგვინი მოაგროვა: „ჰიუგოს პრემია“, „ნებულას პრემია“ და „ფილიპ დიკის“ პრემია სწორედ ამ წიგნით იყვნენ აღფრთოვანებული კინოფილმ „მატრიცას“ შემქმნელები და ამ წიგნში ნაწინასწარმეტყველებია კიბერსივრცე და ჰაკერები.




## „451 გრადუსი ფარენჰაიტით“, რეი ბრედბერი — ყურსასმენები

რეი ბრედბერიმ თავის რომანში იწინასწარმეტყველა ბრტყელეკრანიანი ტელევიზორების დამზადება, ყურსასმენები და კიდევ ბევრი სხვა რამ.




## „გათავისუფლებული მსოფლიო“ ჰერბერტ უელსი — ბირთვული იარაღი

მართალია, ჰერბერტ უელსის ბომბი მხოლოდ ყუმბარა აღმოჩნდა, მაგრამ ის იდეები, რომლებიც მასში ჩადო მწერალმა, წინასწარმეტყველური გახლდათ. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ადამიანებმა მართლაც შექმნეს ყველაზე საშინელი იარაღი კაცობრიობის ისტორიაში.




## „ოცი ათასი ლიე წყალქვეშ“, ჟიულ ვერნი — წყალქვეშა ნავი

ჟიულ ვერნის ნაწარმოები 1870 წელს დაიბეჭდა (ქართულ ენაზე წიგნის სათაურია „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“), როცა ელექტრული წყალქვეშა ნავის შექმნამდე ჯერ კიდევ ბევრი წელი იყო დარჩენილი. ჟიულ ვერნის ნაწარმოებები, საერთოდ, ძალიან წინასწარმეტყველური იყო.




## „1984“, ჯორჯ ორუელი — „დიდი ძმა“

ჯორჯ ორუელს შესანიშნავად ესმოდა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები. გასაკვირი არ არის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მწერალი მიხვდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა მიდის ტოტალური ცენზურისა და თითოეული ადამიანის მიყურადება-თვალთვალისკენ.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**



„სინჯი სანქტ-პეტერბურგიდან 25 დეკემბერს წაიღეს შვედეთში, WADA-ს ლაბორატორიაში, ხოლო შედეგი გამოაქვეყნეს 8 თებერვალს, საერთაშორისო სტანდარტებით, WADA-ს ლაბორატორიისთვის სინჯის დამუშავება-შემოწმების ვადა 20 დღეა მისი მიღების დღიდან. უცნაურია, რომ სანქტ-პეტერბურგიდან სტოკჰოლმამდე სინჯი მიდიოდა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს სერიოზულ კითხვებს აჩენს. როგორც ჩანს, ვიალაცას, ასე ვთქვათ, შენახული ჰქონდა სინჯი მოციგურავეთა გუნდური ტურნირის დასრულებამდე და იდეალური მომენტი შეარჩია რუსული სპორტის იმიჯის გასაფუჭებლად“.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დოპინგ-სკანდალი დადგმული სპექტაკლია

**15 წლის რუსი ფიგურული მოციგურავის — კამილა ვალიევას დადებითმა დოპინგ-ტესტმა შოკი გამოიწვია სპორტის სამყაროში. ვალიევას ე.წ. საქმეში ბევრი რამ არის საეჭვო — გუნდურ ფიგურულ სრიალში გამარჯვებული გოგონა (ვალიევას ავარჯიშებს სახელგანთქმული ქართველი მწვრთნელი — ეთერ თუთბერიძე), რომელსაც არაჩვეულებრივი გრაციოზულობისთვის, „რუსი ფერია“ შეარქვეს, 7 თებერვალს უნდა დაეჯილდოებინათ ოლიმპიური ოქროს მედლით, მაგრამ დაჯილდოების ცერემონია გადაიდო 25 დეკემბრის (?) დოპინგ-ტესტის დადებითი პასუხის გამო.**

ოლიმპიადაზე ფიგურულ სრიალში გუნდური ტურნირის საბოლოო შედეგებზე, რომელშიც კამილა ვალიევა მონაწილეობდა, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირი (ISU) საქმის სრულად განხილვის შემდეგ, 15 თებერვლამდე კი სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო (CAS) დაადგენს, შეუძლია თუ არა გოგონას პირად შეჯიბრებაში მონაწილეობა. სპორტსმენი ინარჩუნებს ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებას, რუსეთის ნაკრები კი ინარჩუნებს ოქროს მედალს მოციგურავეთა გუნდურ ჩათვლაში.

## მოვლენების ქრონოლოგია

ოლიმპიადაზე ფიგურულ სრიალში გუნდური პირველობა 7 თებერვალს დასრულდა ვალიევას გამოსვლით თავისუფალ პროგრამაში. რუსეთის ნაკრებმა დამაჯერებლად მოიგო ოქროს მედალი, ვერცხლის მედლები ერგოთ ამერიკელებს, ბრინჯაო — იაპონელებს, მაგრამ დაჯილდოების ცერემონია დღემდე არ ჩატარებულა.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცერემონია გადაიდო ერთ-ერთი ამერიკელი მოციგურავის კორონავირუსით დაინფიცირების გამო, მაგრამ 9 თებერვალს დასავლურმა მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია რუსეთის ნაკრებში პრობლემური დოპინგ-ტესტის შესახებ. მოციგურავის ვინაობა ცნობილი არ იყო და ამან ბევრი ვერსია გააჩინა, მაგრამ მალე დასახელდა კონკრეტული გვარ-სახელიც — კამილა ვალიევა. მისი დადებითი დოპინგ-ტესტის შემდეგ ინფორმაცია ტესტირების საერთაშორისო სააგენტო ITA-მ გამოაქვეყნა.

ვალიევას სინჯი 25 დეკემბერს აუღეს რუსეთის ჩემპიონატის მიმდინარეობისას. მასში მოგვიანებით აღმოჩნდა ტრიმეტაზიდინი, რომელიც საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ 2014 წლიდან შეტანილია აკრძალული პრეპარატების სიაში. ბევრმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტრიმეტაზიდინი გავლენას ვერ ახდენს სპორტსმენის შედეგებზე. სტოკჰოლმში აკრედიტებულმა WADA-ს ლაბორატორიამ ვალიევას დადებით დოპინგ-ტესტზე 8 თებერვალს გაავრცელა ინფორმაცია, ამის შემდეგ რუსეთის ანტიდოპინგურმა სააგენტომ ვალიევა დროებით ჩამოაცილა შეჯიბრებას. სააგენტოს გადაწყვეტილება გააპროტესტა მოციგურავემ და ვალიევას ნება დართეს, განეგრძო ოლიმპიადაზე გამოსვლა.

ამ ინფორმაციის გავრცელების ფონზე, რუსი მოციგურავე განაგრძობს ვარჯიშს პეკინში, მაგრამ პირადი პირველობის დაწყებამდე სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო (CAS) განიხილავს აპელაციას, რომლითაც მას მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა (ISU) ვალიევასთვის ოლიმპიადაზე მონაწილეობის აკრძალვის გაუქმების თაობაზე.

მოკლე პროგრამა 15 თებერვალს იწყება და ამ დღეს საბოლოოდ უნდა იყოს ცნობილი, მონაწილეობს თუ არა ვალიევა ოლიმპიურ თამაშებში.

## ოქრო და შესაძლო დისკვალიფიკაცია

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში არ გამორიცხავენ, რომ ზემოაღნიშნულმა პროცესებმა გუნდური ტურნირის შედეგების გადახედვა გამოიწვიოს, თუმცა კონკრეტულ ვარიანტზე ლაპარაკი მხოლოდ ვალიევას საქმის სრულფასოვნად გარჩევის შემდეგ შეიძლება. ეს კი, დიდი ალბათობით, რამდენიმე თვეს გასტანს, მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი რუსი მოციგურავისთვის ვერდიქტის გამოტანა მისთვის ოლიმპიური ოქროს მედლის გადაცემის ან ჩამორთმევის თაობაზე. იურიდიულად ოლიმპიადის ბოლომდე გუნდური ტურნირის კვარცხლბეკი არ უნდა შეიცვალოს, სპორტსმენებსაც პერსონალურ სანქციებს მხოლოდ მას შემდეგ უწესებენ, როცა საქმეს სრულყოფილად შეისწავლიან, თანაც **ვალიევა 15 წლისაა და ის „დაცული პერსონების“ სტატუსით სარგებლობს (16 წლამდე პირები), რაც საქმის გარჩევის პროცესში დიდ როლს ითამაშებს.**

არაოფიციალური ინფორმაციით, ვალიევას დოპინგ-სინჯში ტრიმეტაზიდინის დოზა ძალიან მცირე იყო. რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, ვალიევას სხვა ტესტების მიმართ კითხვები არ არსებობს. მისი ტესტი უარყოფითი იყო იანვარში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, აგრეთვე, პეკინის ოლიმპიადაზე. დეკემბერში აღებული ტესტის დადებითმა პასუხმა რუსეთის წარმომადგენლების მხრიდან ბიოლოგიური მასალის შემოწმების პროცედურის მიმართ კითხვები გამოიწვია.

**„სინჯი სანქტ-პეტერბურგიდან 25 დეკემბერს წაიღეს შვედეთში, WADA-ს ლაბორატორიაში, ხოლო შედეგი გამოაქვეყნეს 8 თებერვალს, საერთაშორისო სტანდარტებით, WADA-ს ლაბორატორიისთვის სინჯის დამუშავება-შემოწმების ვადა 20 დღეა მისი მიღების დღიდან. უცნაურია, რომ სანქტ-პეტერბურგიდან სტოკჰოლმამდე სინჯი მიდიოდა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს სერიოზულ კითხვებს აჩენს. როგორც ჩანს, ვიალაცას, ასე ვთქვათ, შენახული ჰქონდა სინჯი მოციგურავეთა გუნდური ტურნირის დასრულებამდე და იდეალური მომენტი შეარჩია რუსული სპორტის იმიჯის გასაფუჭებლად“,** — განაცხადა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა **სტანისლავ პოზდნიაკოვმა.**






ეთერ თუთბერიძე და კამილა ვალიევა




ოლიმპიადის ჩემპიონი გუნდურ ტურნირში — რუსეთის ნაკრები



## დასკვნა

ვალიევას დოპინგ-სკანდალი დადგმული სპექტაკლია და აი რატომ:

1. რუსი სპორტსმენების ყველა ნაკრებს ყველაზე ხშირად და ზედმიწევნით ამოწმებენ. კონტროლი ტოტალურია;

2. ვალიევა რუსეთის მთავარი საექსპორტო პროდუქტია. უმწიკვლო გოგონა;

3. საინფორმაციო ომში გამარჯვებისთვის არაფერია იმაზე უკეთესი, რომ აჩვენო: „ოქროს მედალის“ გამო რეჟიმი მზად არის, მშვენიერი ბავშვიც კი გააწამოს;

4. ოლიმპიადაზე მიმდინარეობს საინფორმაციო ომი. მისი საშუალებაა, მაგალითად, გახსნის ცერემონიაზე NBC-ის დიქტორის სიტყვები ასიათასობით სამხედრო პირის შესახებ, რომლებსაც ალყაში ჰყავთ უკრაინა. ამას ემატება „ბლუმბერგის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე;

**5. ვალიევას შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ბრიტანული გამოცემა Insaide the Games-ის მთავარმა რედაქტორმა დანკინ მაკეიმ.** ის, აგრეთვე, თანამშრომლობს NBC-სთანაც;

6. პრეპარატი ტრიმეტაზიდინი, რომელიც სპორტსმენს ვერ ეხმარება შედეგის მიღწევაში და, ფაქტობრივად, კარდიოვიტამინია, თითქოს დეკემბერში აღებულ სინჯში აღმოაჩინეს ძალიან მცირე რაოდენობით;

7. დეკემბრიდან მოყოლებული WADA-ში ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ჩუმად იყვნენ, მათ დაუშვეს ვალიევა ოლიმპიადაზე და ამით რუსეთს საშუალება არ მისცეს, ის შეეცვალათ სხვა სპორტსმენით, ამასთანავე, კამილას უფლება მისცეს, ტურნირი მოეგო;

8. ე.წ. მხილების კონცერტი დაჯილდოების ცერემონიამდე კარგა ხნით ადრე იყო დაგეგმილი — სინჯში აკრძალული პრეპარატის გამოვლენიდან 2 თვის შემდეგ;

9. ე.წ. მხილების კონცერტმა სტარტი აიღო უსაფრთხოების საკითხებზე მსოფლიო ლიდერების დაძაბული მოლაპარაკებებისა და აშშ-სა და დიდ ბრიტანეთთან რუსეთის ურთიერთობის გამწვავების ფონზე;

10. ასე რომ, ეს ან რუსეთის დასავლელი პარტნიორების სპეცოპერაციაა, ან ვიღაცის პირადი შეტევა ვალიევაზე პრეპარატის ჩაყრით. ეს პრეპარატი პლაცებოა. მის მიღებას ვალიევასთვის აზრი არ ჰქონდა, ყველა დოპინგ-სინჯი, გარდა დეკემბრისა, სუფთა იყო. ყველაფერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ (CAS) 15 წლის რუს მოციგურავეს, კამილა ვალიევას პეკინის ოლიმპიადაზე პირად შეჯიბრებაში მონაწილეობის ნება დართო. ამასთანავე, გაგრძელდება ვალიევას ე.წ. დოპინგის საქმე და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ გაირკვევა იმ ოქროს მედლის ბედი, რომელიც რუსმა მოციგურავეებმა გუნდურ შეჯიბრებაში მოიპოვეს.**

**ნ.კ.**




# პოლონური გამოცემა: ინგლისსა და უკრაინასთან კავშირი სახიფათოა პოლონეთისთვის

**„ისტორიას ახსოვს, რომ ბრიტანეთს ყოველთვის შეუძლია გიღალატოს, მაგრამ ახსოვს კი ეს პოლონეთს?“**

**„ჭადრაკში არის ცნება „ცუგცვანგი“. ეს არის მდგომარეობა, როდესაც მოთამაშის ნებისმიერი სვლა მხოლოდ აუარესებს მის პოზიციას, პარტია კი დასასრულისკენ მიდის. ეს ტერმინი სრულიად მიესადაგება უკრაინაში შექმნილ ვითარებას. ამჟამად ცუგცვანგში აღმოჩნდა პრეზიდენტი ზელენსკი: რაც უნდა გააკეთოს მან, საქმე მაინც ცუდად ექნება. დონბასს რომ შეუტიოს, რუსეთი უპასუხებს. ამის შესახებ, დიდი ხანია, გაფრთხილებულია. თუ მინსკის შეთანხმების შესრულებას დაიწყებს, თავს დაესხმება ოპოზიცია, რომელსაც ვერ გაუმკლავდება, როგორც ვერ გაუმკლავდება რუს სამხედროებს. ამჟამინდელი ვითარების დიდხანს შენარჩუნებაც არ შეიძლება, რადგან არის მისი გაუარესების ტენდენციები“, — წერს პოლონური გაზეთი Mysl Polska.**

რუსეთსაც არ სურს ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია. ეს არ შედის პუტინის გეგმებში, — აღნიშნავს გამოცემა. ომი არც დასავლეთს სურს: რუსეთს უპირატესობა აქვს შეიარაღებაში, თანაც ხარისხობრივიც (ჰიპერბგერითი რაკეტები) და რაოდენობრივიც. **ჩინეთიც** ელოდება, როდის ჩაერთვება **აშშ** კონფლიქტში რუსეთთან, რათა თავისი პრობლემები მოაგვაროს. ამასთანავე, მომენტით ისარგებლეს **ირანმა** და **ჩრდილოეთ კორეამ,** სხვა ქვეყნებმაც, რომლებმაც დაარღვიეს მყიფე წონასწორობა მსოფლიოში. ეს ესმით რუსეთშიც და ევროპაშიც, ამიტომ ვარაუდობენ რაღაცაზე შეთანხმებას. სამაგიეროდ, ბრიტანეთსა და ამერიკას სურთ, ძალების მოსინჯვა რუსეთთან, ამისთვის კი ისინი იყენებენ უკრაინას და შეიძლება — პოლონეთსაც, მიაჩნია Mysl Polska-ს. აბა, **სხვანაირად როგორ უნდა აღვიქვათ უკრაინის გაძეძგვა იარაღით და, ამასთანავე, განცხადებები, რომ უკრაინის გამო არ იომებენ?**

გამოცემა მკითხველს შეახსენებს, რომ ბრიტანეთი ნოემბერში საომრად განწყობილი იყო და პირობას დებდა, რომ უკრაინაში 600 ბრიტანელ სპეცნაზს გაგზავნიდა, დეკემბერში კი, როცა ძალიან გამწვავდა ვითარება, ყველას აუწყა, რომ უკრაინაში არანაირ სამხედრო ქვედანაყოფს არ გაგზავნიდა. ეს, თუმცა, არ ნიშნავს იმას, რომ უარი თქვა მოხალისეების ძებნაზე ომისთვის და ამ მოხალისეებში პოლონეთს გულისხმობს. სწორედ აქედან გაჩნდა სამმხრივი კავშირის — ბრიტანეთის, პოლონეთისა და უკრაინის — შექმნის იდეა.

**პოლონეთში ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ახსოვს, რა სამწუხარო შედეგებით დასრულდა ჩვენთვის 1939 წელს დიდ ბრიტანეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება**. ამ ხელშეკრულების გამო ჩვენი ქვეყანა ომში ჩაება. თავდაპირველად, ბრიტანეთი არ დაგვეხმარებია. 1943 წელს კი ბრიტანელები დაეთანხმნენ პოლონეთისთვის თითქმის ნახევარი ტერიტორიის წართმევას. დღეს ინგლისს კვლავ არ სურს საომარ მოქმედებებში ჩართვა, სამაგიეროდ, სურს, სხვისი ხელით ნარის გლეჯა“, — წერს სტატიის ავტორი **სტანისლავ ლევიცკი** და დასძენს, რომ რეფორმაციის პერიოდიდან ინგლისი ყოველთვის იყო პოლონეთის მტერი და მხარს უჭერდა ყველას, ვის წინააღმდეგაც პოლონეთი იბრძოდა. ასე რომ, 1931 წელს პოლონელები მოტყუვდნენ და, როგორც ბოლო მოვლენები გვიჩვენებს, არა უკანასკნელად.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ასეთ «მოკავშირეებთან» ერთად მტერიც აღარ გინდა



**ორშაბათს უმსხვილესი საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიების ჯგუფმა განაცხადა, რომ ისინი არ აანაზღაურებენ ავიაკომპანიათა სადაზღვევო შემთხვევებს უკრაინის თავზე ფრენისას.**

უმეტეს შემთხვევაში არც უკრაინული და არც უცხოური ავიაკომპანიების თვითმფრინავები არ არის მათი საკუთრება, ისინი მათ ლიზინგით აქვთ აღებული. ლიზინგის გამცემი ითხოვს დაზღვევის გაფორმებას თვითმფრინავის ღირებულებას პლუს 10% (10-100 მილიონი დოლარი). გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ავიაკომპანიამ უნდა დააზღვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ევროპის ბაზრისთვის ასეთი დაზღვევის ღირებულება წელიწადში 550 მილიონი დოლარია. ამ უკანასკნელის გარეშე, უბრალოდ, თვითმფრინავს აფრენის ნებას არ მისცემენ, — განმარტავენ ინფორმირებული პირები.

გარდა ამისა, კერძო თვითმფრინავების მფლობელებმა მედიას განუცხადეს, რომ 12 თებერვალს მიიღეს შეტყობინება, რომ მათ ბორტებზე სადაზღვევო გარანტიები 48 საათის განმავლობაში გაიწვეოდა და შესაბამისად, თვითმფრინავებს უკრაინა ამ პერიოდის ამოწურვამდე უნდა დაეტოვებინათ. როგორც სადაზღვევო ბაზრის მოთამაშეებმა მედიას განუცხადეს, უმსხვილესმა ბრიტანულმა სადაზღვევო კომპანიებმა, რომელებთანაც სხვა სადაზღვევო კომპანიები თვითმფრინავების (და არა მარტო) გადაზღვევას ახდენენ, ოფიციალური წერილი გაუგზავნეს თვითმფრინავის ყველა მესაკუთრეს მსოფლიოში, რომ სადაზღვევო დაფარვა 48 საათში წყვეტს მოქმედებას უკრაინის ტერიტორიაზე და საჰაერო სივრცეში. ე.ი., ამით გაუქმდა სადაზღვევო გარანტიები და დაიხურა საერთაშორისო ფრენები უკრაინასთან. ეს გაკეთდა დასავლური სტრუქტურების ინიციატივით. მაშასადამე, უკრაინიდან გაფრენას ვერავინ ვერ შეძლებს, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა ყბადაღებული „რუსული შეჭრა“. ალბათ, ამის შესახებ უკვე იცოდნენ უცხოეთის მთავრობებმა და ამიტომ მოუწოდებდნენ საკუთარ მოქალაქეებს, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქვეყანა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთმა, ფაქტობრივად, უკრაინის საჰაერო ბლოკადა დააწესა. ეს კი ძალიან მტკივნეული დარტყმაა. განსხვავებით ჯერ კიდევ ჰიპოთეზური „პუტინის შეჭრისგან“. უფრო მეტიც, ეს დარტყმა უკრაინას მიაყენა არა „აგრესორმა ქვეყანამ“, არამედ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც თავს „უკრაინის მოკავშირეებს“ უწოდებენ.

# «მოლაპარაკებები მუნჯსა და ყრუს შორის»

## «ლიზა, დაჯექი, ორიანი!» — ანუ დიდი ბრიტანეთის ოქსფორდდამთავრებული საგარეო საქმეთა მინისტრის უცოდინარობა გეოგრაფიასა და ისტორიაში

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვსა და მის ბრიტანელ კოლეგა ლიზ ტრასს შორის მოსკოვში გამართული დახურული მოლაპარაკებები დასამახსოვრებელი რეპლიკებით აღინიშნა, — იუწყება kommersant.ru ორ დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით.**



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადა, რომ აუცილებელია რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა უკრაინის საზღვრებიდან. სერგეი ლავროვმა კი უპასუხა, რომ რუსი სამხედროები არაფერს აშავებენ, რადგან იმყოფებიან თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე. როდესაც ლიზ ტრასმა კვლავ გაიმეორა, რომ რუსი სამხედროები უნდა გაიყვანონ უკრაინის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებიდან, რუსი მინისტრი შეეპასუხა, რომ სამხედროები არაფერს აშავებენ, რადგან სრული უფლება აქვთ, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩაატარონ ნებისმიერი სახის მანევრი. შემდეგ კი ლავროვმა თვითონ დაუსვა კითხვა ბრიტანელ კოლეგას: „თქვენ ხომ აღიარებთ რუსეთის სუვერენიტეტს როსტოვისა და ვორონეჟის ოლქებზე?“

„დიდი ბრიტანეთი არასოდეს აღიარებს რუსეთის სუვერენიტეტს ამ რეგიონებზე“, — ასეთი იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხი მოკლე პაუზის შემდეგ.

აქ ვითარებაში ჩაერია რუსეთის ფედერაციაში დიდი ბრიტანეთის ელჩი **დებორა ბრონერტი,** რომელმაც დელიკატურად აუხსნა ქალბატონ ტრასს, რომ ლაპარაკია რუსეთის ძირძველ რეგიონებზე.

საზოგადოდ კი, ამ შეხვედრას სერგეი ლავროვმა „მუნჯსა და ყრუს შორის“ მოლაპარაკება უწოდა, რადგან მას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

**kommersant.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაიურაძემ**

# ასე ემზადება ზელენსკი «რუსეთის შეჭრის» მოსაგერიებლად

**11 თებერვალს უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ, რომელიც ხარკოვში ჩატარდა, უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ, მისი ოფისის ხელმძღვანელმა ანდრეი ერმაკმა, უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსეი დანილოვმა და ხარკოვის რეგიონის გუბერნატორმა ოლეგ სინეგუბოვმა დიდი ქეიფი გამართეს ელიტარულ გოლფის კლუბ Superior Golf & Spa Resort-ში. დროსტარების შემდეგ იქვე დარჩნენ ღამის გასათევად.**

უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის ტერიტორიიდან რუსეთის საზღვრამდე, სულ რაღაც, 30 კილომეტრია. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ 11 თებერვლის საღამოს დასავლურმა მედიამ მთელ მსოფლიოს აცნობა, რომ **ჯო ბაიდენი** და აშშ-ის ხელმძღვანელობა რუსეთის უკრაინაში შეჭრას მომავალი კვირის დასაწყისში ელოდნენ.

როგორც ჩანს, ზელენსკის მაიცდამაინც არ სჯერა „რუსეთის შეჭრის“. საჯარო გამოსვლისას მან მოითხოვა, წარმოედგინათ მტკიცებულებები, რომ რუსეთი უკრაინაზე თავდასხმას აპირებს, მაგრამ, თუ ასეთი მტკიცებულებები არ აქვთ, მაშინ ყველას თავშეკავება ურჩია. საჯარო საქმეები რომ „მოითავა“, თავის გარემოცვასთან ერთად რესტორანს მიაშურა და ელიტური და ძვირი სასმელ-საჭმელი არ მოუკლიათ. პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლებმა კლუბის ტერიტორიაზე არსებული ყველა კამერა გათიშეს და „სამალიარო“ სკოჩიც გადააკრეს, რათა ვიდეოკადრები ჟურნალისტების ხელში არ მოხვედრილიყო.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894